F
20697

ქელი გოგუა

მ. გიორგიძე

თვითგანათლებითი მუშაობის მეთოდიკისათვის.

თბილისი.
1944.

F-20697

შემოწმებულია 1948 წ.

სარჩევი

გვ.

1. შესავალი 1

2. კითხვა ადამიანის ცხოვრებაში 3

3. კითხვა და მისი ხელმძღვანელობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში და რევოლუციამდე რუსეთში.................... 20

4 თვითგანათლებითი მუშაობა რევოლუციამდე საქართველოში. 63

5 კითხვის ამოცანები და დარგები 85

6 კითხვის ორგანიზაცია: კითხვის გეგმა და პროგრამა. 104

7 დახმარების ფორმები და მეთოდები.................... 120

8 ბიბლიოთეკა და მისი როლი კითხვის ორგანიზაციის საქმეში.................... 130

9 მკითხველთა შესწავლის მეთოდიკა.................... 139

1. შესავალი

წინამდებარე შრომა [illegible] [illegible] - [illegible] ძირითადი საკითხები, დაკავშირებული [illegible] [illegible] ორგანიზაციის საქმესთან. [illegible] [illegible] [illegible] მუშაობის მეთოდიკის შესახებ [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] გამოიცა ამ დარგის წიგნები ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ [illegible] [illegible] [illegible] პერიოდში. ეს ლიტერატურა [illegible], როგორც ბიბლიოთეკური და [illegible] მუშაობის ორგანიზაციის და [illegible] საკითხებს, ისე [illegible] [illegible] მეთოდიკის, [illegible] მუშაობის საკითხებს. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] მუშაობის მეთოდიკის შესახებ. მაგრამ ამ ლიტერატურის [illegible] [illegible] [illegible] ბიბლიოგრაფიული [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. როგორც [illegible] [illegible], ისე [illegible] [illegible] [illegible] [illegible] დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციის, [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] ეს [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible], [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible], დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაცია, როგორც [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible], [illegible] [illegible] ეს საქმე, რომელიც [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და სხვ. ამ საკითხების [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ორგანიზაციისათვის.

განსაკუთრებით აქტუალურ საკითხები [illegible] [illegible] და [illegible], [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]

რესების შესწავლის მეთოდიკის შესახებ და სხვ. აგრეთვე შესწავლის საგანი უნდა გახდეს ბიბლიოთეკა,როგორც დამოუკიდებელი კითხვის მთავარი ორგანიზატორი.

ამ შრომას არ აქვს მიზნად გადაწყვიტოს ყველა დასახელებული საკითხი,იქნებ ეს საკითხები ამ შრომის შემდეგ ისევ საკითხებად დარჩეს. მაგრამ ავტორი ფიქრობს,რომ,თუ მან ამ საკითხებს თავი მოუყარა,მათი დამოკიდებულება და კავშირი ოდნავ მაინც გამოამჟღავნა და სცადა გზის გაკვლევა ამ უამრავ პრობლემებში,მისი ნაწერი ზედმეტი არ არის.

ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნია,ჯერ გაარკვიოს კითხვის როლი ადამიანის ცხოვრებაში,შემდეგ გაარკვიოს კითხვის რეგულირების ის ცდები,რომლებსაც ჰქონდა ადგილი,როგორც რევოლუციამდელ რუსეთში,ისე დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში,შემდეგ შეეხოს საკითხს,როგორ არის ორგანიზებული დამოუკიდებელი კითხვა სსრკ-ში.

ამის შემდეგ ავტორი თავის თავს ნებას აძლევს შეეხოს საკითხებს კითხვის ამოცანებისა და ფორმების შესახებ, არკვევს განსხვავებას კითხვის გეგმისა და კითხვის პროგრამის როლს და ინდივიდუალური კითხვის გეგმისა და კითხვის პროგრამის შედგენის მეთოდიკის წესს. და ბოლოს ავტორი მიუდგება ბიბლიოთეკური მუშაობის იმ საკითხებს,რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია კითხვის ორგანიზაციისა და რეგულირებასთან.

სათანადო მასალების უქონლობის გამო ავტორს არ შეეძლო გაეშუქებინა კითხვის ორგანიზაციის ყველა ფორმა. მან შეარჩია მხოლოდ ნამდვილად ტიპიური შემთხვევები,ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი,როგორც მეთოდის თვალსაზრისით,ისე იმ ყურადღების მიხედვით,რომელიც მას თავის დროზე ჰქონდა.

II. კითხვა ადამიანის ცხოვრებაში.

მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებში და დიდ პიროვნებათა ბიოგრაფიებში ჩვენ ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ცოდნას მოწყურებული ადამიანი თავისი საკუთარი ძალებით, ყოველივე დახმარებისა და რჩევის გარეშე ეძებს სათანადო საშუალებებს, ეძიებს წყაროებს, ეწაფება წიგნებს და ეძებს მათში პასუხს იმ საჭირბოროტო კითხვებზე, რომელიც მის წინაშე დასმულ~~ი~~ა. აღსანიშნავია ის დიდი ნდობა, რომლითაც აღსავსეა ასეთი ადამიანი, ნდობა ბეჭდვითი სიტყვისადმი, მოწიწება, რომელსაც ის განიცდის მის წინაშე. ადვილად წარმოსადგენია ის სასოწარკვეთილება, ის იმედგაცრუება, რომელიც დაისადგურებს ასეთი ადამიანის გულში, თუ მან ვერ ჰპოვა ის, რაც სწყუროდა, ვერ მიაღწია საუნჯეს, რომელსაც ეძებდა წიგნებში, ვერ იპოვა ის წიგნი, რომელიც პასუხს გასცემდა მის კითხვებს, გახდებოდა მისი მეგობარი და მეგზური ცხოვრების იმ [illegible] [illegible], რომლებსაც ასე უფრთხოდა ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე, როდესაც ლექსში "სიმღერა"/1858 წ. იგი ამბობს:

"სად მიგყევარ, მეინახევ მოწყენილ სიყმაწვილისავ!
ჩემს მცირე ნავს რას არხევ, ზვირთო წუთისოფლისავ!
... მაგრამ, უგრძნობ შეხვალ დიდ ზღვას
და იქ ჩაიღუპავს ჩემს ნავს,
და მარადად შენი წყალი
წაშლის ჩემს ურვებს კვალსა...
თუ ეს მაქვს გარდუვალი,
უსწყევლი ჩემ პობის ნავსა".

ჩვენ ვიცით, რომ ის წლები, რომლებიც ილიამ პეტერბურგში გაატარა, განსაკუთრებულად ნაყოფიერი იყო, როგორც პირადად მისთვის, ისე მთელი ერის თაობისათვის. ეს იყო წლები, როდესაც მწერლობაში ისმოდა ხმა "მესამოციანებისა", როდესაც ისმოდა სიტყვა რუსეთის დიდი დემოკრატების ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა. ამიტომ არის, რომ ილია თავის ნაწარმოებში "ვლადიკავკასიიდამ ტფილისამდე", აფასებს რა თავისი ცხოვრების ამ პერიოდს, ამბობს: "იყო, მკითხველო, ეს ოცი წელიწადი რა ოცი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვისაც თავის ქვეყანას მოშორებია: მეორე, ეს ოცი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბუნების ხიდია, სიბერისა და სიყრმის შუა ბეწვისაგან გადებული. მაგრამ ძელსავით კი არა. მარტო იმისათვის, ვინც ჩვენში ნახულა, რაცა ქვეა აარჩიოს, ფეხსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოცი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინში და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალყურძენიცა. ოო, ძვირფასო ოცო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბუნების ხიდი ფეხთა ქვეშ არ ჩასტყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა".

მაღალი ბუნების, ძლიერი ნიჭისმქონე პოეტმა ილიამ დიდხანს ვერ დარჩებოდა ამ გაურკვეველ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამა "სიმდორეში". და მართლაც, სულ ერთი წლის შემდეგ /1858 წ./ ლექსში "ვაგლახ მონდები, ბედო" ილია ასე ამბობს:

„შენს დიდებულებას აქამდის ველოდი,
ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაძრწუნებ,
ეხლა ეგევე მე მაქვს, აქ მოდი,
მე დავუჯერე და – შენ კი ისვენე".

ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, მისი ხასიათის, მისი მსოფლმხედველობის შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ გარემოს, რომელსაც იგი განიცდის ახალგაზრდობაში. ძლიერ დიდი როლი ამ საქმეში ენიჭება ოჯახს და სკოლას. როგორც ვიცით სკოლა არ კმაყოფილდება იმ აღმზრდელობით გავლენას, რომელსაც ახდენს მოსწავლეზე, რომელსაც იგი სკოლის კედლებში იძლევა. სკოლა ცდილობს მიიღოს მონაწილეობა სკოლის გარეშე დროის ორგანიზაციაში, რეგულირებაშიც. ყოველი მოსწავლის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც იგი შორდება სკოლას და, მაშასადამე, მისგან დამოუკიდებელი ხდება. სკოლა ცდილობს თავის ზეგავლენა ამ პერიოდშიც გაავრცელოს, ადამიანისათვის ცხოვრების სარბიელზე საჭირო რჩევების გამომუშავებით და ცოდნით შეიარაღებით.

იმ ლონისძიებათა შორის, რომლებსაც აღმზრდელები მიმართავენ აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ძლიერ დიდი ადგილი უკავიათ იმ რჩევებს, რომლებიც დაკავშირებულია ბეჭდვით ნაწარმოებზე დამოუკიდებლად მუშაობასთან. აღმზრდელობითი ლონისძიებანი აქ ორგვარ მიზანს ისახავენ: 1/[illegible], ორგანიზებული კითხვის ჩვევის გამომუშავებას და 2/საკითხავი წიგნების შერჩევის პრინციპების, კრიტერიუმის შეთვისებას, გემოვნების გამომუშავებას.

როგორც ერთ, ისე მეორე საქმეში დადებით აღმზრდელობით გავლენას ბევრი დაბრკოლება ეღობება. პირველ რიგში -ეს არის გარემოს უარყოფითი ელემენტების გავლენა. მაგრამ პედაგოგიური ზეგავლენის მარცხი მხოლოდ ამას ვერ მიეწერება: ჩვენ ვიცით ბევრი ისეთი შემთხვევები, როდესაც აქტიური პიროვნება ბრძოლას აწარმოებს სკოლის [illegible] და ამ ბრძოლის ასპარეზად ხშირად [illegible], მაგრამ [illegible], არაორგანიზებულ კითხვას.

ბუნებრივად [illegible]

ბის შემდეგ ადამიანი ჟამის ანაბარად რჩება. თუ სკოლაში ყოფნის დროს მასში საჭირო ჩვევები ვერ გამომუშავდა, მან თავიდან უნდა დაიწყოს ბრძოლა თვითგანვითარებისათვის, ცოდნის მარაგის გაფართოებისათვის და ამ ბრძოლაში დიდ ენერგიას ადამიანი ანდომებს საჭირო ჩვევების გამომუშავებას, თავისი შემოქმედებითი ძალებისათვის კალაპოტის შექმნას. თქმა არ უნდა, რომ, რაც უფრო მალე მიაღწევს ასეთი ადამიანი სწორ გზას, მით უფრო ადვილი გახდება მისთვის დასახული ამოცანების დაძლევა.

როგორც მხატვრული ლიტერატურა, ისე ბიოგრაფიები და მემუარები ჩვენ გვაძლევენ ორივე ტიპის ნიმუშებს: როგორც სისტემატური, ჩვეულებრივი კაცების, ისე — არაჩვეულებრივი, უსისტემო კაცებისას.

ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს ილია ჭავჭავაძის "გლახის ნაამბობის" ის ადგილი, სადაც საუბარია წიგნისა და ცოდნის მნიშვნელობაზე. ამ ნაწარმოებში აღწერილია [illegible] [illegible], მასწავლებლის [illegible], მასწავლებლის, რომელსაც თვითონ შემუშავებული აქვს ერთგვარი მსოფლმხედველობა და მას უნერგავს თავის მოწაფეებს.

[illegible] რომანში "ახალი [illegible]" (გვ. 190) ვერა პავლოვნა, რევოლუციონერი მოღვაწეობისათვის მომზადების მიზნით მუშაობს თვითგანათლებაზე ბეჯითად და კითხულობს წიგნებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის და 1848 წლის რევოლუციის შესახებ.

[illegible], სადაც [illegible] [illegible] ჩვენ ვხვდებით ბევრი მეცნიერის, ხელოვანის და სახელმწიფო მოღვაწის, მწერლის და სხვათა ბიოგრაფიებში. [illegible] [illegible] თვისებები, მსოფლიო პროლეტარიატის მასწავლებლები — მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი.

მაგრამ ერთ სწორედ ჩვენ ეპოქაში ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ადამიანი, ეძებს რა პასუხს [illegible] საკითხებზე, ეტანება წიგნებს, ბევრსა კითხულობს, მაგრამ რადგანაც არ იცის, რას მიმართოს, საიდგან დაიწყოს მეცადინეობა, როგორ იმუშაოს, როგორ გამოიყენოს სხვადასხვა ცოდნის წყაროები ნაწარმოებები, ძლიერ ბევრ დროსა და ენერგიას ხარჯავს და მცირე ეფექტს კი იღებს. არ შეიძლება ითქვას, რომ უსისტემო კითხვა უსათუოდ უარყოფით შედეგებს იძლევა. ჩვენ ბევრი ისეთი შემთხვევა გვაქვს, როდესაც უხელმძღვანელოდ, უსისტემო კითხვის შედეგად ჩამოყალიბდა უაღრესად განათლებული ადამიანი. საკმარისია გავიხსენოთ მაქსიმ გორკი, რომელიც თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებებში/"В людях", "Мои университеты აგვიწერს, როგორი შემთხვევითი ხასიათი ქონდა მის საკითხავი წიგნების შერჩევას. მიუხედავად ამისა გორკის ჰქონდა სისტემატიზებული ცოდნა კულტურის ბევრ დარგში, მეტადრე მხატვრულ ლიტერატურაში. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მაინც ასეთი უსისტემო კითხვა ან უშედეგოა, ან - უფრო მეტიც - უარყოფით ეფექტს იძლევა. ასეთია, მაგალითად, სერვანტესის უკვდავი რომანის გმირი დონ-კიხოტი, აგრეთვე ფლობერის გმირი მადამ ბოვარი/ამავე სახელწოდების რომანში/. ჯეკ ლონდონის ცნობილ რომანში "მარტინ იდენი" დახატული ბრძოლა ანალფაბეტი პროლეტარისა, რომელიც ცდილობს კულტურის მწვერვალების დაუფლებას. ამ ბრძოლაში მარტინ იდენი იღუპება, მისი ენერგია მოდუნდება, მასში პესიმიზმი დაისადგურებს და იგი თავს მოიკლავს. ასეა თუ ისე, კითხვა მაინც ძლიერი ფაქტორია ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში. ეს კარგად არის შემჩნეული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლების მიერ. ჟან-ჟაკ რუსო თავის "აღსარებაში"/Les Confessions / გვიამბობს იმ გავლენაზე, რომელსაც იგი და მისი მამა კი-

თხულობდნენ წიგნებს. ასეთივე გატაცებით კითხულობდა იგი მადამ ვარენსის სახლში ჟენევიდან გაქცევის შემდეგ. გენიალური მწერალი ლევ ტოლსტოი თავის დღიურებში და საუბრებში ხშირად ეხება საკითხს, როგორი შთაბეჭდილება დატოვა მასზე ამა თუ იმ წაკითხულმა წიგნმა. ცნობები ამის შესახებ უხვად აქვს მოგროვებული ტოლსტოის თანამოაზროვნეს და მის ბიოგრაფოსს, ნ. გუსევს /იხ. Н. Гусев. Жизнь Льва Николаевича Толстого. Молодой Толстой (1828-1862) М. 1927/. მ. ლედერლეს შეკითხვის პასუხად 1891 წელში ტოლსტოიმ შეადგინა იმ წიგნების სია, რომელთაც მასზე მოახდინეს შთაბეჭდილება ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში.

"В детстве "до 14 лет или около того" оказали на него влияние:

История Иосифа из Библии - огромное.

Сказки "1001 ночи": Сорок разбойников и Принц Камаральзаман - большое

"Черная курица" Погорельского - очень большое

Русские былины: Добрыня Никитич, Илья Муромец, Алеша Попович - огромное.

Стихи Пушкина "Наполеон" - большое.

(Н. Гусев. Молодой Толстой. გვ. 97-98/.

Список книг, оказавших влияние на Л. Н. Толстого в период от 14 до 20 лет:

Евангелие Матвея - Нагорная проповедь	Огромное
Стерн. - Сентиментальное путешествие	Оч. большое
Руссо. - Исповедь	Огромное
" - Эмиль	Огромное
" - Новая Элоиза	Оч. большое
Пушкина - "Евгений Онегин"	Оч. большое
Шиллера - "Разбойники"	Оч. большое
Гоголь - "Шинель, Иван Ив. и Ив. Никиф., Невский проспект.	Большое
" "Вий"	Огромное
" "Мертвые души"	Оч. большое

Тургенева "Записки охотника"	Оч.большое.
Полины Сакс - Дружинина.	Оч.большое.
Григоровича - Антон Горемыка	Оч.большое.
Диккенса.Давид Копперфильд.	Огромное.
Лермонтова- Герой нашего времени.Тамань-	Оч.большое.
Прескотта. Завоевание Мексики.	Большое.

/Гусев,указ.соч.стр.162/.

ტოლსტოი იგონებს: "Руссо первый увлек меня.Я перечитывал его по несколько раз,и он имел на меня большое влияние"(Гусев, стр.136/. "Я прочел Руссо,все 20 томов,включая музыкальный словарь.Я более чем восхищался им,-я боготворил его(Paul Boyer „Chez Tolstoï". „Le Temps", 1901,28/VIII № 14687. ციტირებულია გუსევის წიგნში.გვ.136/.ასეთსავე სურათს გვაძლევს დოსტოევსკის ახალგაზრდობის წერილები,რომლებშიაც იგი დაწვრილებით არჩევს ყველა ახალ წაკითხულ წიგნს.პუშკინის პირად ბიბლიოთეკაში იყო ყველა იმდროინდელი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი წიგნი.ჯერ ისევ ბავშვობაში მან გადაიკითხა "განათლების პერიოდის", XVIII საუკუნის,მთელი ლიტერატურა.ილია ჭავჭავაძეს არ გამორჩენია არც ერთი მნიშვნელოვანი წიგნი.თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება მისი ბიბლიოთეკის ნუსხა და უცხოური განყოფილების ნაშთი.დარჩენილი წიგნები მოწმობენ ილიას ინტერესების მრავალფეროვნებას.კითხვის პირველ შთაბეჭდილებებს და კითხვის გავლენას აგვიწერს ს.აქსაკოვი წიგნში " Детские годы Багрова-внука ".აქსაკოვი მოგვითხრობს,როგორ აღტაცებაში მოიყვანა იგი ცნობილი რუსი განმანათლებლის,ნ.ნოვიკოვის მიერ 1785-1789 წლებში გამოცემული ჟურნალის " Детское чтение "-ს კითხვამ.ანდრეი ბელი თავის მემუარებში/ "На рубеже двух столетий" "Начало века" / ასევე აგვიწერს კითხვის გავლენას.შესანიშნავად აგვიწერს კითხვის გავლენას

ცნობილი რუსი კრიტიკოსი აპოლონ გრიგორიევი თავის ავტობიოგრაფიაში.

თითქმის ყველა განათლებულ მკითხველებში კითხვას აქვს უსისტემოთ, უხელმძღვანელოთ ხასიათი. ზოგჯერ თვით ამ უსისტემოთ კითხვის პროცესში ეხმაურებოდა მკითხველის მხატვრული ალღო და გემოვნება, გამოიკვეთებოდა ადამიანის ხასიათი, მისი მსოფლმხედველობა. მაშინ ასეთი პირი უკვე თვითონ აგებდა თავისი მუშაობის გეგმას, თვით ხდებოდა თავისი ხელმძღვანელი.

ადამიანი ყოველთვის აფასებდა და აფასებს კულტურის ამ მძლავრ იარაღს. ცნობილი ამერიკელი მწერალი ჰ.ტორო ქადაგებდა ცხოვრების გასადავებას, კულტურის უარყოფას. იგი იწვევდა ადამიანებს ბუნების წიაღისაკენ, სადა, მარტივი ცხოვრებისაკენ, მოთხოვნილებათა შეზღუდვისაკენ. თავის წიგნში "ვალდენი" /იხ. რუსული თარგმანი: Г.Торо - Вальден. М.1910 / იგი აღწერს თავის განდეგილურ ცხოვრებას და იძლევა ახალი ცხოვრების ნიმუშებს.

მაგრამ კითხვა მას მაინც შეაქვს ახალი განდეგილური ცხოვრების განაწესში. იგი ამბობს თავში "კითხვის შესახებ" /გვ.133 და შემდ./: "კარგი კითხვა, ე.ი. კითხვა ჭეშმარიტებით აღსავსე ნამდვილი წიგნებისა -ეს ისეთი კეთილშობილი ვარჯიშია და იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მოითხოვს მკითხველისაგან გაცილებით მეტს, ვიდრე სხვა რამე". თორო ფიქრობს, რომ კითხვის ღირსია მხოლოდ კლასიკური წიგნები. და ასეთი კითხვა უნდა მიმდინარეობდეს ისევე გონივრულად და დაკვირვებით, როგორც იგინი იწერებოდა.

უსისტემოთ, პრაქტიკულ მიზნებსა და ამოცანებს დაშორებული კითხვა უფრო ხშირად შედეგად გვაძლევდა მეოცნება არაპრაქტიკოს ადამიანს. მისი შეხვედრა სინამდვილესთან, რეალობასთან ან კატასტროფით თავდებოდა ან უარყოფით

ყველა იმისი,რაც წიგნებიდან იყო გამოტანილი.ეს ხომ თავისთავად იგივე კატასტროფა იყო.ასეთია დონკიხოტის გატაცება სარაინდო რომანებით,რამაც ამ კეთილშობილ აზნაურს სავსებით დაუკარგა სინამდვილის სწორი შემეცნების უნარი.ასეთია კითხვა,რომლითაც გატაცებული იყო მადამ ბოვარი.იმავე ფლობერის მეორე რომანში "ბუვარი და პეკიუშე"/იხ.რუს.თარგმანი: Г.Флобер.Бувар и Пекюше. სხვადასხვა გამ./ აგრეთვე მოყვანილია ნიმუში უთავბოლო,მიზანშეუწონელი კითხვისა,რის შედეგადაც ეს გმირები მარცხდებიან ყველა თავის წამოწყებაში.უნდა აღინიშნოს,რომ ამ გმირების დამარცხება ბეჭდვითი სიტყვის ფორმალური მიღების,პრაქტიკული ცხოვრებისადმი შეუფარდებლობის შედეგია.

უხელმძღვანელო კითხვის დასახასიათებლად აქვს მოყვანილი ცნობილ რუს პედაგოგს,ვ.ვახტეროვს თავის წიგნში ახალი პედაგოგიკის შესახებ/ Вахтеров.Основы новой педагогики.М.1913, გვ.513/.ვახტეროვს მოჰყავს სამოცდაათიანი წლების ერთი მოღვაწის აზრი კითხვის გავლენის შესახებ ადამიანზე.ეს მოღვაწე აღნიშნავს,რომელმა წიგნებმა შეასრულეს აღმზრდელობითი როლი მის განვითარებაში,მაგრამ.დასასრულს იგი დასძენს:

"Был,впрочем,большой недостаток в моем чтении:у меня не было руководителя при выборе книг.Я читал то,что вздумается, из того,что попадалось под руку,я один искал свою дорогу;прежде чем перейти к литературе Гоголевского периода,я очень долго читал книги исключительно духовные:либо жития святых,проповеди,либо сказки и проч., но когда я напал на новую литературу,то какой то инстинкт руководил моим выбором и я не знаю ни одной книги,прочитанной мною,про которую бы я мог сказать теперь,что лучше было бы,если бы я ее не читал.И тем не менее,я думаю,что для меня был бы чрезвычайно полезен хороший руководитель,который бы сумел предоставить мне необходимый простор для моих индивидуальных стремлений и в то же время облегчил бы мне достижение успеха путем систематизации,путем перехода от более легкого к более трудному. ვაწცერთემა შეისსწავლა პოლიტიკური მოღვაწეების, მეცნიერების, მწერლების ბიოგრაფიები. მისი გამოკვლევით, 170 ცნობილი ადამიანის ბიოგრაფიიდან ჩანს, რომ მხოლოდ 7-ს/ე.ი. 4%-ს/არ განუცდია ნიჭის ზეგავლენა. ვასცერთეის დასკვნით ეს 7 მოღვაწე ისეთი ოჯახებიდან იყვნენ გამოსული, სადაც მშობლებისა და მათი წრის წევრებისაგან შეიძლებოდა საკმაოდ დიდი ცოდნის განვითარების მიღება და, მამასადამე, მათ აღზრდაში ნიჭი წამყვან როლს კარგავდა. დანარჩენი 163/96%/ პირის ბიოგრაფიებიდან ჩანს, რომ მათ განვითარებაში ნიჭს დიდი დადებითი როლი შეუსრულებია.

გასაკვირი არ არის, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე რუსეთის იმპერიაში მკითხველი ვერ პოულობდა ხელმძღვანელობას, დახმარებას კითხვის საქმეში, რადგანაც მთავრობის, გაბატონებული კლასების მთელი ზრუნვა იქით იყო მიმართული, რომ ხელი შეეშალა იმათთვისაც, ვინც წიგნს ეტანებოდა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირი გადაიქცა უდიდეს აკადემიად, სადაც დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი – ყველა სწავლობს, ამაღლებს თავს ცოდნით და ამ ცოდნას უმალვე იყენებს თავის პრაქტიკულ შემოქმედებაში. საბჭოთა ადამიანი კითხულობს, რომ უკეთესად შეასრულოს ის მოვალეობა, რომელიც მას აქვს დაკისრებული. მამასადამე კითხვას აქვს უაღრესად უტილიტარული, პრაქტიკული ხასიათი. მაგრამ ეს უტილიტარიზმი არის საბჭოთა, სოციალისტური უტილიტარიზმი, გამსჭვალული კეთილშობილი მამოძრავებელი იდეით, გაცისკროვნებული მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის მოძღვრებით იბრძვის კომუნიზმისათვის, მთელი კაცობრიობის გათავისუფლებისათვის–კაპიტალიზმის ბორკილებისაგან.

საბჭოთა მკითხველი–ქვეყნის სახალხო რომანების

წისქვილებს ალაჩ ებრძვის და ცხვრის ფარა ალიფანფარონის ლაშქარი ალაჩა ჰგონია. იგი ამხედრდება კომუნიზმის დიადი იდეებით, ხდება პოლკოვნიკი, სოციალისტური საზოგადოების მშენებარე პატრიოტი, რომელიც ერთნაირი თავგამოდებით იბრძვის ბრძოლის ველზე და აგრესორებზე ქურასთან, მიდის ყომბირში ახალი ქალაქების აშენებაზე, მონაწილეობს შორეულ ექსპედიციებში, ხდება კონსტრუქტორი, გამომგონებელი და ავიატორი გმირულად, თავგანწირულად იცავს თავის სამშობლოს. ამიტომ არის, რომ წიგნზე მუშაობამ, კითხვამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საბჭოთა ადამიანის დროის ბიუჯეტში. რამდენიმე ციფრი ამას თვალსაჩინოთ გვაჩვენებს.

მარტო ქართულ ენაზე 1938 წელში იბეჭდებოდა 88 გაზეთი და 37 ჟურნალი. ხოლო მთელ სსრკ-ში -8550 გაზეთი და 1762 ჟურნალი. 1913 წელთან შედარებით 1938 წელში ქართულ ენაზე წიგნები 16-ჯერ მეტი რაოდენობით დაიბეჭდა: თუ 1913 წელს საერთო ტირაჟი უდრიდა 400 ათას ცალს, 1938 წელს დაიბეჭდა 6.200 ათასი ცალი წიგნი. 1897-1916 წლების განმავლობაში არისტოტელეს შრომები რუსულ ენაზე სულ გამოვიდა 1 ათასი ცალის რაოდენობით. იმავე ფილოსოფოსის წიგნები 1917-1938 წლებში გამოვიდა 78,5 ათასი ცალის რაოდენობით; ჰეგელის შრომები-შესაბამისად-4,5 ათასი და 200,5 ათასი; პუშკინის-9,165 ათასი /8 ენაზე/ და 27,864 ათასი/66 ენაზე/; შოთა რუსთაველის "ვეფხის ტყაოსანი" რევოლუციამდელ რუსეთში იმავე პერიოდში დაიბეჭდა 14 ათასი/ქართულად და რუსულად/, ხოლო 1917-1938 წლებში-355 ათასი ცალი 10 ენაზე.

მარტო გამოცემის ფაქტი არ კმარა საკითხის გადაწყვეტისათვის. გამოცემული წიგნები ერთნაირი სისწრაფით არ ვრცელდება. ეს დამოკიდებულია, როგორც თვით წიგნის აქტუალობაზე, ისე მოსახლეობის კულტურული დონის სიმაღლეზე და მისი მო-

თხოვნის და გუბერნიების განვითარებაზე. ოქტომბრის რევოლუციამდე ამ საქმეში, რასაკვირველია, ნაკლები ფაქტორი არ იყო მოსახლეობის ყიდვის უნარიანობის სისუსტეც. ქართველიშვილის მიერ 1888 წელში გამოცემული "ვეფხის ტყაოსანი" ფრიად მნიშვნელოვან კულტურულ ფაქტს წარმოადგენდა. მაგრამ ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ეს წიგნი მთლად გასაღებული არ იყო და წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, რომელიც მაშინ მოთავსებული იყო ყოფილ თავადაზნაურების ქარვასლაში, კიდევ შეიძლებოდა მისი შეძენა. ახლა ყოველი ასეთი გამოცემა რამდენიმე დღეში იყიდება. ისეთი სპეციალური წიგნები, როგორიცაა "წიგნი სააქიმო" და "იადიგარ დაუდი", რამდენიმე კვირაში გაიყიდა და უკვე იშვიათობას წარმოადგენს. ალექსანდრე ფრონელის ფრიად საინტერესო, ყოველმხრივად მნიშვნელოვანი წიგნი "მთიულეთი 1804 წელში", გამოცემული 1896 წელს, ჯერ კიდევ მთლად არ იყო გაყიდული 1907 წელში, როდესაც დაიბეჭდა იმავე ავტორის მეორე მნიშვნელოვანი შრომა "ამბოხება კახეთისა" /1912 წ./". უკანასკნელის ყდის მე-4 გვერდზე არის განცხადება: "ამ წიგნის და წინად დაბეჭდილ "მთიულეთის" შეძენა შეიძლება "ქ.შ.წ.კ.გ.ს." წიგნის მაღაზიაში". დიმიტრი ბაქრაძის "ისტორია საქართველოსი", გამოცემული 1889 წელში, არ იყო ჯერ მთლად გაყიდული 1915 წელს /იხ. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიის კატალოგი: ტფ. 1915/.

რა დიდი როლი დაიკავა წიგნმა საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში, შეიძლება დავასკვნათ თუნდაც იქიდან, რომ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული ტ.1 /თბ.1937/ დაიბეჭდა 10.000 ცალის რაოდენობით; ისეთი სპეციალური წიგნი, როგორიცაა ვახუშტის "გეოგრაფია" 1941 წელს დაიბეჭდა 3000 ცალად. აღარ ვამბობთ მასობრივი გამოცემების შესახებ. ყოველეული საბჭოთ-

დებები 100 და 200 ათასი ცალის რაოდენობით იბეჭდება და მაშინვე მთლიანად იყიდება, ასე, რომ სულ მალე შემდეგში გამოცემა არის ხოლმე საჭირო.

ცნობილია, რა დიდ როლს ასრულებდა კითხვა მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ცხოვრებაში. ახალგაზრდა კარლ მარქსი სწერს თავის მამას თავისი ნაწარმოებების შესახებ იურისპრუდენციასა და ფილოსოფიაში. იგი დაწვრილებით მოუყვება მამას რამდენს კითხულობს, სახელდობრ რომელი ნაწარმოებები წაიკითხა. 19 წლის კარლ მარქსი დამოუკიდებლად ადგენს მეცადინეობის გეგმას. იგი უკვე გატაცებულია იურისპრუდენციისა და ფილოსოფიის ძირითად საკითხებში და ლიტერატურაში, დეტალურად აქვს წარმოდგენილი იურიდიულ მეცნიერებათა ურთიერთობა და თანამიმდევრობა და თითო მათგანის ხვედრითი წონა. იგი ამ წერილში მამას უამბობს, რომ მას ჩვევად აქვს წაკითხულის ამოკონსპექტება: «При этом я усвоил себе привычку делать извлечения из всех прочитанных мной книг—например, из "Лаокоона" Лессинга, "Эрвина" Зольгера, "Истории искусства" Винкельмана, "Немецкой истории" Людена — снабжая их своими замечаниями. В то же время я переводил Germania Тацита, Libri tristium Овидия и начал изучать самостоятельно, т.е. по грамматикам, английский и итальянский, в чем до сих пор совсем не успел; — читал "Уголовное право" Клейна и его "Летописи", а также все новинки литературы, но последнее только как побочное занятие" (Маркс и Энгельс. Сочинения, т. 1. Письмо К. Маркса к отцу от 10/XI-1837 г., стр. 435). ლონდონში რომ დასახლდა, იგი განუწყვეტლივ მეცადინეობდა ბრიტანეთის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. "კაპიტალზე" მუშაობის დროს კ.მარქსმა უამრავი წიგნი წაიკითხა.

აღსანიშნავია, რომ კ.მარქსი არ კმაყოფილდებოდა ნაკითხით, არამედ ადგენდა ყველა წაკითხული წიგნის დაწვრილებით კონსპექტს. ეს კონსპექტები წაკითხულის უბრალო თარი-

ბას არ წარმოადგენენ.ეს იყო ნაკითხული წიგნის კრიტიკულად გადამუშავებული ტექსტი.გ.ვებერის მსოფლიო ისტორიის ნაკითხვის დროს მარქსი აწარმოებდა ქრონოლოგიურ ამონაწერებს. ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს იგი თავის შეფასებას ა აძლევდა,გენიალურად მკვეთრსა და გამომეტყველს.მისი დახასიათებები ბევრჯერ ეწინააღმდეგებოდა წიგნის ავტორის შეფასებას და საერთოდ იმდროინდელი ისტორიული მეცნიერების წარმოდგენას.ეს ქრონოლოგიური ამონაწერები,რომლებიც ახლა შეადგენენ მარქსის და ენგელსის არქივის მე-5,6 და 7 ტომებს / Архив Маркса и Энгельса, т.т.5 6,7),არსებითად არის ისტორიული გამოკვლევა,რომელშიც მარქსი თავის შეფასებას აძლევს მრავალ ისტორიულ მოვლენას.

ასევე ბევრს და ასევე საფუძვლიანად მეცადინეობდა ენგელსი,რომ თავით ფეხებამდე შეიარაღებულიყო მარქსიზმის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლისათვის. თუმცა ფრ.ენგელსი არ ყოფილა სამხედრო პირი,არც მიუღია სპეციალური სამხედრო განათლება,იგი სამხედრო ხელოვნების შესანიშნავი მცოდნე იყო და მისი სტატიები სხვადასხვა საომარი ოპერაციების შესახებ პროფესიონალების დიდ ყურადღებას იპყრობდნენ.

„ბუნების დიალექტიკისათვის" მასალების მოგროვების პროცესში ფრ.ენგელსი დაეუფლა მთელ თავისდროინდელ ბუნებისმეტყველებას,შეისწავლა მათემატიკა,მექანიკა,ფიზიკა,ქიმია,ბიოლოგია.მას არ გამორჩენია არც ერთი მნიშვნელოვანი საბუნებისმეტყველო წიგნი.

ვ.ლენინი თავის მეცადინეობის პროცესში უხვად სარგებლობდა ბიბლიოგრაფიული წყაროებით.იგი აგროვებდა კატალოგებს,კითხვის გეგმებს,ყურადღებით სინჯავდა მათ,აქტიურ გებულობდა,რა ლიტერატურული,სამეცნიერო ნაშრომები არსებობს

მის მიერ განზრახული "[illegible]", და შემდეგ ეძებდა ამ წყაროებს. ლენინის რვეულები სავსეა მასალებით, რომლებიც მოწმობენ მისი მუშაობის მეთოდებს. ყოველ ნაკითხულ წიგნს იგი აკონსპექტებდა, ყოველ მასალას იგი თავის შეფასებას აძლევდა, რადგანაც ვ.ლენინს სძაგდა კაიზერის მხოლო-ერთი მეთოდი —ნაციონალისტური კრიტიკული თვისება. ამრიგად იგი წიგნს უარყოფით შეფასებას აძლევდა, მაგრამ იყენებდა მასში მოყვანილ ფაქტიურ მასალებს, ცნობილია ლენინის ჩანაწერი ეგელჰაფის წიგნის შესახებ (G. Egelhaaf. Geschichte der neuesten Zeit vom Frankfurter Frieden bis zur Gegenwart.
[illegible]):

"Автор —мерзавец, бисмаркианец. Но книга все же очень полезна, как сводка фактов и справочник" (Ленин. Тетради по империализму. М. 1939, стр. 615).

ნ.კ.კრუპსკაია თავის მოგონებებში ვ.ლენინის შესახებ მოგვითხრობს, რომ ლენინს ძლიერ უყვარდა მხატვრული ლიტერატურა. მას პირად ბიბლიოთეკაში ყოველთვის იყო მხოლოდ კლასიკოსები. გადასახლებაში ყოფნის დროს ლენინმა თავის საწოლთან ჰეგელის თხზულებებთან ერთად დააწყო პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის ნაწარმოებები და რამდენჯერმე გადაიკითხა. ყველაზე ძლიერ მას პუშკინი უყვარდა. მას უყვარდა აგრეთვე ჩერნიშევსკის რომანი "Что делать".

თავის ალბომში მას ჰქონდა ჩერნიშევსკის, ემილ ზოლას, ჰერცენის, პისარევის და სხვათა სურათები. ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში ნ.კრუპსკაია საღამოობით ლენინს უკითხავდა წიგნებს მისი არჩევით. ასე იქნა წაკითხული სალტიკოვ-შჩედრინი, გორკის "ჩემი უნივერსიტეტები".

ნ.კ.კრუპსკაიას მოგონებებს ავსებს [illegible] მოგონებანი. იგივე მოგვითხრობს, როგორ სისტემატურად მეცადინეობდა ვ.ლენინი, როგორ არჩევდა ახალ წიგნებს და

F-20697

ავალებდა, რომ მოეძიებათ მისი პირადი ბიბლიოთეკისათვის.

ვ.ლენინს, მიუხედავად იმისა, რომ იგი უზარმაზარ შრომას ეწეოდა, ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე პერიოდში ყურადღებიდან არ გამორჩენია არც წიგნის ბეჭდვისა და გავრცელების საკითხები, არც ბიბლიოთეკების ორგანიზაციისა და მათი მუშაობის საკითხები. მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში, რომლებსაც ვ.ლენინი ხელს აწერს, როგორც სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, ლაპარაკია გამომცემლობის საქმის მოგვარების, დაბეჭდილი ლიტერატურის განაწილების შესყიდვების შესახებ. იგი სისტემატურად თვალყურს ადევნებდა ბიბლიოთეკების მუშაობას, მოითხოვდა, რომ გაეგზავნათ მისთვის ცნობები ჰქონოდა ბიბლიოთეკების ქსელის ზრდის, მათში წიგნების შემოსვლის, მკითხველთა და ბავშვ-მკითხველთა რიცხვის შესახებ.

ცნობილია ის ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა დიდი ბელადი ი.სტალინი ჭაბუკობის დროს თბილისის სასულიერო სემინარიის ადმინისტრაციასთან, რომ მოეპოვებინა კითხვის უფლება. იგი რამდენჯერმე იქნა შემჩნეული იმაში, რომ კითხულობდა კერძო იაფფასიან ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნებს და ეს გახდა მისი სემინარიიდან გარიცხვის ერთ-ერთი მიზეზი. ყველამ იცის ბელადის საუბარი ერთ ჯგუფ ამხანაგებთან, რომლებიც ეწვივნენ ბელადს. დივიზიის უფროსი გ.სავჩენკო ამბობს: „ჩვენი ყურადღება მიიპყრო წიგნების დიდმა დასტამ, რომლებიც უმეტესად ახლახან იყო დაბეჭდილი. აქ იყო წიგნები ტექნიკის, მეცნიერების, სამხედრო ისტორიის შესახებ და ლიტერატურული ნაწარმოებები.

—როდის ასწრებთ ყველა ამის წაკითხვას, იოსებ ბესარიონის-ძევ [illegible] კითხვა.

ამხანაგმა სტალინმა გვითხრა.

–როგორც არ უნდა ვიყოთ დატვირთული, თქვა მან, დღეში ხუთას გვერდს უსათუოდ გადავიკითხავ... ეს ჩემი პორციაა". (გაზ." Красная звезда ", 1939, 22/12 № 291).

სემინარიის ინსპექტორის მოხსენებიდან ჩანს, რომ ჭაბუკი სტალინი კითხულობდა ისეთ წიგნებს, როგორიცაა ვიქტორ ჰიუგოს რომანები "ოთხმოცდაცამეტი წელი" და "ზღვის მაშვრალები", ლეტურნოს "ხალხთა რასების ლიტერატურული განვითარება". ეს დადასტურებულია ოფიციალური დოკუმენტებით. როგორც ვიცით სხვადასხვა პირების მოგონებიდან ბელადის ახალგაზრდობის შესახებ, იგი განუწყვეტლივ კითხულობდა, მას არ გამორჩენია არც ერთი მნიშვნელოვანი წიგნი, იგი თავის ამხანაგებსაც ახალისებდა, ურჩევდა კითხვას, აძლევდა თავის მიერ შედგენილ კონსპექტებს, რომ წიგნი უფრო ადვილად აეთვისებინათ, უამბობდა წაკითხული წიგნების შინაარსს და უხსნიდა მათ.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ხშირად ადამიანი ახერხებდა და თავის [illegible] მიზანშეწონილობა [illegible]. ასეთ შემთხვევაში მკითხველი [illegible] ადვილად ახერხებს თავის კითხვის [illegible] განსაზღვრას და, მაშასადამე, შეეძლო შეერჩია ლიტერატურა და საკითხები, რომელთა გაცნობასაც იგი მიზნად ისახავდა. მაგრამ უფრო ხშირად მკითხველი ვერ განსაზღვრავს თავის კითხვის ინტერესებს, რადგანაც არ იცის, საიდან უნდა დაიწყოს, რომელი წიგნებიდან, როგორი თანამიმდევრობით. მას არ ჰქონია წიგნების შერჩევის გარკვეული ჩვევები.

[illegible]

დახმარების აღმოჩენის გზები. მაგრამ ამ გზებს თან სდევდა ისეთი ორგანული ნაკლი, რომელიც თითქმის სრულიად სპობდა ამ დახმარების დადებით ეფექტიანობას.

III. კითხვა და მისი ხელმძღვანელობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში და რევოლუციამდელ რუსეთში.

რეგულირებული კითხვა, მაშასადამე, არ არის ახალი მოვლენა. ჩვენ ვიცით ბევრი მაგალითი და შემთხვევა, როდესაც ადამიანი აწესრიგებდა თავის კითხვას, მასში გეგმიანობა და სისტემა შეჰქონდა, მაგრამ ამ საქმეს ბევრი ხელისშემშლელი გარემოება სდევდა თან. იშვიათად ხდებოდა, რომ ადამიანს მიეღწია ისეთი ორგანიზაციისათვის, რომელიც ამართლებდა ხელმძღვანელობას კითხვის საქმეში. აქ გვინდა შევეხოთ საკითხს, როგორი იყო ხელმძღვანელობა და დახმარება კითხვაში ოქტომბრის რევოლუციამდე რუსეთში და ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

კითხვის ორგანიზაციის დარგში კლასიკურ მაგალითად ითვლება ცნობილი ფრანგი აკადემიკოსის ფაგეს წიგნები: "როგორ ვიკითხოთ" და "ძველი კარგი წიგნების კითხვა". /რუსულ ენაზე არის გადმოთარგმნილი რუსულად: Фагэ. Как читать. Изд. 4. М. 1914; Чтение хороших старых книг- სხვადასხვა გამოცემა/. წიგნში „L'Art de lire" ფაგე იძლევა წიგნის კითხვის მეთოდიკას. ფაგეს აზრით კითხვა ხელოვნებაა, რომელსაც ადამიანი უნდა დაეუფლოს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ ვიკითხოთ. უმნიშვნელესად ითვლის მკითხველმა უნდა გაარკვიოს კითხვის მიზანი. ფაგეს აზრით, მიზანი შეიძლება იყოს სამგვარი: ცოდნის შეძენა, ნაწარმოების კრიტიკა, სიამოვნება. პირველ ორ შემთხვევაში აუცილებელია ნელი კითხვა, რომელსაც თან უნდა დაერთოს

ამონაწერების და კრიტიკული შენიშვნების წარმოება. ე. ფაგე მიზნად ისახავს გვასწავლოს, როგორ ვიკითხოთ წიგნი სიამოვნების მიღებისათვის. ამ მესამე ტიპის კითხვის დროსაც ძირითადი მეთოდი არის ნელი კითხვა. ფაგე აფრთხილებს მკითხველებს ზარმაცობისა და აჩქარებისაგან კითხვის დროს. წიგნებსა და მათ ავტორებს იგი ანაწილებს შემდეგ ჯგუფებად: იდეური წიგნები, გრძნობისადმი მიმართული წიგნები, დრამატული ნაწარმოებები, პოეტები, ძნელად გასაგები ავტორები, ცუდი ავტორები. იგი შეეხება თითოეულ ამ კლასს ცალ-ცალკე, აკეთებს ანალიზს, არკვევს მათი როლის ხვედრითი წონას ცოდნის შეძენისა და გემოვნების გამომუშავების საქმეში. ამრიგად ფაგე გვასწავლის, როგორ უნდა წავიკითხოთ ცალკეული წიგნი, რომ კითხვა უნაყოფო არ დარჩეს. ცალკეულ შემთხვევებში ფაგე იძლევა მეთოდიკურ მითითებებს ტექსტის ყურადღებით გაცნობისა და შესაძლებელი დასკვნების გამოტანისათვის. მაგრამ მის მეთოდიკაში სჭარბობს ესთეტიკური პრინციპი, რომელიც მიყვანილია გურმანობამდე. თითქოს კითხვის ერთადერთი მიზანი იყოს მკითხველის დატკბობა, გართობა. ადამიანის უღრმესი აზრების გაგებისათვის გაწეულ შრომას ფაგე განიხილავს, როგორც ესთეტიკურ განცდას, როგორც ცოდნისა და გრძნობის გიმნასტიკას. მეორე თავის წიგნში "ძველი კარგი წიგნების კითხვა", ფაგეს მოყავს სხვადასხვა მწერლების ნელი, შემეცნებითი წაკითხვის მაგალითები. მას შერჩეული აქვს მთელი რიგი კლასიკოსების ნაწყვეტები და ამ მაგალითებზე გვაჩვენებს, როგორ მოვნახოთ ამ ნაწყვეტში დაფარული სიბრძნე, როგორ ავითვისოთ ნაწარმოები. კლასიკოს მწერალთა შორის მას გამოურჩევია: ჰომეროსი, ვერგილიუსი, რაბლე, მონტენი, მოლიერი, კორნელი, ბიუფონი, მონტესკიო, შატობრიანი, ბალზაკი და სხვ. აქაც რეკომენდებულია ნელი კითხვის მეთოდი, ანალიზური კითხვა ლიტერა-

ტურული ნაწარმოების შესწავლის მიზნით. ასეთი ცოდნა, ფაგეს აზრით, ადამიანს ამდიდრებს, კარგად აიარაღებს სინამდვილის უკეთესად გაგებისათვის. მაგრამ მეორე, რომლითაც იგი სარგებლობს, ხალასი ლიტერატურული მეთოდია. ფაგე არ გვასწავლის, რა არის საჭირო მისთვის, რომ ადამიანმა იგრძნოს თავისი ძალღონე, საზოგადოებრივი და პროფესიონალური მოვალეობისათვის თავი მომზადებულად ჩასთვალოს. მისი მეორე მიმართულება იმ პირების მიმართ, რომლებიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სოციალურად ფესი მოკიდებული აქვთ, რომლებსაც ლიტერატურული კრიტიკა მხოლოდ მოცალეობის ესთეტიკური გამოყენების საშუალებაა.

ფაგე სრულებით არ შეეხება საკითხს, რას უნდა ეძებდეს ადამიანი, როგორ ცოდნას უნდა იძენდეს, როგორი მოყვრობის ცოდნა-მომზადება ესაჭიროება მას, რა უნდა დაისახოს მიზნად მეცადინეობის დროს. სულ არ შეეხება საკითხს, რა იკითხოს ადამიანმა თვითგანათლების მიზნით, როგორი თანამიმდევრობით, სად მონახოს სათანადო მითითებანი და სხვის რჩევა, რომლებსაც ფაგე გვაძლევს, გამოსაყენებელია მხოლოდ სავსებით კულტურული, განათლებული კაცისათვის, კაცისათვის, რომელიც არის რანტიე და რომლის შემოსავალი საშუალო ბურჟუას შემოსავლებზე მაღლა სდგას და მხოლოდ ფიზიკური და ფსიქოლოგიური გართობა და სიამოვნება მას არ აკმაყოფილებს.

რუსულ ლიტერატურაში ანალოგიური მეთოდის მქადაგებელი და განმახორციელებელი იყო მ. გერშენზონი: იგი იძლევა ნელი კითხვის მეთოდს და ამტკიცებს, რომ მხოლოდ ჩვენი კითხვის შენელებით [illegible] ნაწარმოებების მთელი ის სიღრმე, ფორმა, რომლებსაც იგი შეიცავს. ამ მეთოდით აწარმოა მან პუშკინის პოეტური შემოქმედების შესწავლა/1. Гершензон.

Мудрость Пушкина. 1919. 1. ყველა ეს მითითებები მეძლევა

სასარგებლო იყოს უკვე მომწიფებული კაცისათვის, მაგრამ ადამიანისათვის, რომელიც ფიქრობს შეავსოს თავისი განათლების ხარვეზები. თვითგანათლების გზით, გააფართოვოს თავისი ცოდნის მარაგი, ფაგეს, გერწენნონის და მას მსგავსთა მეთოდიკა უხარვეზლო. ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, საჭიროა დახმარება სისტემატიკური კითხვისათვის ლიტერატურის შერჩევაში და ხელმძღვანელობა წიგნზე მუშაობაში. გარდა ამისა ამ საქმეში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ცოდნის შეძენის, ათვისების კონტროლს და თვითკონტროლს.

ცხადია, რომ ასეთი ხელმძღვანელობა ვერ ამოიწურება ერთი სახელმძღვანელოთ, მეთოდიკური წიგნის გამოშვებით. აქ საჭიროა მრავალი მომქმედი ორგანიზაცია, რომელიც მომსახურება, როგორც მომეცადინეთა ჯგუფებს, ისე ცალკეულ პირებს, რამდენადაც მათი მეცადინეობა ინდივიდუალიზებული იქნება.

ასეთი ორგანიზებული მომსახურება ძლიერ გაფართოვდა დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. გ.ფლობერის რომანში "ბუვარი და პეკუშე", რომელსაც იგი თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში წერდა და რომელიც დაუმთავრებელი დარჩა, გმირები, რომლებსაც მიზნად ისახავენ რომელიმე საკითხის შესწავლას, მიმართავენ შესაფერისი მეცნიერების სპეციალისტს, რომელიც წერილობით აძლევდა მათ რჩევებს, მიუთითებდა ლიტერატურას და სხვ. და ამ დახმარებაში იგი ჰონორარს იღებდა. ასეთი მეცნიერული კორესპონდენტობა მიღებული იყო ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში, როდესაც ძლიერ ცოტა იყო მეცნიერული ჟურნალები. ცხადია, რომ ასეთი კორესპონდენტის მომსახურება ძლიერ ძვირი ჯდებოდა და ამ ხერხი-

სათვის მიმართვა ~~მხოლოდ~~ ფრიად შეძლებულ პირებს შეეძლოთ. ცნობილია, მაგ., დიდრო, როგორც ეკატერინე II-ის კორესპონდენტი, ლაიბნიცი – როგორც პეტრე I-ის მრჩეველი და ბევრი სხვა.

დახმარებამ, რომელიც გაფართოვდა მე-19 საუკ. მე-2 ნახევარში, მიიღო თავისუფალი უმაღლესი სწავლების სახე. მას ინგლისში უწოდებდნენ უნივერსიტეტის გაფართოებას /University Extension/. ჯერ კიდევ 1850 წელში მარკ პატისონი პრესაში ამტკიცებდა, რომ უნივერსიტეტმა თავისი გავლენა უნდა გაავრცელოს მთელ მოსახლეობაზე, იგი ცოდნის შეძენის წყაროდ უნდა იყოს მთელი ხალხისათვის, ფესვები უნდა გაიდგას მოსახლეობის ფართო ფენებში და იქიდან მიიღოს ცხოვრების ახალი ელემენტები, ზნეობრივი და გონებრივი ძალები /იხ. Рубакин. Письма к читателям о самообразовании. СПБ. 1913, გვ. 299 /

1867 წელს ერთერთმა ქალთა განმანათლებელმა საზოგადოებამ /Ladies Educational Assotiation/ მიმართა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორს ჯემს სტუარტს წინადადებით, წაეკითხა აღნიშნული წრის წევრთათვის ლექციების კურსი. სტუარტმა მიიღო წინადადება და ჩაატარა მთელი სისტემატიური კურსი. ლექციის წინ სტუარტი მსმენელებს ურიგებდა ლექციის კონსპექტს, ან "სილაბუსს" /syllabus/, როგორც მაშინ უწოდებდნენ. ყოველი ლექციის შემდეგ პროფესორი ასახელებდა რამდენიმე თემას. მსმენელებს შეეძლოთ თავისი არჩევით დაეწერათ მოკლე თხზულება რომელიმე ამ რამდენიმე თემაზე. ამ თხზულებათა მიზანი იყო, გამოერკვია, რამდენად იქნა ათვისებული ლექციის შინაარსი. შემდგომში ყოველი ლექციის შემდეგ ჯ. სტუარტმა დაიწყო ე.წ. "კლასის" ჩატარება. ეს იყო საუბარი ლექციის თემაზე, ანუ ჩვენი ტერმინოლოგიით – სემინარი.

რკინის გზის მუშათა ორგანიზაციამ კრიუში (Crewe) ჯ. სტუარტს მიმართა თხოვნით; მათთვისაც ჩაეტარებინა ასეთივე ლექციები. ასეთივე ლექციები შემდეგ მან ჩაატარა როჩდელში.

1871

1871 წელს სტიუარტმა მიმართა კემბრიჯის უნივერსიტეტს წერილით, რომელშიც ამტკიცებდა, რომ უნივერსიტეტი - ნაციონალური დაწესებულებაა და, მაშასადამე, მან უნდა იკისროს მოსახლეობის ფართო მასებისათვის ცოდნის მიწოდება. ამ წინადადებას გამოეხმაურნენ და მუშაობაში ჩაებნენ ოქსფორდის, კემბრიჯის, ლონდონის და დურგამის უნივერსიტეტები. შემდეგ ამ მუშაობაში სხვა უნივერსიტეტებიც ჩაებნენ. მათ შექმნეს საერთო ბიურო/Joint Board /. University Extension -მა ამრიგად მიიღო დასრულებული ორგანიზაციული სახე.

ამ საქმეში დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული მსმენელების დამოუკიდებელ მუშაობას. „სილაბუსებში", რომლებსაც ლექტორი ურიგებს მსმენელებს ლექციის წინ, ახლა უკვე მოთავსებული იყო ხოლმე ლექციის გეგმა ან თეზისები, დასახელებული იყო წიგნები და საკითხები, რომელთა ნაკითხვაც ხელს შეუწყობდა დამუშავებული თემის შესწავლას და კითხვარი-დაუფლების კონტროლისათვის.

როგორც ვხედავთ, University Extension -ის სტუდენტობა სხვადასხვა ორგანიზაციების წევრებს წარმოადგენდნენ. მაგრამ ცხადია, რომ ლექციებს შეიძლებოდა დაესწრებოდნენ ცალკეული პირებიც. შემდეგომში მოძრაობა გაფართოვდა იმ მიმართულებით, რომ თვით „სტუდენტები", როგორც მათ უწოდებდნენ, აწყობდნენ ხოლმე ორგანიზაციებს. ძირითადი საუნივერსიტეტო მეცადინეობა დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდით სწარმოებდა, მაგრამ რადგანაც მსმენელთა უმრავლესობა არ იყო გამოცდილი ამგვარ მუშაობაში და სისტემატიკური გეგმიანი კითხვა კი მოითხოვდა თანაბარ ცდებს, პრაქტიკაში შემოღებული იქნა „საშინაო ჯგუფური კითხვის წრეები"/Home reading circles /.

თვით სტუდენტები აწყობდნენ აგრეთვე ე.წ. Students Assotiations, რომლებიც იწვევდნენ ლექტორებს და უნივერსიტეტების სხვა თანამშრომლებს ამ თავისი ასოციაციების ხელმძღვანელებად. ეს ხელმძღვანელები ვალად ღებულობდნენ სტუდენტებისათვის სისტემატიურად რჩევა მიეცათ წიგნების მიზანშეწონილად შერჩევის და კითხვის საუკეთესო მეთოდების შესახებ.

ოქსფორდის უნივერსიტეტმა აგრეთვე დაიწყო ყოველწლიურად გამოქვეყნება იმ პირთა სიებისა, რომელთაც იკისრეს კონსულტაციების წარმოება კითხვის მოყვარეთათვის. სიებში მითითებული იყო კონსულტანტების მისამართები და სპეციალობა. ისინი წრეებისათვის ადგენდნენ წიგნების სიებს, სადაც მითითებული იყო აგრეთვე მათი წაკითხვის თანამიმდევრობა. ასეთი სიები მუშავდებოდა ყოველი სამი წლისათვის ვადით. წრის წევრებს ეძლეოდა რამოდენიმე ბილეთს, რომლებიც აძლევდა უფლებას ესარგებლა ასეთი კონსულტაციით.

სხვადასხვა ორგანიზაციებმა თავისი სახსრებით და შემოწირული თანხებით ზოგ პატარა ქალაქებშიც კი ააგეს სპეციალური, შენობები, სადაც სწარმოებდა University Extension-ის ლექციები, კლასები, წრეების სხდომები და სხვ.

ინგლისის ანალოგიური ორგანიზაცია წარმოიშვა ამერიკაშიც. აქ ყოველწლიურად ერთ საკურორტო ადგილას, ჩაუტაუკვი, სწარმოებდა ხოლმე მეთოდისტური სკოლების მასწავლებელთა საზაფხულო კურს-კონფერენციები. ამ კურსების ინიციატორმა ხელმძღვანელობა ჯ-ნ ვინსენტმა განიზრახა შექმნა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ყველას, ვინც კი მოისურვებდა მუდმივი მუშაობისაგან მოუწყვეტლივ ცოდნის მიღებას. მან დააარსა ჩაუტაუკის ლიტერატურული და სამეცნიერო წრე (Chäutauqua Litterary and Scientific Circle), რომელიც

ეხმარებოდა ყველა მსურველს დაუსწრებლად მეცადინეობაში.ეს ორგანიზაცია აგზავნიდა სადოგმატიკური კითხვის ფურცლებს.იგი უთანხმდებოდა გამომცემლობებს,რომლებიც ფასდაკლებით ყიდიდენ ამ ორგანიზაციაში ჩაბმულ პირებზე იმ წიგნებს,რომლებიც დასახელებული იყო მის სარეკომენდაციო სიებში.

კითხვა გაანგარიშებული იყო ისე,რომ დღეში მისი ხანგრძლივობა ყოფილიყო 40-ნი წუთი.სრული კურსის შესწავლა შეიძლებოდა 4 წლიწადში,მაგრამ მსურველებს შეეძლოთ განუწყვეტლივ ესწავლათ.გამოცდებს მსმენელები აბარებდნენ დაუსწრებლად,კითხვების მიხედვით.კითხვებს აგზავნიდნენ იმგვარად,რომ მხოლოდ გულდასმით ყურადღებით მეცადინეობის და მოფიქრების შემდეგ იყო შესაძლებელი მათზე პასუხის გაცემა.

ჩაუტოკის სტუდენტები იყვნენ გაერთიანებულნი ადგილობრივ წრეებში(Local Circles),რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი საუკეთესო სპეციალისტები,შერჩეულნი ცენტრალური ორგანიზაციის მიერ.ჩაუტოკის სტუდენტთა ასეთი წრეები მოედო მთელ ამერიკას,გადავიდა სხვა კონტინენტებზეც –აფრიკაში და ავსტრალიაში.

როგორც ინგლისური,ისე ამერიკული წრეები მიზნად ისახავდნენ თავის წევრთა მხოლოდ კულტურული დონის ამაღლებას. არავითარ დიპლომებს აქ სწავლის შედეგად მსმენელები არ იღებდნენ.

მიუხედავად იმისა,რომ ამ ორგანიზაციებმა ძლიერ ფართო მასშტაბით გაშალეს თავისი მუშაობა,მაინც მის გარეშე რჩებოდნენ მშრომელთა ფართო მასები,რადგანაც წრეში მონაწილეობისათვის უკვე საჭირო იყო გარკვეული კულტურული დონე,წინასწარი მომზადება.ამრიგად მუშა[illegible] ამ წრეებში მხოლოდ მაღალკვალიფიციურ,მა[illegible] უნივერსიტეტის მუშებს შეეძლოთ მიეღოთ მონაწილეობა.

ჩვენ ვარიანტით დამოუკიდებელი კითხვის ხელმძღვანელობის მეთოდები, მიღებული დას. ევროპასა და ამერიკაში თავისუფალ-უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებით. ამ მეთოდებში კითხვის გეგმა გამომდინარეობს მოსმენილი კურსის პროგრამებიდან და გეგმებიდან.

მაგრამ დასახელებულ ქვეყნებში პარალელურად ყოველდღის კითხვის რეგულაციის სხვა საშუალებებიც არსებობს. ერთ-ერთი მათგანი არის ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის დაკომპლექტების პრინციპები და მეთოდები. მკითხველის არჩევანი ბევრში დამოკიდებულია, შეპირობებულია ბიბლიოთეკის წიგნობრივ ფონდთან. მართალია, ბიბლიოთეკის დაკომპლექტება, მეტადრე როდესაც ბიბლიოთეკა კომერციული საწარმოა, ითვალისწინებს მკითხველის მოთხოვნილებას, მის ინტერესს, მაგრამ ეს გათვალისწინება მხოლოდ ერთგვარ საზღვრამდე სწარმოებს, მანამ- [illegible] კომერციული ინტერესი არ ეწინააღმდეგება ბურჟუას კლასობრივ ინტერესებს. როგორც კი [illegible] მესაკუთრე —ბიბლიოთეკის პატრონი— [illegible] რომ მკითხველის მოთხოვნა, ინტერესი ეწინააღმდეგება ისეთ წიგნებს, რომელთაც შეუძლიათ ძირი გამოუთხარონ კაპიტალისტურ წესწყობილებას, დაარღვიონ ბურჟუაზიის მყუდროება და საერთოდ მას დიდი ზარალი მიაყენონ, იგი ადის "პრინციპიალურ სიმაღლეებზე", მზად არის ხელი აიღოს უშუალო მოგებაზე. ამ შემთხვევაში, როდესაც ბიბლიოთეკა მონოპოლისტურ საკუთრებას წარმოადგენს, არა ნაკლებ სასტიკი [illegible] სწარმოებს და ქალაქის და სოფლის "[illegible]", რომელთა მეთვალყურეობით სწარმოებს ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკების მუშაობა, ყველა ღონისძიებებს მიმართავენ, რომ წიგნობრივი ფონდი ცენზურულად შეარჩიონ. როგორც ზევით აღინიშნა, უფრო ხშირად კითხვის გეგმას და მიმართულებას თვით ბიბლიოთეკის კატალოგი ჰქმნის. მეტადრე, თუ ეს არის [illegible] [illegible], რო-

მლებიც აწარმოებენ კითხვის ხელმძღვანელობას და რეკლამაციას. ეს გარემოება კარგად ჰქონდათ შეგნებული მე-19 საუკ. ფილანტროპებს, რომლებიც სხვადასხვა ღონისძიებების გზით საჭიროდ სთვლიდნენ ხელი შეეწყოთ ხალხის მასების განვითარებისათვის. ამიტომ წარმოიშვა აზრი, რომ შეიძლება ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის ისეთი შერჩევა, რომ მასში შემავალი წიგნების სისტემატიკურმა კითხვამ მოგვცეს ნაკითხობა ერთგვარი გეგმისა და პროგრამის მიხედვით. ეს მეთოდი შემდეგში უფრო განვითარდა და მიიღო სახე "ბიბლიოთეკის ბირთვისა", რომლის მქადაგებლად რუსეთში გამოდიოდა ნ. რუბაკინი.

სამწუხაროდ ჩვენ არ გვაქვს ახალი პროდუქტების სრული მიმოხილვის საშუალება. სანიმუშოდ გავარჩევთ ერთ მაგალითს. იგი შედგენილია ფრანგი მეცნიერის ლ. ემე-მარტენის მიერ. ავტორი (L. Aimé-Martin, 1782-1847) იყო სპეციალობით ლიტერატურის ისტორიკოსი. იგი პროფესორობდა უმაღლეს სასწავლებლებში, შემდეგ (1815 წელში) იყო საფრანგეთის პარლამენტის ოქმების რედაქტორი, ბოლოს - წმ. ჟენევიევის ბიბლიოთეკის გამგე (Conservateur de la bibliothèque Saint-Geneviève). იგი იყო მოწაფე და შემდეგ მეგობარი ცნობილი მწერლის ბერნარდენ დე სენ-პიერისა. მის განვითარებაზე დიდი კვალი დატოვეს ჟ.ჟ. რუსოს, ფენელონის და ბერნარდენ დე-სენ-პიერის იდეებმა. ცნობილი ფრანგი მწერალი ლამარტინი ემე-მარტენზე ამბობდა: „Il avait contracté parenté avec les âmes de Fenelon, de J.-J. Rousseau et de B. de S. Pierre."

მან დაწერა რამდენიმე შრომა ლიტერატურის ისტორიიდან და აგრეთვე: „Lettres à Sophie sur la physique, la chemie et l'histoire naturelle", რომელიც პოპულარული ფორმით იძლევა ბუნებისმეტყველების ძირითად ელემენტებს. მისი ბიბლიოთეკაში მეთოდის შესაფერი უნდა ჩაითვალოს შრომა, რომელიც

ჩვენ გვაინტერესებს: Aimé-Martin, L. Plan d'une bibliothéque universelle; études de livres, qui peuvent servir à l'histoire littéraire et philosophique du genre humain; suivi du catalogue des chef-d'oeuvre de toutes le langues. Bruxelles. 1837.

როგორც ვხედავთ,ავტორი მიზნად ისახავს მკითხველის ბიბლიოთეკის დაკომპლექტების გეგმა.მაგრამ გეგმას ბღალავს ე.წ.რუბაკინისეული მეცნიერებებით.

წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან.პირველი ნაწილი წარმოადგენს ერთგვარ წერილს,რომელიც შეეხება მასების განათლების საკითხს და მიჰყავს ავტორი წიგნობრივი მასივის ანალიზს. მეორე ნაწილი წარმოადგენს ბიბლიოთეკის დაკომპლექტების კონკრეტულ,სისტემატიურ გეგმას.ესსეში ავტორი შეეხება ჩა , მოსახლეობის ფართო მასების კულტურული და ზნეობრივი განვითარების დონეს,დაასკვნის,რომ ამ საქმეში ადგილი აქვს დიდ ჩამორჩენას და ამის მიზეზი არის არასწორი აღზრდა.ეგ.მ-ზე, იგი ამბობს: "Le mal et grand sans doute, mais il n'est point incurable, né d'une fausse science et d'une mauvais systéme d'éducation, il peut être effacé par des reformes et par de bons ouvrages."

შემდეგ183.წ-7/იგი აკეთებს ფრანგული განათლების სისტემის ანალიზს,სასტიკად აკრიტიკებს მას და აღნიშნავს,რომ არც დაწყებითი და არც საშუალო სკოლა არ აძლევენ მოსწავლეს საშუალებას, გაიცნონ კაცობრიობის ნამდვილ საგანძურს,რომელიც მოცემულია საუკეთესო ლიტერატურულ-მეცნიერული შრომების სახით,იგი ამბობს,რომ სამწუხაროდ სკოლაში მეცადინეობა მიმდინარეობს მხოლოდ რომაულ ლათინური და ბერძნული წიგნების მეშვეობით,წიგნებით,რომლებიც შესანიშნავია ისტორიული და

ლიტერატურული თვალსაზრისით, მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოს მოქალაქეებს არ გამოადგება არც ნიმუშად, არც მაგალითად:
„En général, les études de colléges se concetrent dans un petit nombre de livres grecs et latins, livres exellent sous le rapport historique ou littéraire, mais qui, dans l'état actuel de la civilisation, ne peuvent nous servir ni de règles, ni de modèles."

უფრო ცუდ მდგომარეობას ხედავდა ავტორი დაწყებით სკოლაში. ხალხს ასწავლიან კითხვას, მაგრამ პირობით, რომ არ იკითხოს, აძლევენ იარაღს და არ აძლევენ გამოყენების საშუალებას:
„On veut bien enseigner à lire au peuple, mais à condition qu'il ne lira pas; on lui donne un instrument dont on lui refuse l'usage."

ავტორი აღნიშნავს, რომ ხალხის საკითხავ წიგნებში თვალსაჩინო ადგილი უკავია კათოლიკური ორგანიზაციების გამოცემებს. 1830-1835 წლების პერიოდში მათ გამოსცეს უამრავი რელიგიურ-მისტიკური წიგნი, რომლებიც [illegible] იმორჩილებენ ხალხის სულსა და გონებას. სხვათა შორის ასახელებს წიგნს წმინდანის შესახებ, რომელიც 20 წელიწადი უჭმელად ცხოვრობდა და სხვ.მისთ. იგი ამბობს: „Voilà les livres qu'on imprime sérieusement au dix-neuvième siècle pour l'instruction d'un peuple, appelé à connaître ses lois à les faire."

[illegible] [illegible] [illegible] ავტორი შრომის ამოცანაზე და ამბობს, რომ მას მიზნად აქვს [illegible] [illegible] ისეთი წიგნების, რომლებიც [illegible] [illegible] ხალხში. იგი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და თავისი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible], რომ ეს შრომა არ [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]-

მას, რადგანაც ავტორს თავის სანიმუშო კატალოგში ყველა მიუნიშნული ვარგი არ შეაქეს.

მისი სანიმუშო კატალოგი, რომელსაც უწოდებს „Catalogue de chefs-d'oeuvre de toutes le langues", შედგენილია არა მკითხველებისათვის, არამედ ბიბლიოთეკებისათვის. ეს არ ნიშნავს, რომ მკითხველს არ შეეძლო ამ კატალოგით ეხელმძღვანელა თავისი წამოყენებელი კითხვის პროცესში. მაგრამ თუ კი ბიბლიოთეკა წიგნობრივი ფონდის დაკომპლექტებისას ამ კატალოგით ისარგებლებდა, ცხადია, ამით მკითხველს ხელში ეძლეოდა კითხვის პროგრამა.

აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, რომ ბიბლიოთეკაში, რომელიც მოისურვებდა ეგე-მარტენის კატალოგით სარგებლობას, რა თქმა უნდა, სხვა წიგნებიც იქნებოდა, მაგალითად, ეს ნუსხა გამოცემული იქნებოდა ბიბლიოთეკის მიერ წიგნების მასალეში და, მაგალითად, იმ სუფთა, მკვეთრი სახით, რომელიც შექმნა ეგე-მარტენის კატალოგს, მკითხველი ვერ ისარგებლებდა, თუ იგი უშუალოდ ამ წიგნს არ გამოიწერდა. შემდგომში ნ. რუბაკინმა ეს გარემოება მიიღო მხედველობაში, როდესაც "ბიბლიოთეკური ბიუროს" იდეას აყენებდა.

მაგრამ თვით კატალოგის შედგენა ისეთი პრინციპით ხდებოდა, რომ იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გახდებოდა სახელმძღვანელო თვითგანვითარებისათვის ისე, როგორც ჩვენ ახლა გვაქვს წარმოდგენილი. ერთერთ დამო/ლიტერატურული განყოფილების შესავალ/იგი ამბობს: „Nous rédigeons le catalogue de nos richesses intellectuelle et morales; un plus habile en écrira histoire."

მაგრამ ეს სიმბოლიკა ეგე-მარტენს თავისებურად ესმის, ისევე, როგორც თითქმის ერთი საუკუნით გვიან ესმის ე. დიავეს. ეს არის მხატვრული და მეცნიერული წიგნის მიმართ, ასე ვთქვათ, "ფრანგული" მიდგომა, მიდგომა სტილის თვალსაზრისით.

ჩანს, რომ შემდგენილი გეგმას ადგენს ისე კი არა, რომ მკითხველს შეეძლოს თითოეული ეპოქა და მეცნიერული დარგი შეისწავლოს საუკეთესო მეცნიერული შრომებისა და ძირითადი პირველწყაროების გამოყენებით, არამედ მას შეაქვს კალაპოტში ყველა ეპოქის ისეთი შრომები, რომლებიც ღირებულებას წარმოადგენენ სტილის, გემოვნების თვალსაზრისით. მიზანი არის არა ფაქტების კრიტიკული განხილვა და შესწავლა, არამედ კარგი ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვა, მიზანია არა ცოდნის გაფართოება და გაღრმავება, არამედ გემოვნების განვითარება და ესთეტიკური გართობა. ცალკეულ თემებში მოყვანილია კლასიკური ნაწარმოებები, პირველწყაროები, მაგრამ არ არის შეტანილი შემდგენელის დროინდელი მეცნიერულ-კრიტიკული ლიტერატურა, ან თუ შეტანილია, შეტანილია როგორც საუკეთესო ნაწარმოები სტილის თვალსაზრისით. ასე, მაგალითად, თეოლოგიის განყოფილებაში დასახელებულია დაბადება, ქრისტიანული ეკლესიის ლიტერატურული ძეგლები, აღმოსავლეთის რელიგიური წიგნები, მაგრამ არ არის მოყვანილი არც ერთი კრიტიკული წიგნი რელიგიის შესახებ.

იურისპრუდენციის განყოფილებაში დასახელებულია გროციუსი, პუფენდორფი, ჰეგელი, კანტი, ბეკარია, მონტესკიე, სენტ-ევრემანი. მაშასადამე მოყვანილია მხოლოდ უფლების ფილოსოფია, ხოლო არ არის სრულებით მოყვანილი კონკრეტული სამართალი. ფილოსოფიის განყოფილებაში დასახელებულია ყველა მნიშვნელოვანი ფილოსოფოსი. ეს განყოფილება დაყოფილია შემდეგ რუბრიკებად: ძველი ფილოსოფოსები /ბერძნები, რომაელები/, მორალისტები, ახალი ფილოსოფოსები, ახალი გერმანული სკოლა /კანტი, ფიხტე, ჰეგელი, შელინგი/, შოტლანდიური სკოლა, ზოგადი შრომები, ფილოსოფოს-პოლიჰისტორები /ლეიბნიცი, რუსო, ფონტენელი/, ახალი დროის მორალისტები.

როგორც ვხედავთ, არ არის დასახელებული არც ერთი წიგნი, რომელიც მკითხველს გაუადვილებდა ფილოსოფიის ძირითად პრობლემებში გარკვევას, არ არის არც ერთი წიგნი, მსგავსი თანამედროვე "ფილოსოფიის შესავალისა".

პოლიტიკის განყოფილებაში მოყვანილია: ძველი პოლიტიკოსები /პლატონი, არისტოტელე, ციცერონი/.

ბუნებისმეტყველება წარმოდგენილია ერთი განყოფილებით, რომელიც შეიცავს რუბრიკებს: სამყაროს სისტემა, დედამიწის ისტორია, ზოგადი შრომები ბუნების ისტორიაზე, მედიცინა. მედიცინის ქვეგანყოფილებაში დასახელებულნი არიან: ჰიპოკრატე, გალენი, ჰარვეი, სიდენჰამი, ვინსლო, შტალი, ჰოფმანი, სვიტენი.

ამრიგად, ავტორი ცდილობს მკითხველს მიაწოდოს საუკეთესოთ წიგნები, არ მიუთითებს იმაზე, რომ ცალკეულ დარგებში მკითხველს დაეხმაროს სისტემატიური ცოდნის მიღებაში. დიდი ადგილი აქვს დათმობილი მჭერმეტყველებას, ელოკვენციას. აქ დასახელებულია ძველი და ახალი დროის ყველა მნიშვნელოვანი ორატორი.

ისტორიის განყოფილებაში შეტანილია ძველი და ახალი დროის მემატიანეები, ქრონისტები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი გეოგრაფიულ აღმოჩენებსა და მოგზაურობებს. გეგმა ბოლოვდება ჩანაწერით: Monuments originaux de l'histoire de France, რომელსაც მისდევს Histoire de Belgique. საფრანგეთის ისტორია შეიცავს 300 სახელწოდებას, ბელგიის -171-ს. გეგმის წინა ნაწილებისაგან განსხვავებით აქ დასახელებულია არა მხოლოდ წიგნები, არამედ ცალკეული ავტორების შრომები. ისე უფრო კონკრეტული სახითაა აქ, შეიცავს ძველი დროის და საშუალო საუკუნეების ქრონისტებს და შემდეგი დროის ისტორიკოსებს საუკუნეების და ეპოქების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მე-18 საუკუნის ისტორია წარმოდგენილია მხოლოდ ვოლტერით. მაგრამ აქაც არ არის მითითებული გამოცემის წლები და

ადგილი, აქ არის ნაჩვენები წიგნის მონახვის საშუალებანი.

ბეკონი პროგრესიული პიროვნებაა, იგი იბრძვის მაკულატურული საკითხავი წიგნების წინააღმდეგ, მაგრამ სამწუხაროდ არ იძლევა კითხვის კონკრეტულ გეგმას. მკითხველს მისი კატალოგი ვერ ასწავლის, როგორ მოაწესრიგოს კითხვა, რომელი საგნები დაამუშაოს პირველ რიგში, რომელი წიგნებიდან დაიწყოს; ცალკეული ნაწარმოებების რომელი გამოცემით ისარგებლოს, როგორც უკეთესით და სხვ. მე-19 საუკ. ბოლოს და მე-20 საუკუნეში ძლიერ გაიზარდა რიცხვი ცალკეულ მეცნიერებათა „მეგზურებისა", რომლეთაც ხშირად თან ერთვის ბიბლიოგრაფიაც. ჯერ ასეთი ტიპის წიგნი წარმოიშვა უმაღლესი სკოლის წიაღში, სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოების სახით/ე.წ. Handbuch, Manuel და სხვ./: ცნობილია პოელმანის „საბერძნეთის ისტორია და წყაროთმცოდნეობა", ნიზეს „რომის ისტორია და წყაროთმცოდნეობა" და მრავალი სხვა.

"უნივერსიტეტის განათლების" მოძრაობამ საერთოდ ანალოგიური ტიპის წიგნები მასობრივი მკითხველებისათვის /ცნობილია ჰექსლის "მეცნიერების შესავალი"/. ერთერთ ასეთ წიგნს, რუსულად გადმოთარგმნის დროს ნ. რუბაკინმა დაურთო სისტემატიური ბიბლიოგრაფია თვითგანათლებაზე მომუშავეთათვის. ეს იყო სია, საიდანაც შემდეგ წარმოიშვა მისი 7 ტომიანი შრომა „Среди книг" /იხ. Мармери. Прогресс науки. СПБ. 1896)

როგორც ნიმუში შეიძლება კიდევ გავარჩიოთ შედარებით ახალი შრომა: Gruenfeld, Ernst. Einleitung zum Studium und zum selbständigen Arbeiten für Volkswirte. 2 Auflage. Jena 1925.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისა და თვითგანათლებაზე მომუშავეთათვის. მისი ამოცანა არის, მისცეს კითხვის გეგმა დასაწყებელი ეკონომიის მკითხველებს, აჩვენოს, როგორ იმუშაონ დამოუკიდებლად და შეისწავლონ "სახალხო მეურნეობა".

წიგნი შეიცავს 3 თავს და დამატებას. პირველი თავი წარმოადგენს შესავალს, რომელშიც არის მოცემული საგნის განსაზღვრა, მისი ნაწილების დახასიათება და სხვა მეცნიერებებთან დამოკიდებულება. მეორე თავში მოცემულია: მეცნიერულ-საკვლევო მეთოდის ზოგადი მეთოდები, შემანიცარელი მეცნიერების პრინციპები და მეთოდები, სოციალური ეკონომიის მეთოდები. გვაძლევს დასახელებულია შრომები, რომლებშიც ეს მეთოდები არის განხილული.

მესამე თავი შეეხება წყაროებს, პოლიტიკური ეკონომიის ძირითად, კლასიკურ ნაწარმოებებს. პირველ რიგში დასახელებულია პოლიტიკური ეკონომიის ყველაზე ცნობილი სახელმძღვანელოები /Lehrbücher /. თითოეულ სახელმძღვანელოს დართული აქვს მოკლე ანოტაცია, მეორე ადგილი დათმობილი აქვს საცნობო წიგნებს, რომელთა შორის დასახელებულია: ეკონომიური ლექსიკონები, Handbuch-ები, ბიბლიოგრაფიები, სპეციალური შრომები და ცნობარები, ზოგადი საცნობო წიგნები და ლექსიკონები, ენციკლოპედიები და სხვა/. აქვე მითითებულია, რომ ბიბლიოგრაფიული წყარო შეიძლება გამოყენებული იქნას დიდი ბიბლიოთეკების დაბეჭდილი კატალოგები/რუდგე უმატებს: „Seit dem Kriege sind fast keine gedruckten Kataloge" in deutschen Sprache erschienen"

შემდეგი წყარო არის ბიოგრაფიების სერიები, მეცნიერულ დაწესებულებათა და მეცნიერთა საცნობები (Minerwa და სხვ. მისთ.), ფილოსოფიური ლექსიკონები, სხვა დარგის საცნობო წიგნები/ფილოსოფიური ლექსიკონები და იურიდიული საცნობო წიგნები, ისტორიული საცნობო წიგნები და ზოგადი ხასიათის შრომები, გეოგრაფიული, სოციოლოგიური. ამას მისდევს პარლამენტური ანგარიშები, სახელმწიფოს ოფიციალური გამოცემები, ცხრილების ანგარიშები და სხვ./.

შემდეგ მუხლში დასახელებულია ჟურნალები, სერიები და —

და [illegible]. ამ მუხლში მოთავსებულია [illegible] [illegible] გამოცემების და მათი [illegible] შესახებ. და მათი [illegible] [illegible] და მათი [illegible] [illegible].

მეოთხე თავი/Die Magazine des Wissens/ეძღვნება დაწესებულებებს, რომლებშიც თავმოყრილია ყველა ის მასალები და წყაროები, რომლებითაც უნდა ისარგებლოს სწავლულმა. პირველ რიგში ამ თავში განხილულია ბიბლიოთეკები. აქ მოცემულია ლიტერატურა ბიბლიოთეკების ორგანიზაციისა და აღწერილობის შესახებ, მოცემულია ცალკეული ტიპის ბიბლიოთეკების დასახელება, დასახელებულია სხვადასხვა ტიპის კატალოგები და მათი სარგებლობის წესები.

შემდეგ აღწერილია წიგნით ვაჭრობა. დასახელებულია ძირითადი ლიტერატურა წიგნსავაჭროების შესახებ.

მეხუთე თავი შეეხება მეცნიერული მასალის დამუშავებისა და გამოყენების მეთოდიკას.

აქ მოცემულია საერთოდ გონებრივი შრომის ტექნიკა და მეთოდიკა და პოლიგრაფიულ-ტექნიკური მასალის დამუშავების [illegible] ხერხები. ეს თავი იძლევა [illegible] [illegible] [illegible] შესახებ, შემდეგი მუხლები შეეხება: მეხსიერების და ამონაწერების მეთოდებს, ჩანაწერებს, ხელნაწერის მომზადებას ბეჭდვისათვის, კორექტურას და სხვ. მისთ., [illegible] რეცენზიის წარმოებას.

[illegible] [illegible] [illegible] საერთაშორისო ბიბლიოთეკის და [illegible] [illegible], კატალოგი შედგება 7 ნაწილისაგან. პირველ ნაწილში დასახელებულია წიგნები ხელოვნებისა და დამწერლობის, იგი მოიცავს შემდეგ რუბრიკებს: შესავალი წიგნები, პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, სოციალიზმის ისტორია, სისტემატიკური სახელმძღვანელოები/Lehrbücher /, სპეციალური [illegible]/[illegible], [illegible], [illegible] და სხვ./, [illegible]-

ელი ავტორების ცნობილი შრომები,მეურნეობის ისტორია,ფინანსური მეცნიერება,სტატისტიკა,ტექნოლოგია,მრეწველობა,დამხმარე წიგნები/სახელმძღვანელოები/.სანიმუშო კატალოგის მეორე ნაწილი შეიცავს ~~[illegible]~~ ლიტერატურის გაღრმავებული მუშაობისათვის ცალკეულ საგნებზე,ხოლო მესამე-მითითებას,როგორ უნდა დაკომპლექტდეს ბიუროების,დაწესებულებების,რედაქციების და სხვათა პატარა ბიბლიოთეკები.აქ მითითებულია,რომ იგი უნდა შეიცავდეს I და II ტიპის ბიბლიოთეკებს,რომელთაც უნდა დაერთოს შრომები,დასახელებული თავში წყარომცოდნეობის შესახებ.

დასახელებული შრომისაგან ძლიერ განსხვავდება წიგნი-

Das wertvolle deutsche Buch. Eine Auswahl guter Bucher deutscher Schriftsteller sowie deutscher Übersetzungen bekanntes ausländischer Autoren. Zweite, verbesserte und vermehrte Auflage. Mit einen Geleitwort von Prof. Dr. Johannes Werner. Bearbeitet, herausgegeben und verlegt von Koehler und Volckmar A.-G und C°. Leipzig. 1928.

ეს არის წიგნისვაჭრის აშკარა რეკლამა,რომელშიც საუკეთესო წიგნად გამოცხადებულია მხოლოდ ის წიგნები,რომლებიც იმ მომენტში ფირმას ჰქონია საწყობში. ნამდვილ კლასიკოსების გვერდით მოთავსებულია ყველაფერი ის,რაც კი ახლო პერიოდში დაბეჭდილა,უმთავრესად თვით ამ ფირმის მიერ. კლასიფიკაცია ძლიერ უხეშია და გაუმართლებელი.მაგ.განყოფილებაში № 6 Kunst, Architektur, Bildwerke, Kunstlerbiographien/გვ.85/ერთმანეთს მისდევს:ორი წიგნი თეატრზე,შემდეგ -არქიტექტურაზე,ამის იქით -„ქალთა მოღვაწეობა მუსიკოსებში"/რადგანაც წიგნი უხვად არის ილუსტრირებული/,ამის შემდეგ-წიგნი ძველ ბერძნულ ხელოვნებაზე.

ლიტერატურის დარგში შედარებით ბევრი ნაწარმოებებია

დასახელებული, მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში დაბეჭდილი. ამიტომ სრულებით არ არის ლერმონტოვი, ბაირონი, ბევრი მწერლის საუკეთესო ნაწარმოებები. ისტორიის განყოფილებაში ერთმანეთშია არეული წიგნები სხვადასხვა ქვეყნებზე და ეპოქებზე. ერთი სიტყვით ეს არ არის სისტემატიკურად დამუშავებული "წიგნი წიგნების შესახებ". ამავე დროს მას მიუძღვის პროფესორის, ფილოსოფიის დოქტორის შესაფერი წერილი. ვისმა „სახელმა" უნდა დაფაროს ამ გამოცემის კომერციული, რეკლამური ხასიათი. ყველა სახელწოდებას დართული აქვს მოკლე ანოტაცია. მაგალითისათვის მოვიყვან ანოტაციას, რომელიც დართული აქვს ჟან-პოლ რიხტერის ცნობილ რომანს "ზიბენკეზ": "ღარიბი ადვოკატი, რომელსაც უნდა გაეყაროს თავის პირველ ცოლს, თავს მოიმკვდარებს და სხვა ცოლს შეირთავს". ეს ნაცა ანოტაცია გერმანული რომანტიზმის ერთერთ საუკეთესო ნაწარმოებზე.

თუ ბრიუნფელდის შრომის ჯიბის წიგნები ძალიან საინტერესოა იმ პირთათვის, რომლებიც მიზნად ისახავენ ერთერთი მეცნიერების გაცნობას უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის ფარგლებში, ვერნერის რედაქციით გამოსული წიგნი არ გამოდგება არამც თუ სარეკომენდაციო სიად, არამედ ჩვეულებრივ ანოტირებულ პროსპექტადაც კი, რადგანაც, როგორც უკვე აღინიშნა, ანოტაციები ამ წიგნში ძალიან მდარე ხასიათისაა.

უნივერსიტეტების გაფართოების მოძრაობამ რუსეთშიც ჰპოვა მომხრეები. ინიციატივა ეკუთვნოდა პეტერბურგისა და მოსკოვის ლიბერალ-პროფესორების ჯგუფს. მაგრამ იგინი თავისი მუშაობით უსათუოდ პასუხობდნენ მწვავე მოთხოვნილებებს, რომელიც წარმოიშვა რევოლუციური მოძრაობის გაღრმავებასა და გაფართოებასთან ერთად. პარალელურად მიმდინარეობდა სამაზრო და საგუბერნიო ერობათა და მათთან დაკავშირებულ წერაკითხვის საზოგადოებათა მუშაობა სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის დარგ-

ში და აგრეთვე ქალაქის სახალხო სკოლების, საკვირაო სკოლების და კერძო ინიციატივით წარმოშობილ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების კოლექტიური და ინდივიდუალური შრომები. თუ დავაკვირდებით მათ მიერ გამოცემულ სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიებსა და კითხვის პროგრამებს, ნათლად გავარჩევთ სამ ტიპს: პროგრამები და ბიბლიოგრაფიები ა) პირთათვის, რომელთა წინასწარი მომზადება საშუალოზე დაბალი არ არის; ბ/ ფართო, მასობრივი მკითხველისათვის, პირველ რიგში-გლეხებისათვის; გ/ მუშა-მკითხველისათვის.

პირველი ტიპის ბიბლიოგრაფიების შედგენაზე ძირითადად მუშაობდნენ სატახტო ქალაქების ლიბერალი პროფესორები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ რომელიმე საგანმანათლებლო საზოგადოებაში /რუსეთის ტექნიკური საზოგადოება, ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება/ ან სახელმწიფოებრივ დაწესებულებასთან /სამხედრო სასწავლებლების პედაგოგიური მუზეუმი/.

მაგრამ პირველი ცდა მაინც კერძო ინიციატივას ეკუთვნის. ეს იყო ი.ი. იანჟულის მიერ შედგენილი წიგნი Книга о книгах. Толковый указатель для выбора книг по важнейшим отраслям знания. Составлен многими специалистами под ред. И. И. Янжула, при ближайшем участии П. Н. Милюкова, П. К. Преображенского и Л. З. Мороховца. Ч.1 М. Издание на средства Д. И. Тихомирова. В пользу голодающих. 1892.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ლიბერალი პროფესორები, რომელთა დიდი უმრავლესობა მომდევნო კონსტიტუციონ-დემოკრატიულ/კადეტების/ პარტიას მიემხრო, ერთი რომელიმე პოლიტიკური პროგრამით არ გამოდიოდნენ. უმრავლესობა იდგა ე.წ. "უპარტიულობის" პლატფორმაზე. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ ჯგუფის ზოგი წევრი შემდგომში მონაწილეობას იღებდა მუშათა მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო ღონისძიებებში მუშებისა-

1901ბ

თვის. ამ ღონისძიებათა ამოცანა იყო– ჩაეკლა პროლეტარიატის ბრძოლა კაპიტალთან და მათი ორგანიზაციის ახალ ტიპის პარტიის.

იანჟულის რედაქციით გამოსულ წიგნს მოუძღვის წინასიტყვაობა, რომელიც აღნიშნავს, რომ ცოდნის უმთავრესი დარგების ბიბლიოგრაფიული საძიებელი კარგა ხანია დიდი საჭიროების საგანს წარმოადგენს. შემდგენლების აზრით, წიგნმა სამსახური უნდა გაუწიოს ორი კატეგორიის პირებს: ა) ე.წ. განათლებული საზოგადოების წარმომადგენლებს არანაკლებ საშუალო ცოდნით, ბ) უმაღლესი სკოლების მოსწავლეებს. პირველნი ამ წიგნის მეშვეობით შეავსებენ და გააღრმავებენ თავის ცოდნას, უკანასკნელნი კი ახლად შეიძენენ.

წიგნში უნდა ყოფილიყო სიები საუკეთესო წიგნებისა დალაგებით 112 მეცნიერული დისციპლინიდან, წიგნი უნდა ყოფილიყო განმარტებებით / Толковой /, ე.ი. ყოველი სახელწოდებას დართული უნდა ჰქონოდა მოკლე დახასიათება, ანუ, როგორც ახლა ეწოდება, ანოტაცია.

რედაქცია აღნიშნავდა იმდროინდელი რუსული მეცნიერული ლიტერატურის სიღარიბეს, თარგმანების სიხშირეს და ამის გამო, ყველა პირს, რომელიც კი იწყებს თვითგანათლებაზე მუშაობას, პირველ ყოვლისა უწევს ერთი უცხოური ენის შესწავლას. ამ მოსაზრებით სიებში დასახელებულია წიგნები უცხოურ ენებზე.

ამ წიგნის გამოვიდა მხოლოდ I ნაკვეთი. შემდეგში ნაკვეთები აღარ გამოსულა, რადგანაც 2-ე წლის შემდეგ დაიწყეს თავის მოღვაწეობა პეტერბურგის და მოსკოვის კომისიებმა და ამ პირველი წიგნის შემდგენლების მნიშვნელოვანი ნაწილი დასახელებულ კომისიებში მუშაობდა.

Книга о книгах შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: ღვთისმეტყველება, ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერებანი და იურიდიული მეცნიერებანი. დისციპლინების დაჯგუფება უმთავრესად მაშინ-

ელი უნივერსიტეტების ფაკულტეტების მიხედვით. გამონაკლისს შეადგენს საღვთისმეტყველო მეცნიერებანი, რომლის შესაბამისი ფაკულტეტი იყო მხოლოდ დორპატის უნივერსიტეტში, ისიც მხოლოდ ლუთერანებისათვის. ეს განყოფილება შედგენილია უნივერსიტეტის პროფესორის [illegible] მიერ, მაგრამ მისი მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება მოწინავე უნივერსიტეტების ღვთისმეტყველების პროგრამას, რომელიც სავალდებულო იყო ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, და შეყვანილია სასულიერო აკადემიების სასწავლო გეგმების მიხედვით. სხვა დისციპლინებისაგან განსხვავებით ღვთისმეტყველების დარგში მოცემულია არა კითხვის გეგმა, არამედ ითქმის მთელი საღვთისმეტყველო ლიტერატურა ან არის მოცემული ავტორთა შერჩევა და კითხვის თანამიმდევრობა. დანარჩენ ნაწილებში ყველგან ლიტერატურა მოცემულია იმ თანამიმდევრობით, როგორიც უნდა იყოს წაკითხული.

ამ წიგნის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, იგი შედგენილია პირთათვის, რომლებიც [illegible] გზით იღებენ უშალოდ სწავლას და სხვა კატეგორიების მკითხველებს არ გამოადგებოდა. შეიძლება ითქვას, რომ დასამუშავებელი მასალა როგორც მოცულობით, ისე სიძნელით [illegible] აღემატება იმას, რაც უნდა წაეკითხა სათანადო შესაძლებლობის სტუდენტს გამოცდებისათვის მომზადების მიზნით.

დასახელებულია ძირითადი წიგნები გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, თუმცა მოცემულია სხვაენოვანი მეცნიერული ლიტერატურა რუსულ ენაზეც. დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ დასახელებული წიგნების უმრავლესობას დართული აქვს ანოტაციები, რომლებიც ხშირად შეიცავენ წიგნის შინაარსს და გვაძლევენ მათ შეფასებას. ყოველ დარგს წინ უძღვის მოკლე შესავალი, რომელშიაც მოცემულია მეცნიერული დისციპლინის განმარტება, გაშლილია მისი მოცულობა, მიზნები და ამოცანები და მთავარი მიმართულებანი.

როგორც უკვე აღინიშნა, ითქმის ერთდროულად დაარსდა ოთხი ორგანიზაცია, რომელთა პირდაპირი მიზანიც იყო თვითგანათლებაში დახმარება ლიტერატურის რეკომენდაციით და მიწოდებით და აგრეთვე კონსულტაციებით.

1894 წლის თებერვალში პეტერბურგში სამხედრო სასწავლებელთა პედაგოგიური მუზეუმის კომიტეტთან x) დაარსდა თვითგანათლებაში დახმარების კომისია, რომელშიც შედიოდა მთელი რიგი მოწინავე მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, როგორიცაა: მ. ანტონოვიჩი, ნ. კარიშევი, ნ. კარეევი, ნ. მენშუტკინი, ვ. მიაკოტინი, ნ. რუბაკინი და ბევრი სხვა. ამ კომისიამ გამოიმუშავა კითხვის ენციკლოპედიური პროგრამა თვითგანათლებისათვის და 2 სპეციალური პროგრამა/რუსეთის ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის//იხ. Сборник для содействия самообразованию. СПБ. 1895, შემდეგი გამოცემები სათაურით: Программы чтения по самообразованию/.

ენციკლოპედიური პროგრამის მიზანი იყო ყველა მეცნიერებიდან დაესახელებინა უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელთა გაცნობაც აუცილებელია ყველა განათლებული ადამიანისათვის, თუ მას სურს გამოიმუშაოს ნამდვილი მსოფლმხედველობა. კომისია არ ავალდებულებდა მკითხველებს, გაეცნოთ მეცნიერების ის თანამიმდევრობა, რომელიც მოცემული იყო პროგრამაში.

იმავე საგნებისათვის კომისია ადგენდა სპეციალურ პროგრამებს, რომლებშიც საგნის ლიტერატურა დასახელებული იყო უმთავრესად რუსულ ენაზე და მხოლოდ რუსული ლიტერატურის უქონლობის შემთხვევაში მოქონდათ მასში უცხოურ ენებზე დაწერილი წიგნები. მეორე რიგის პროგრამები ჰგულისხმობდნენ საშუალო სკოლის პროგრამის ცოდნას. კომისია აწარმოებდა მიწერმოწერას მკითხველებთან და უწევდა მათ კონსულტაციებს.

ენციკლოპედიური პროგრამის განმარტებით ბარათში განმარტებულია, რომ პროგრამის მიზანი არის დაეხმაროს საშუალო

---

x) Отдел содействия самообразованию в Комитете Педагогического Музея Военно-учебных заведений.

განათლების პირებს საერთო უმაღლესი ცოდნის მიღებაში, რითაც იგი განსხვავდება უმაღლესი სკოლის პროგრამებისაგან, რადგანაც ეს უკანასკნელნი მაინც სპეციალისტების მომზადებას ითვალისწინებენ, მაშინ, როდესაც ენციკლოპედიური პროგრამის მიზანი არის მისცეს ბავშვს ყოველი ცალკე მეცნიერებიდან, მინიმალური განათლება. მაშასადამე, თუ მკითხველს მხოლოდ საშუალო განათლება აქვს, მან მთელი ენციკლოპედიური პროგრამით უნდა იხელმძღვანელოს, თუ აქვს უმაღლესი განათლება, მას შეუძლიან პროგრამიდან გამოტოვოს ის დარგი, რომელიც უკვე შესწავლილი აქვს. მაგრამ მკითხველის არჩევანზეა დამოკიდებული, რომელი დარგიდან დაიწყოს მეცადინეობა და რომელი დარგებით შემოფარგლოს იგი. განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ მეცნიერებათა განლაგებაში შემდგენლები ხელმძღვანელობენ კონტის მეცნიერებათა კლასიფიკაციით, რომელშიც შეაქვთ ზოგიერთი შესწორება. ასე, მაგ., კონტის სქემაში მათემატიკას მისდევს ცის მექანიკა, ფიზიკა და ქიმია. პროგრამაში მათემატიკა გამოტოვებულია, ვინაიდან საშუალო სკოლის მათემატიკის კურსი საკმარისად არის მიჩნეული ენციკლოპედიური პროგრამის დაძლევისათვის. პროგრამაში პირველ ადგილზე მოთავსებულია ფილოსოფია, რომელსაც მისდევს ფიზიკა, ქიმია, ასტრონომია და გეოლოგია. ასტრონომიის ადგილი გადანაცვლებულია იმ მოსაზრებით, რომ მასში ახალმა მეცნიერებამ შეიტანა ისეთი ნაწილები /ასტროფიზიკა, სპექტრული ანალიზი/, რომელთა გაგებისათვის აუცილებელია ფიზიკის და ქიმიის ცოდნა. მეორე მხრივ-ასტრონომიასთან დამოკიდებულია გეოლოგია. ამრიგად დაცულია კონტის პრინციპი: აბსტრაქტული მეცნიერებების -ფიზიკის და ქიმიის, მისდევს კონკრეტული-ასტრონომია და გეოლოგია. მეორე შესწორება: კონტს ფსიქოლოგია დაკავშირებული აქვს ბიოლოგიასთან. პროგრამის შემდგენლები ფსიქოლოგიას აკავშირებენ ფილოსოფიასთან, თუმცა თავითვე აღნიშნავენ, რომ უკა-

ნასკნელ ხანებში ერთი ნაბიჯით გადადგა ფსიქოფიზიოლოგიამ, რომელიც წარმოადგენს ბიოლოგიიდან ფსიქოლოგიაზე გარდამავალ საფეხურსთ.

ფიზიკის პროგრამაში, საერთო პრინციპის საწინააღმდეგოთ, არ არის დასახელებული ერთი ან რამდენიმე საერთო სახელმძღვანელო და ყოველი ნაწილისათვის ცალცალკე ნაწარმოებებია მოცემული. ეს ძლიერ აძნელებს საგნის შესწავლას და არ აძლევს მკითხველს საშუალებას მთლიანი წარმოდგენა იქონიოს ამ საგანზე: უფრო მეტი სისტემატურობა ეტყობა სხვა დარგების პროგრამებს სამაგიეროდ სპეციალური პროგრამები იმავე დარგებში უფრო კარგად არის ჩამოყალიბებული. ეს აიხსნება იმით, რომ იმ დროს ჯერ ცოტა იყო წიგნები, რომლებსაც შეეძლოთ "ზოგადი კურსის" ფუნქცია შეესრულებინათ.

პეტერბურგის პროგრამა ენციკლოპედიური იყო. თვითგანათლებაზე მომუშავე მუშაობდა მთლიანად პროგრამის მიხედვით, თუმცა შეეძლო ერთ რომელიმე დარგზე შეჩერებულიყო. მაგრამ განსხვავდებოდნენ მოსკოვის პროგრამები, რომლებიც შედგენილი იყო იმდროინდელი უნივერსიტეტების ფაკულტეტების სასწავლო გეგმების მსგავსად. მომუშავეებს უნდა აერჩია ერთი ფაკულტეტი და ამ ფაკულტეტის გეგმის მიხედვით ემუშავა. ეს პროგრამებიც თითქმის იმავე დროს გამოქვეყნდა, როდესაც დაიბეჭდა პეტერბურგის პროგრამები.

მოსკოვის პროგრამები პეტერბურგის პროგრამებისაგან იდეოლოგიურად, პრინციპულად და მეთოდიკურად თითქმის არ განსხვავდება. მოსკოვის პროგრამებს ერქვა: Программы домашнего чтения. 1-4 годы систематического курса. იგი გამოვიდა სპეციალური კომისიის ხელმძღვანელობით. კომისია ჩამოყალიბდა ტექნიკური ცოდნის გავრცელების საზოგადოებასთან/

Комиссия по организации домашнего чтения, состоящая при Учебном Отделе Общества распространения технических знаний/.

პირველი ნაკვეთის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ კომისია ჰბაძავს ზოგიერთ ინგლისურ და ამერიკულ საზოგადოებას. კომისია კისრულობს საშინაოთ კითხვის ხელმძღვანელობას გარკვეული 24 პროგრამის მიხედვით. კომისიას თავისი მუშაობის ფარგლები შემოზღუდული აქვს ზოგადგანათლებითი საგნებით. კომისიამ პროგრამები შეუდგინა ისე, რომ თითოეული ფაკულტეტის საგნები ცალკე ციკლს წარმოადგენენ. ცალკეულ დარგებში რეკომენდირებული წიგნები გაწყობილია ისე, რომ ჯერ მოთავსებულია ის სახელმძღვანელოები, რომელთა შესწავლაც აუცილებელია და საგნით მისაწვდომია საშუალო მკითხველისათვის. პროგრამებში მოყვანილია წიგნები ასეთ მკითხველებისათვის და ზოგად- კითხვარებიც.

კომისია ითვალისწინებს სამი კატეგორიის მოსწავლეებს: 1/ პირნი, რომელთაც საშუალო განათლება არ მიუღიათ, მაგრამ ასე თუ ისე აქვთ მეცნიერულ-პოპულარული წიგნების კითხვის ჩვევები; 2/ პირნი, რომელთაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება და 3/ პირნი, რომელთაც მიუღიათ უმაღლესი სწავლა, მაგრამ სურთ გაიხსენონ ნასწავლი, ან მიიღონ ცოდნა იმ დარგებში, რომლებიც მათ არ შეუსწავლიათ.

კრებულის პირველ ნაწილში მოყვანილია სისტემატიური პროგრამები შემდეგი ფაკულტეტების მიხედვით: 1/ მათემატიკური მეცნიერებანი, 2/ ფიზიკურ-ქიმიური; 3/ ბიოლოგიური, 4/ ფილოსოფიური; 5/ საზოგადოებრივ-იურიდიული, 6/ ისტორია და 7/ ლიტერატურა. მეორე ნაწილში მოყვანილია სპეციალური პროგრამები, ზოგჯერ ისეთ საკითხებზე, რომლებიც არ არის სისტემატიურ პროგრამებში.

პირველი ნაკვეთის პირველი გამოცემა გამოვიდა 1894 წელში /4.000 ცალი/ და გაისაღდა ერთ თვეში. მეორე გამოცემა /10.000 ც./ გაისაღდა 1895 წლის პირველსავე თვეებში და იმავე 1895 წ. დაიბეჭდა მესამე გამოცემა.

ყველა პროგრამაში ცალკეულ მუხლებში მოყვანილია [illegible]

ნეობის ფუძე, მოცემულია დახასიათებული შრომების ანოტაციები და საკონტროლო კითხვები.

ლენინგრადის და მოსკოვის პროგრამები თავის დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ და სისტემატიურად ხელახლა იბეჭდებოდნენ.

მაგრამ აღნიშნულ პროგრამებს, როგორც იანჟულის წიგნს /Книга о книгах/, ზოგიერთ დადებითი მხარეების პარალელურად მთელი რიგი ნაკლი ახასიათებდა.

პირველი ნაკლი ისაა, რომ შემდგენლები არსებითად ჰგულისხმობენ მკითხველს, რომელსაც აქვს დასრულებული საშუალო განათლება, მაშასადამე უგულებელყოფილია უამრავი მკითხველი, მთელი მასა, რომელსაც მოჰყავდა მხოლოდ წერა-კითხვა ესწავლა, კითხვის ტექნიკას დაუფლებოდა და ესაჭიროებოდა დახმარება ცოდნის გაფართოებაში.

მეორე ნაკლი ის იყო, რომ ბევრ შემთხვევაში ლიტერატურა უცხო ენებზე იყო დასახელებული და, მაშასადამე, მომეცადინეს ეს ენები უნდა სცოდნოდა.

მესამე ნაკლი ის იყო, რომ ამ პროგრამებით მეცადინეობა ძლიერ ძვირი ჯდებოდა. მართალია, კომისია აქმნიდა მელავადის პირობებს, მაგ., შეიძლებოდა ზოგიერთი სახელმძღვანელოს შეძენა კომისიის საწყობიდან. ამ წიგნებს გამოყენების შემდეგ პაცარა პროვინციის ჩამოშორებით საწყობი უკანვე იღებდა, მაგრამ მაინც ეს მეცადინეობა მოითხოვდა შრომას და გლეხისაგან 1-2 მანეთს თვეში, რაც ადვილი გამოსაღები არ იყო.

მეოთხე ნაკლი ის იყო, რომ ამ კომისიების მუშაობას ფართო მასა არ იცნობდა, არ იყო საკმარისად ფართოდ გაშლილი ინფორმაცია მათი მუშაობის შესახებ.

ამრიგად ორივე ორგანიზაციის დახმარებით შეეძლოთ ესარგებლა მხოლოდ კულტურის მოთხოვნებით მაღალ საფეხურზე მდგომ პირს,

რომელსაც მატერიალური სახსრები და წინასწარი მომზადება აძლევდნენ ამის საშუალებას და აგრეთვე მისი კოლექტიური ფორმები აფერხებდნენ ასეთი დახმარების მიღების საშუალების შესახებ.

დასახელებული პროგრამები უმთავრესად შეძლებული კლასებისათვის იყო მისაწვდომი და უმაღლესი ცოდნის მიღება შეეძლოთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც ასეთივე უკვე ქონდათ მიღებული საშუალო განათლება.

მოსკოვის და პეტერბურგის კომისიების მოღვაწეობა თავის შინაარსით ინგლისური University Extension -ის [illegible]. ასეთი აზრი იყო გამოთქმული მოსკოვის კომისიის მუშაობის შესახებ ჩამოყენებულ საიუბილეო წერილში /იხ. მაგ. Горбунова. Один из опытов University Extension в России(Московская комиссия по организации домашнего чтения). Журн. "Образование". 1898 № 10,11. ნახე აგრეთვე: Грузинский. 30 лет жизни Учебного Отдела О-ва распространения технических знаний. М. 1902).

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ შედარებისაც კი ნაღდი განსხვავებას ფილო- მნიშვნელოვან განსხვავებას. ინგლისის უნივერსიტეტების გაფართოება სწარმოებდა მუშების მასებისთვის, ეფუძნებოდა მუშათა ორგანიზაციებზე და თავისთავად იგულისხმებოდა, რომ აქ ახალ სწავლობდნენ საშუალო განათლება არაქონე და უმაღლესი ცოდნის ლექციებით მათ უნდა მიეღოთ პოპულარულ ფორმებში. ამიტომ ინგლისის საუნივერსიტეტო მოძრაობა უახლოვდებოდა ინგლისის მუშათა წრეებს, თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ University Extension -ის მომსახურება უმთავრესად მაღალი კვალიფიკაციის მუშების ორგანიზაციებზე ეყრდნობოდა. ინგლისის უნივერსიტეტების გაფართოების მოძრაობა ანლო ნაციონალურ კულტურაში იყო მეტად ბურჟუაზიულ-ლიბერალურ მოძრაობას, ე.ი. საუნივერსიტეტო და სტუდენტური ასოციაციების მოძრაობასთან. ინგლისის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მე-

ცენტრი და კავშირებულნი უნივერსიტეტებთან, გრძნობენ რა, როგორ უმწეო მდგომარეობაში იმყოფება მოსახლეობის დაბალი ფენები, სახლდებოდნენ უღარიბესი მოსახლეობის უბნებში კოლონიების, ახალშენების მსგავსად, ცდილობდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან დაახლოვებას და მისი კულტურული და ზნეობრივი დონის ამაღლებას. ერთერთი ფუნქცია ამ ახალშენებისა იყო თვითგანათლების წრეების ჩამოყალიბება და მათი ხელმძღვანელობა/იხ. Рязов. Университетские и социальные поселения. СПБ. 1901, გვ. 44 და 47/.

მოსკოვის და პეტერბურგის კომისიები კი თავიდანვე გაემიჯნენ მუშათა კლასს მართალია, მოსკოვის კომისიამ შემდგომში შეადგინა პროგრამები საშუალო განათლებისათვის, მაგრამ ფართო ინფორმაციის უქონლობის გამო, ამ პროგრამებმა მასამდე ვერ მიაღწიეს.

აღნიშნული ნაკლის შევსებას სხვა ორგანიზაციები შეეცადნენ. უფრო ხშირად ამ ამოცანას ისახავდნენ საგუბერნიო საერობო თვითმართველობანი, მათთან დაკავშირებული წერაკითხვის კომიტეტები, საკვირაო სკოლებისა და სახალხო კურსების ხელმძღვანელთა წრეები.

თავიდანვე მათმა გზამ ორი მიმართულება მიიღო. ერთი იყო — სარეკომენდაციო პროგრამების შედგენა უშუალოდ თვითგანათლებაზე მომუშავეთათვის, მეორე — შედგენა სანიმუშო კატალოგებისა სახალხო ბიბლიოთეკებისათვის. ორივე იდეას წინ ერთნაირად ეღობებოდა მეფის მთავრობის მიერ შედგენილი სიები წიგნებისა, რომელნიც აკრძალულნი იყო სახალხო ბიბლიოთეკებისა და სახალხო, ხმამაღლა კითხვისათვის.

ამრიგად არჩევანი შესრულებული იყო, მაგრამ ძნელად ამ წრეებს შეეძლოთ დიდი როლი შეესრულებინათ მასების კულტურული დონის ამაღლებაში, რომ მათ სპორადული ხასიათი არა ჰქონდა. არ არსებობ

და რაიმე მძლავრი ორგანიზაცია, არ ყოფილა ყველა ლონისძიებათა კოორდინაციისა, რომელიც ეს მოძრაობა [illegible]/უნივერსიტეტების მოძრაობა/.ისეთი ორგანიზაცია მოქმედებდა თავის, მეთაურებით [illegible], ცენტრალიზაციის და ამიტომ არც ჰქონიათ ყოლად თუ ბევრად ხანგრძლივი არსებობის შესაძლებლობა.

უშუალოდ მკითხველთათვის მიძღვნილი საძიებლების შორის შეიძლება რამდენიმე დავასახელოთ.ეს იყო ზოგიერთი მითითებები, რომლებიც არ ისახავენ მიზნად სასწავლო სკოლის მოწაფეებს სწავლის მიზნებით, არამედ ემსახურება ყოველგვარ მკითხველს, რომელიც თავისი ძალებით, დამოუკიდებლად ცდილობდა განათლების მიღებას. ასეთია: Буткевич, А. Спутник читателя. Указатель общедоступных книг для чтения по всем отраслям знания и литературы. М. 1906. 55 стр.

Владиславлев -Что читать. Указатели систематического домашнего чтения для учащихся.

В-1. Худ. лит. для учащихся (9-10 л. до 12-13).

В-2. Художественная литература, критика, история литературы. М. 1909 (от 14-16 лет).

В. 3. Жизнь замечательных людей. М. 1914 /მოთხრობები ცნობილ ადამიანებზე/.

В. 4. История М. 1917.

/მეორე ნაკვეთები ვერ მოიძებნა მკითხველებისათვის/.

Крестьяне-самоучки. Список полезных и удобопонятных книг. СПБ. Изд. кн. склада А. М. Калмыковой. 1895 (Список сост. Н. Рубакиным).

Лебедев, А. И. Детская и народная литература. В. 2. Для юношества и взрослых/14-18 лет). Изд. 3. Н. Новь. 1916. 240 стр. (Первое изд. под загл. "В помощь самообразованию". Н-Новь. 1906 г.

Махнова Ел. -Помощь самообразованию (Опыт системат. указателя). Ставрополь. 1915. XI. 133 стр.

Панов, А. -Домашние библиотеки. Опыт системат. указателя книг для самообразования. Изд. 3. СПБ "Общ. польза". 1906. Полезные для крестьян книги. Первый круг чтения. Список сост.

Моск. группой учителей и деятелей по нар. образ. под ред. Н. А. Малиновского и Л. П. Никифорова. М. "Советская Россия" 1906 г. [Список книг рекомендуемых для деревни и учителя. Изд. группы членов Всерос. Союза учит. и деят. по нар. образ.". 1906.

Толковый указатель книг для чтения. В. 1. Ред. В. П. Алексеева, А. Н. Кирпичникова, И. Х. Озерова и др. Изд. Моск. Попеч. о народн. трезвости. М. 1904. 256, XXXIX стр. - Вып. 2. Ред. В. П. Алексеева, А. Н. Реформатского, Н. И. Сакулина и др. М. 1907. 272 стр. / Для самостоятельного пользования читателя из народа/.

Чехов, Н. В. - Спутник самообразования. М. И. Д. Сытин. 1907. 106 стр.

[illegible] წიგნებისა და პროპაგანდის რიცხვმა განსაკუთრებით იმატა 1905 წლის რევოლუციის -ეპოქაში. ამ დროს დაიბეჭდა რამდენიმე პარტიული სარეკომენდაციო სია. თუ [illegible]ლი პროგრამები და სარეკომენდაციო სიები, [illegible] [illegible] ან [illegible], [illegible] ე. წ. "[illegible]", "[illegible]" [illegible], ეს [illegible] [illegible] და გარკვეული [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]-პროპაგანდის [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible]: [illegible] [illegible]:

1) Кирсанов, С. И. Самая необходимая библиотека (Указатель книжек по вопросам с.-р. программы "За книжкой" 1906 № 6; 2) Краткий список лучших и наиболее доступных для сельских и фабрично-заводских читателей. СПБ. 1906, 30 стр. (с предисл. Н. Рубакина) 3) Краткий список популярных изданий, сост. литературной комиссией Петерб. группы народно-социалист. партии. "Народно-социалист. обозрение". Сб. 2; 4) Девно. Чего хотят социалисты. СПБ. "Друг народа". 1906; 5) Нестроев, Гр. Библиотека социалистов. Систем. указатель книг. М. "Молодая Россия. 1906.

სოციალ-დემოკრატ.: 1) Зомбарт В. - Путеводитель по социалистической литературе. Перев. СПБ. 1906; 2) Лебедев, Платон (В. Керженцев). Библиотека социал-демократа. Сост. указатель социалистической литературы. 1905 и 1906 г. (გამოც. მე-2 გამოცემა 1918 წ. /

3) В помощь читателю. Изд. "Донской речи". 1905(7 ნაკვეთი სხვადასხვა ავტორის) 4) Рык[illegible]ский Н., Праг А. и Яковлева, В. Рабочая библиотека. М. Изд. "Колокол". 1906; 5) Струмилин, С. Что читать социал-демократу. Краткие сист. указатели агитационной лит-ры для самообразования и алфавитный указатель с.-д. литературы. СПБ. "Новый мир" 1906. ნაკლები მნიშვნელობა [illegible]

[illegible] / Библиотечное ядро / [illegible]

1. Библиотеки народных читателей, начальных и высших училищ. Руководство для городских и земских управлений, заведующих и содержателей училищ, а также для попечительств о народной трезвости. Изд. кн. скл. Лукьяновского . . народн. дома. Киев. 1911. 280 стр.

2. Владиславлев, И.В. (ред.). Каталог общедоступной библиотеки. М. 1919. XVI, 229 стр.

3. Дерунов, К.Н. Примерный библиотечный каталог. Избранная литература по всем областям знания. Ч. 1 и 2. СПБ. 1905-1911.

4.Избранные библиотеки,сформированные под руков.Л.Поливанова и экспон.выставке О-ва поощрения трудолюбия.М.1888.

5.Каталог книг для народных библиотек-читален.Изд.Харьков.губерн.земство.Харьков.1912.

6. Каталоги для районных библиотек-читален школьно-народной библиотеки и передвижной библиотеки.Изд.Олонецк.губ.земства.Петрозаводск.1911.

7.Народная библиотека.Основной каталог.Изд.Нижегородской губ.земской управы.Н.-Новг.

8.Примерные списки книг для бесплатных народн.библиотек и читален.Сост.Библ.комитетом СПБ.об-ва грамотности.СПБ.1908.

9.Примерные каталоги,выработанные библиотечн.комиссией Моск.об-ва грамотности.М.1911.

გარდა ამისა არსებობდა მრავალი კატალოგი, გამოცემუ-ლი სახალხო განათლების სამინისტროს, ან მისი ადგილობრივი ორგანოების მიერ. როგორც მაგალითი შეიძლება დავასახელოთ: "Каталог книг для употребления в низших училищах ведомства М.Н.Пр. и для публичных народных чтений". Тфл.1896.

ეს ოფიციალური კატალოგები იმდენად ტენდენციურად [illegible] შედგენილი, რომ მათში თითქმის [illegible] [illegible] ლიტერატურას და მარქსიზმი [illegible] [illegible]-[illegible] [illegible] [illegible] [illegible] "[illegible]" [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] ადგილი არ ეძლეოდა.

განსაკუთრებით [illegible] ნ.რუბაკინის შრომა, [illegible] [illegible] [illegible] [illegible]-ებს. (Рубакин,Н.А. Среди книг.Опыт обзора русских книжных богатств в связи с историей научно-философских и литературно-общественных идей.Справочное пособие для самообразования и для систематизации и комплектования общеобразовательных библиотек, а также книжных магазинов.М.Т.1.Изд.2.1911.XXIV,424 стр.; Т.2.Изд.2.1913

ХУ, 930 стр.; Т. 3, 1915. Изд. 2. УШ, 200 стр.). პირველი ტომის წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს:

"Русский книжный рынок нуждается в общих библиографических указателях и обзорах книжных богатств, имеющихся к услугам русского читателя". ავტორს მიზნად ჰქონდა მიეცა "не только каталог книг, но и сравнительный обзор их по особой системе, положив в основу этого обзора не только классификацию явлений и областей жизни, но и историю научно-философских и литературно-общественных идей".

ავტორი არ იძლევა კითხვის გეგმას ან პროგრამას. იგი ამ თავის კაპიტალურ შრომაში, რომელშიც თავმოყრილია 17 ათასი წიგნის აღწერილობა, მხოლოდ ასახელებს ლიტერატურას დარგობრივად, ასახელებს ყველა მიმართულების წიგნს, მართალია ერთგვარი შერჩევით: დასახელებულია მხოლოდ ისეთი წიგნები, რომლებიც რაიმე მეცნიერულ ღირებულებას წარმოადგენენ. ლიტერატურის დარგობრივად განაწილების მიზნით რუბაკინს გამოყენებული აქვს თავისი საკუთარი საკლასიფიკაციო სქემა, რომელსაც საფუძვლად უდევს ოგიუსტ კონტის კლასიფიკაცია. ყოველი დარგის განყოფილება შედგება ორი ნაწილისაგან:

1. აღწერითი,
2. ბიბლიოგრაფიული.

პირველი ნაწილი, როგორც თვით შემდგენელი ამბობს, შეიცავს შემდეგ მასალებს:

ა/მეცნიერული დარგის დახასიათებას, "აღებულს საუკეთესო შრომებიდან";

ბ/საერთო ხასიათის სახელმძღვანელოების შედარებით დახასიათებას;

გ/ავტორების ქრონოლოგიურ სიას;

დ/ავტორების განაწილებას ძირითადი მიმართულებების მიხედვით;

ე/განაწილებას დასახელებული მეცნიერების ქვედარგების მიხედვით.

ე/განაწილებაზ მკითხველთა მოთხოვნების საფეხურების მიხედვით.

მკითხველებს რუბაკინი ყოფს ოთხ ძირეულ ჯგუფად:

1/ მკითხველები, რომელთაც მხოლოდ დაწყებითი ცოდნა აქვთ. მათთვის შესაფერი წიგნები ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია ნიშნით -I.

2/ საშუალო განათლების მქონე მკითხველები. ნაღვაწის წიგნების დიდი უმრავლესობა მათთვის არის გათვალისწინებული, ბიბლიოგრაფიაში ისინი ნიშნით არ აღინიშნება.

3/ ამავე კატეგორიის მკითხველები, რომლებიც ახლა იწყებენ მეცადინეობას. მათთვის შერჩეული წიგნები აღნიშნულია ნიშნით -II.

4/ სპეციალისტები, კვალიფიციური მკითხველები, რომლებიც საკითხს გაღრმავებულად ამუშავებენ. მათი პირობითი ნიშანი არის -III.

ყოველ განყოფილებას დართული აქვს საკითხის ბიბლიოგრაფია, განაწილებული ქვეგანყოფილებებით. მათგანში წიგნები ანბანურადაა გაწყობილი, მაგრამ ყველას აქვს ნიშანი, რომელიც გვაჩვენებს, რომელი კატეგორიის მკითხველისათვის გამოდგება აღნიშნული წიგნი.

მკითხველმა თვითონ უნდა შეარჩიოს ამ წიგნის მეშვეობით, ან მას უნდა შეურჩიონ ბიბლიოთეკაში ის წიგნები, რომლებიც საკუთრივ მან უნდა წაიკითხოს, რომელიმე დარგის გაცნობის მიზნით. ასე, რომ ეს შრომა არის ბაზა, სახელმძღვანელო კითხვის გეგმისა და პროგრამების შედგენისათვის. ავტორის ერთერთი მიზანია, დაეხმაროს ბიბლიოთეკარებს წიგნობრივი ფონდის დაკომპლექტებაში. იმისდა მიუხედავად, თუ მკითხველთა რომელი კატეგორიისათვის არის ბიბლიოთეკა განკუთვნილი, სათანადო ნიშნების მიხედვით ბიბლიოთეკარს და წიგნის საწყობის

მუშაკს შეუძლიათ შეადგინონ წიგნობრივი ფონდი. მაგრამ ცხადია, რომ თვითგანვითარებაზე მომუშავისათვის, თუ იგი უკვე საკმაოდ განვითარებული არ არის, ძალიან მძიმე ამოცანა უნდა იყოს ამ სახელმძღვანელოთი თავისთავის კითხვის პროგრამის შედგენა. სიებში შეტანილია ძალიან იშვიათი და კონფისკაციაქმნილი წიგნები. შეტანილია აგრეთვე უმნიშვნელო ან მოძველებული წიგნები, რომლებსაც მხოლოდ ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობა და აქვთ. ასე, მაგალითად, დასახელებულია: Герцберг. История Греции, რომელსაც თვით შემდგენლის მიერ შენიშვნებში აღნიშნულია "устарел".

წიგნების სიმრავლე ხელს კი არ უწყობს მკითხველს ლიტერატურის გარჩევაში, პირიქით, უშლის. ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიის განყოფილებაში /გვ. 162/ დასახელებულია ბუზესკულის ორი წიგნი: Введение в историю Греции და Краткое введение в историю Греции. აღნიშნულია მხოლოდ, რომ მეორე მოცულობით მოკლეა, მაგრამ არ არის მითითებული, რომელი ისარგებლოს მკითხველმა. ასეთი "ad libitum", ნასაკუთრევია, მხოლოდ აძნელებს კითხვის საქმეს მაშინ, როდესაც ადამიანი თვითგანათლებაზე მუშაობს.

რუბაკინის შრომის ძირითად თავისებურებას ლიბერალურის მენშევიკური პრინციპი წარმოადგენს: Составитель желал бы прежде всего избежать упреков в пристрастии, полагая, что время, нами переживаемое, прежде всего должно быть временем беспристрастной оценки, а буде нужно- и переоценки всяких программ, всех без исключения. Таким образом, партийная точка зрения совсем исключена из этой книги и заменена вне-партийной, или точнее говоря, над-партийной". "Будем прежде всего смотреть на то, что могло бы соединить людей, а не на то, что раз'единяет их". /გვ. 142-ე. ამავე აზრს იმეორებს შემდეგ, გვ: "Пусть каждое течение говорит само за себя и пусть о каждом течении читатели узнают и от самих его представителей".

გვ.20-ზე, ავტორი განსაზღვრავს "განათლების" ამოცანებს: "Усвойте определенный, законченный круг возможно точных знаний; определите цели вашей жизни, ваших стремлений, вашей работы, научитесь осуществлять их, как в целом, так и в мелочах, на практике, - и в вашей лично и в общественной жизни, - таковы задачи образования. Таковы задачи общего образования".

მაშასადამე ავტორის აზრით ყველა მიმართულება, ყოველგვარი მსოფლმხედველობა ღირებულებას წარმოადგენს, თუ კი ადამიანმა აითვისა და თავის პრაქტიკულ მოქმედებას საფუძვლად დაუდო.

ავტორი თვითონ ამბობს, რომ აუცილებლად უნდა შედგეს ამ მიზნის საფუძველზე კითხვის პროგრამები ცალკეული საკითხებისათვის. მაგრამ რუბაკინი უფრო შორს მიდის და ტ.I გვ.180-ზე ამბობს, რომ სასურველია წიგნების კლასიფიკაცია მკითხველთა ფსიქოლოგიური ტიპების მიხედვით: მეხსიერების ტიპის მიხედვით (სმენითი და სხვ./, აზროვნების ტიპის/ანალიტიკური, სინთეზური და სხვ./და ა.შ. მისი აზრით შედგენილი უნდა იქნას ტაბულა, სადაც თითოეული ფსიქიური თვისება აღინიშნება პირობითი ნიშნით. ამ ტაბულით თვით მკითხველმა უნდა შეადგინოს თავისი ფსიქოლოგიური ფორმულა და ამ უკანასკნელის შემწეობით მონახოს კატალოგში შესაფერისი წიგნი. მაშასადამე თითოეული წიგნის აღწერილობა უნდა შეიცავდეს აგრეთვე პირობით ნიშანს, ინდექსს ამ ფსიქოლოგიური ტიპისა, რომლის წარმომადგენლისთვისაც ეს წიგნი ვარგა. ავტორი, მართალია, აღნიშნავს, რომ ერთი ტიპის მკითხველი შეიძლება შეეჩვიოს სხვა ტიპის წიგნების კითხვას, მაგრამ მაინც ცხადია, რომ პრაქტიკულად ასეთი მუშაობის განხორციელება ძნელიც არის და მიუღებელიც. ასე გამოდის, რომ, მაგალითად, მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა რომელიმე შრომა მკითხველმა უნდა წაიკითხოს არა მა-

რის, საერთოდ [illegible] უნდა ეს ამ წიგნამდე მიიყვანს, რადგან მამის, რომელსაც მისი ფსიქო-ფიზიოლოგიური აპარატი აითვისებს შესაფერისი ტიპის წიგნების კითხვას.

ვ.ი.ლენინმა თავის რეცენზიაში რუბაკინის წიგნის მე-2 ტომზე/[illegible] გაზ. 1913//იხ. Ленин. т. XVII, стр. 330-332 /, აღნიშნა მისი ბევრი დადებითი მხარე და დაასკვნა, რომ ვერც ერთი სოლიდური ბიბლიოთეკა ვერ იმუშავებს რუბაკინის წიგნის გარეშე. მაგრამ ლენინი სასტიკად ილაშქრებს რუბაკინის "ობჟექტივიზმის" წინააღმდეგ. იგი ამბობს: "Недостатки сочинения-эклектизм автора и недостаточно широкое(вернее, едва только начавшее применяться) обращение к специалистам за сотрудничеством по определенным вопросам. Первый недостаток стоит, пожалуй, в связи с курьезным предубеждением автора против "полемики".-"Рубакин заявляет, что он "на своем веку никогда не участвовал ни в каких полемиках, полагая, что в огромнейшем числе случаев полемика -один из лучших способов затемнения истины посредством всякого рода "человеческих эмоций". Автор не догадывается, во-первых, что без "человеческих эмоций" никогда не бывало, нет и быть не может человеческого искания истины. Автор забывает также, во-2-х, что он хочет дать обзор "истории идей", а история идей есть история смены и, следовательно, борьбы идей". ავტორის ეკლექტიზმისათვის ფაქტად აღვნიშნოთ, რომ საშუალო ცოდნის მკითხველისათვის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ იგი ახასიათებს 9 ზოგადი ხასიათის შრომას /ლუი ბლანი, მიშლე, კარლეილი, კარნო, კინე, ოლარი, ტიერი, ტენი, მინე, ჟორესი/. ამ ავტორების იდეოლოგია კარდინალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მართალია, სათანადო ადგილზე/ტ.Ⅱ, გვ.131/ იგი აძლევს ამ შრომების შეფასებით ანალიზს მათი ავტორების იდეოლოგიის მიხედვით, მაგრამ ამ საკითხში რომ მკითხველი გაერკვეს და წიგნი აირჩიოს, იგი უკვე საკმაოდ განათლებული კაცი უნდა იყოს.

ჩვენ ბევრი ამონაწერი გავაკეთეთ რუბაკინის შრომიდან.

მართალია ეს 3-ტომიანი წიგნი შედარებით ძვირად ღირდა და არც ისე ადვილი მოსანახი იყო, მაგრამ მან მაინც დიდი გავრცელება მიიღო. რუბაკინის "პარტიულობის" პრინციპმა ბევრი მიმდევარი აიყოლია და საკითხი განხილვის საგნად გახადა მთელ რიგ ბიბლიოთეკურ და ბიბლიოგრაფიულ ორგანოებში და კონფერენციებზე. როგორც რეკომენდაციული ლიტერატურის ცნობარი, რუბაკინის წიგნი ახლაც სასარგებლოა.

ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა თავის დროზე ხარკოვის საკვირაო სკოლის მასწავლებელ-ქალების მიერ შედგენილი შრომა ქ.დ.ალჩევსკაიას ხელმძღვანელობით (Что читать народу?Критический указатель книг для народного и детского чтения. Составлен учительницами Харьковской частной женской воскресной школы Х.Д.Алчевской и другими.3 т .СПБ.Т.1.1884.808 стр.; т.2.1889.976 стр.; т.3.1900.511 стр.).

წიგნი შეიცავს სახალხო და საბავშვო ნაწარმოებების კრიტიკულ ანალიზს მათი გამოსადეგობის თვალსაზრისით/სახალხო აუდიტორიისათვის/.

ყოველ განხილულ ნაწარმოებებზე კრებულში მოყვანილია მასწავლებლების აზრი, დამუშავებული მკითხველებზე დაკვირვების და მათთან საუბრებზე. ხშირად აგრეთვე მოყვანილია თვით მკითხველთა აზრი, წერილობით, ან ზეპირი, ჩაწერილი მასწავლებლის მიერ. მკითხველთა აზრი მიღებულია ან კოლექტიური კითხვის ან ინდივიდუალური კითხვის შედეგად. მოყვანილია მდიდარი მასალა მკითხველთა გამომჟღავნებაზე, გარჩეულია ბევრი კლასიკური ნაწარმოები. ამ მუშაობის შედეგად ჩვენ გვაქვს სახალხო და საბავშვო ლიტერატურის თითქმის ყველა ნაწარმოების გარჩევა. რადგანაც წიგნები განაწილებულია სისტემატურად, ადვილია მათით სარგებლობა პედაგოგისა და ბიბლიოთეკარისათვის. მაგრამ

ანუ აქ გვაქვს ჩვენ მოცემული სისტემატიკურად შერჩეული საკითხავი მასალა გარკვეული სასწავლო გეგმისა და პროგრამის მიხედვით.ამრიგად საკითხი კითხვის გეგმის და პროგრამის შესახებ ამ შრომის შემდეგაც ისევ ღია რჩება.

წიგნში არის შემდეგი განყოფილებები:

I.სასულიერო-ზნეობრივი

უნდა აღვნიშნოთ,რომ მხოლოდ ეს განყოფილება წარმოადგენს სისტემატიზებულ კითხვის გეგმას.

II. ლიტერატურული

1. მოთხრობები
2. მოთხრობები ლოთობის წინააღმდეგ
3. კაპეიკიანი გამოცემები
4. იგავ-არაკები
5. ზღაპრები
6. დრამატიული ნაწარმოებები.

III. ბუნებისმეტყველება

1. კრებულები ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგიდან.
2. მათემატიკური გეოგრაფია
3. ფიზიკური გეოგრაფია
4. ფიზიკა,ქიმია,ტექნოლოგია
5. სოფლის მეურნეობა
6. ჰიგიენა,ფიზიოლოგია,ანატომია
7. ზოოლოგია
8. ბოტანიკა.

ისტორიული,რომელშიც შედის ისტორიული მეცნიერულ-პოპულარული და მასობრივი ლიტერატურაც ისტორიული ბელეტრისტიკაც.

V. ბიოგრაფიული

VI. გეოგრაფიული

VII. საგრობო საქმე და სახალხო მეურნეობა.

ყველა განყოფილებას დართული აქვს საძიებელი, სადაც წიგნები დასახელებულია იმავე რიგით. მაგრამ ცალცალკე სვეტებში აღნიშნულია მათი ვარგისობა მკითხველთა შემდეგი კატეგორიებისათვის:

1. მცირეწლოვან მცირემცოდნეთათვის
2. მოზრდილ მცირემცოდნეთათვის
3. უფროს მცირემცოდნეთათვის
4. უფრო მომზადებულ მცირეწლოვანთათვის
5. უფრო მომზადებულ მოზრდილთათვის
6. უფრო მომზადებულ უფროსთათვის.

ყველა წიგნის გარჩევას დართული აქვს პატარა კითხვარი შემდგომი მუშაობისათვის. ეს კითხვარები მიზნად ისახავენ გმირების ხასიათის გამორკვევას და ნაწარმოების იდეის ამოხსნას. აგრეთვე მიცემა არის გეგმა, რომლის ესმით ესაუბრის ეთიკური პრობლემა ხალხის ნაწარმოებების.

ამ კატალოგში განკუთვნილია სპეციალურად ხალხისათვის დაწერილი თითქმის ყველა წიგნი, რომელიც კი გამოვიდა ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში. განხილულია აგრეთვე საერთო ლიტერატურის ის ნაწარმოებები, რომლებიც შეიძლება წაკითხული იქნას მოზრდილთა და მოზარდთა აუდიტორიებში. ამ ნაწარმოებების შემოწმება თვით მსმენელთა აზრებით ძლიერ მნიშვნელოვან მასალას იძლევა, როგორც გარჩეული ნაწარმოებების შეფასებისათვის, ისე შემდეგში ხალხური წიგნების შედგენისათვის. მაგრამ ამ წიგნით, როგორც კითხვის პროგრამით, როგორც სისტემატური კითხვის სახელმძღვანელოთი ვერ ისარგებლებს ვერც მკითხველი და ვერ ხელმძღვანელი. ეს არის ნედლი მასალა, მართალია, ძლიერ მდიდარი და მნიშვნელოვანი.

აარიგად;როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებში,ისე რევოლუციამდე რუსეთში,დამოუკიდებელი კითხვის ორგანიზაციის ცენტს ჰქონია ადგილი.მაგრამ ყველა ღონისძიებები უმთავრესად მიმართული იყო ან ინტელიგენტური ფენებისაკენ,ან,უკეთეს შემთხვევაში,მაღალკვალიფიციური მუშათა ფენებისაკენ.ყველაზე ნაკლები ზრუნვის საგანი იყო მოსახლეობის ის ფენები,რომლებიც ამას უფრო მეტად საჭიროებდნენ.მართალია,1905 წლის რევოლუციამ მოგვცა მთელი რიგი საძიებლებისა,რომლებიც დამწყები მკითხველისათვის იყო განკუთვნილი,მაგრამ ამ ცდებს უფრო ადგილობრივი,ლოკალური ხასიათი ჰქონდა,ძლიერ პატარა აუდიტორიას ემსახურებოდნენ.გარდა ამისა,უმთავრესად ეს იყო სარეკომენდაციო სიები და არა კითხვის გეგმები.არ შეიძლება უარვყოთ სარეკომენდაციო სიების საჭიროება და მათი სარგებლიანობა.მაგრამ მაინც მათ არ ძალუძთ შეცვალონ კითხვის გეგმა და პროგრამა.სარეკომენდაციო სიაში ჩვეულებრივად თავმოყრილია რომელიმე თვალსაზრისით შერჩეული საუკეთესო ლიტერატურა მოცემულ თემაზე.მკითხველის საქმეა,რომელ ნაწარმოებს აირჩევს ამ სიიდან,რა თანამიმდევრობით გაეცნობა სიაში დასახელებულ ნაწარმოებებს.მაშასადამე,უკვე ერთგვარი გამოცდილება,დახელოვნება არის საჭირო სარეკომენდაციო სიებით მოსარგებლობისათვის.კითხვის გეგმები და პროგრამები,სარეკომენდაციო სიებისაგან განსხვავებით,მიზნად ისახავენ ზუსტად მიუთითონ მკითხველს,სახელდობრ რომელი წიგნების რა ადგილები და როგორი თანამიმდევრობით უნდა იქნას დამუშავებული,რომ დისციპლინა ან საკითხი შესწავლილი იქნას განსაზღვრული პროგრამის მიხედვით.ეჭვის გარეშეა,რომ დახმარების ასეთი ფორმა მკითხველებისათვის,რომლებიც ახლად იწყებენ დამოუკიდებლად მეცადინეობას,ან ჯერ უცნობ საკითხზე მუშაობენ,ყველაზე უფრო საჭირო,სასარგებლო უნდა ჩაითვალოს.

თავი IV

ორგანიზაციული კითხვა და თვითგანათლებითი მუშაობა საქართველოში.

თვითგანათლების და, კერძოდ, კითხვის, ორგანიზაციის ისტორია საქართველოში სპეციალურ კვლევა-ძიებას მოითხოვს. ეს ამოცანა ერთი ადამიანის შესაძლებლობას აღემატება, რადგანაც ისეთი საკითხები, როგორიცაა: საკვირაო სკოლები საქართველოში, ქ.შ.წ.-კ.გ.ს, ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობა და ბევრი სხვა-ცალკე მონოგრაფების საგანი უნდა გახდნენ. ამიტომ აქ საკითხს ზოგადად შევეხებით.

უშუალოდ ფაქტებს კითხვის ორგანიზაციის და ხელმძღვანელობის შესახებ მაინც და მაინც ბევრს ვერ შევხვდებით. არ ჩანს, თუ არსებობდა კითხვის გეგმები და პროგრამები, სარეკომენდაციო სიები ან კონკრეტული დახმარების სხვა რაიმე საშუალებანი.

კითხვის ორგანიზაციის მეორე მეთოდი-ტიპიური კატალოგებიც არ უნდა არსებულიყო.

ჩვენამდე მოუღწევიათ ან არის ნიშნები რამდენიმე დაბეჭდილი კატალოგის არსებობის, მაგრამ ყველა ეს იყო ცალკეული, კონკრეტული ბიბლიოთეკების დაბეჭდილი კატალოგები. ასეთებად უნდა ჩაითვალოს:

1. მთვარელიშვილი, ნ. კატალოგი წიგნთსაცავისა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა. ნაწ. I. ქართული განყოფილება. თბ. 1887.
2. კარიჭაშვილი, დ. კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოებისა წიგნსაცავისა. თბ. 1905.
3. იგივე დამატება I. თბ. 1911
4. რუსულ-ქართული კატალოგი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. 1912 წ. თბ. 1913.
5. კატალოგი ქართული კლუბის ბიბლიოთეკისა. ტფ. 1919.

გარდა ამისა არის ქართული წიგნების განყოფილებანი თბილისში დაბეჭდილი ზოგი ბიბლიოთეკის კატალოგში. ასეთებია, მაგალითად,

ზუბალაშვილების სახ. სახალხო სახლის ბიბლიოთეკის დაბეჭდილი კატალოგი და სხვ.

გარდა ამისა სხვადასხვა დროს გამოცემული იქნა მთელი რიგი წიგნთსავაჭრო კატალოგებისა.

ცხადია, რომ ამ გამოცემებს თუმცა არა ჰქონდათ მიზნად კითხვის ორგანიზაცია, მაგრამ მაინც ხელს უწყობდნენ მკითხველებს ლიტერატურის შერჩევაში და ამით დიდ სამსახურს უწევდნენ მათ.

მაგრამ ამა თუ იმ სახით ყოველთვის სწარმოებდა თვითგანათლების გზით სწავლა და არსებობდა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელთა დანიშნულებაც იყო თვითგანათლებაზე მომუშავეთადმი დახმარების აღმოჩენა. რადგანაც დასავლეთ ევროპის და რუსეთის თვითგანათლებაზე მუშაობის შესწავლა მე-XIX - XX საუკუნეებით შემოვფარგლეთ, საქართველოს შესახებაც მასალებსაც აქ ამ, პერიოდის ფარგლებში შევეხებით.

ჯერ კიდევ მე-XVIII საუკუნის წყაროები გვაჩვენებს, რომ მოსახლეობაში დიდი იყო ცოდნის წყურვილი, დიდი იყო მოთხოვნა წიგნებზე. თუმცა ამ საუკუნეში, მართალია დიდი ხარვეზით, სტამბები არსებობდა, მაგრამ მათი პროდუქცია საკმარისი არ იყო. ამიტომ ჯერ კიდევ არსებობდა გადამწერების პროფესია. ცნობილია დავით რექტორის მიერ ლამაზი ხელით გადაწერილი წიგნები, კერძოთ -ჩახრუხაძის "თამარიანი" /საქსსრ საჯარო ბიბლიოთეკა/. "იესე ოსეს ძეს თავგადასავლიდან" /პუბლიკაცია ს. კაკაბაძე. თბ. 1913/ ჩანს, რომ, როდესაც მისი სამსახური წყდებოდა იმ ინტრიგების გამოისობით, რომლებშიც როგორც ჩანს იესე მონაწილეობას იღებდა, იგი ყოველთვის მიმართავდა ხოლმე წიგნების გადაწერას, როგორც პროფესიას და ამით ინახავდა თავის თავსაც და ცოლ შვილსაც.

მე-XIX საუკუნის დასაწყისში ქართული წიგნების გამოცემა ძლიერ კლებულობს და, როგორც ჩანს, გადაწერა და ხელნაწერების გავრცელება ყოფილა აზრის გაზიარების მთავარი საშუალება.

ამ მოთხოვნის შედეგად უნდა იყოს თვით ნ.ბარათაშვილის მიერ დამაზად გადაწერილი ლექსების კრებული და განსაკუთრებით-პოემა"ბედი ქართლისა", [illegible] ფაქსიმილურად დაიბეჭდა ი.გრიშაშვილის რედაქციით (თბ. 1916) მე-XVIII საუკ.დასასრულს და მე-XIX საუკ. დასაწყისში გამოვიდა რამდენიმე ისეთი წიგნი,რომელთა დანიშნულებაც იყო-დახმარებოდა თვითგანათლებაზე მომუშავეთ, საცნობო და სახელმძღვანელო ყოფილიყო მათთვის.ასეთია გოდერძი ფირალოვის"თვითმასწავლებელი",რომელიც იპყრობს თავის-შორის გრამატიკასა,მწერობის სწავლასა, საუბარსა და ლექსიკონსა რუსულსა და ქართულსა ენასა ზედა". სპ ბ. 1820.ასეთივეა მეორე მის წიგნი "საზოგადო მრივნობაი".სპბ. 1821,ან მგზავ-ლეკარის შეცრე კაპიცანთვის ოთხი „კარაბადინი", გამოცემული 1826-28 წლების მანძილზე. უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს წიგნს " ენციკლოპედია ანუ შეკრებილობა ზნეობათა სწავლათა ჰაზრთანი,და განსჯანი სხუათა და სხუათა ნივთთათვის, გადმოთარგმნილი გიორგი ჩიტუნოვის მიერ". სპ ბ.1829.
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის "კალმასობა" რომელიც შეიცავს მდიდარ ფაქტობრივ მასალას საქართველოს შესახებ მე-XVIII საუკუნის დამლევსა და მე- XIX -ის დასაწყისში.იგი პირველად დაიბეჭდა"ცისკრის"რედაქციის მიერ 1862-1867 წლებში 2 ტომად. რომ ამ გვარ წიგნებზე მოთხოვნილება დიდი ყოფილა ამას მოწმობს "კალმასობის" თავფურცელზე მოთავსებული სიტყვები:" ქართველთ-იმერთ საზოგადოების მოწყობილობით".
ენციკლოპედიური ხასიათის მასალები მოიპოვება აგრეთვე მოზრდილთათვის შედგენილ სახელმძღვანელოში. ფურცელაძე,დ. ქართული ანბანი და საკითხავი წიგნი მდაბიო ხალხისათვის:თბ. 1863. იაკობ გოგებაშვილის "ბუნების კარი" თუმცა სკოლებისათვის იყო შედგენილი, მაგრამ სკოლის გარეშე მეცადინეთათვის ამ წიგნს ნაკლები სამსახური არ გაუწევია.

შემდგომში მხოლოდ საუკუნის მიწურულში ჰქონდა ადგილი

ენციკლოპედიის გამოცემის ცდას. ეს იყო ივ. როსტომაშვილის "[illegible]. რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი." ნ 1 და 2. თბ. 1898; ნ. 3-4. თბ. 1899. ლექსიკონი სამწუხაროდ დაუმთავრებელი დარჩა და შეიცავს მხოლოდ ასოებს ა-გ.

განმანათლებელი მოძრაობა, რომელიც მე-XIX საუკუნეში იწყება პოლიტიკური კრიზისით გამოწვეული თავზრუდან გარკვევის შემდეგ, ნელა ვითარდებოდა. არ იყო ჯერ სპეციალიზაცია, დიფერენციაცია. ქართველ საზოგადო მოღვაწე იყო მწერალიც, [illegible], მასწავლებელიც, ბიბლიოთეკის მუშაკიც, მესტამბეც და სხვა. [illegible] ასეთია სოლომონ დოდაშვილი, ასეთია მისი წრიდან გამოსული თაობა და მათი მიმდევრები. ნ. ბარათაშვილი ~~[illegible]~~ 1841 წლის 18 ოქტომბრის წერილში გრიგოლ ორბელიანს აცნობებს: "ლიტერატურა ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მეჯლისობაში და მარტოობაში, შეეწევიან მამულს ენას, რომელნიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ცრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არ ხშირად გონებით". რომ ნ. ბარათაშვილის ეს სიტყვები გარკვეული საზოგადოებრივ მოძრაობის ანარეკლს წარმოადგენენ, ამას მოწმობს ის, რომ 1842 წელს დიმიტრი ყიფიანმა მთავარ მართველს გოლოვინს წარუდგინა დასამტკიცებლად კერძო ბიბლიოთეკის წესდების პროექტი /დ. ყიფიანი. მემუარები. ტფ. 1930. გვ. 144/. ფაქტიურად, როგორც ამავე მემუარებიდან ჩანს, ბიბლიოთეკა უკვე არსებულა ვიწრო წრისათვის 1844 წლიდან. დამაარსებლად შორის დასახელებულნი არიან იმდროინდელი ახალგაზრდა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი: ზაქარია ერისთავი, ზაქარია ფალავანდიშვილი, ლევან მელიქიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, მიხეილ თუმანიშვილი, დავით ჭავჭავაძე და სხვ. იმდროინდელი სალონების და წრეების შესახებ საკმაოდ არის ნათქვამი ი. მაღახაშვილის წიგნში {დაწვრილებით აქ არ შევჩერდებით[x] ბიბლიოთეკა დ. ყიფიანის მიერ 1848 წელში გადაეცა თბილისის საჯარო

[x] მაღალაშვილი, ი. ლიტერატურული წრეები [illegible] საქართველოში. თბ. 1940.

ბიბლიოთეკას, რომელიც დაარსდა 1846 წელს. ეს ბიბლიოთეკა შედგა შემოწირული წიგნებიდან, შემდეგ მიემატა წიგნები კავკასიის შესახებ, შეძენილი ცნობილი მოგზაურის და მკვლევარის დიუბუა დე მონპერეს მითითებით, ხოლო 1848 წელს მიემატა ოდესაში დევურიოვისაგან შეძენილი 5847 ტომი.

მაგრამ ბიბლიოთეკების როლი თვითგანვითარებაზე მომუშავეთადმი დახმარების საქმეში არ იყო დიდი ყველაზე კარგი ბიბლიოთეკები დახურული ტიპისა იყო/მაგ. სასულიერო სემინარიის, ვაჟთა I გიმნაზიის, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების და სხვა მეცნიერული ორგანიზაციების ბიბლიოთეკები). ღია "საჯარო" ბიბლიოთეკები, გარდა სახაზინო "თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისა", რომელიც თავისი მუშაობის სტილით უფრო დახურულ ბიბლიოთეკას ჰგავდა, სუსტები ყოფილა.

1872 წელში თბილისში ყოფილა 2 კერძო ბიბლიოთეკა შემდეგში მათი რიცხვი მატულობს. 1882 წელში იყო 4 ბიბლიოთეკა, მე-XIX საუკ. მიწურულში ყველაზე პოპულარული იყო ო. კაიდნოვას მიერ დაარსებული „იაფფასიანი ბიბლიოთეკა."

მაგრამ ყველა ეს ბიბლიოთეკები ძირითადში რუსულ წიგნებისაგან შესდგებოდა და ფართო მასებს, რომლებმაც რუსული არ იცოდნენ, მომსახურეობას ვერ უწევდნენ.

უკეთესი მდგომარეობა შეიქმნა, როდესაც ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელმძღვანელობით თბილისში გაიხსნა ქართული ბიბლიოთეკები. პირველი ბიბლიოთეკა საზოგადოებამ თბილისში დაარსა 1892 წელს, შემდეგ მას მიემატა მეორე ბიბლიოთეკა.

სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა ბიბლიოთეკების დაარსებას დაბებში და სოფლად. ბიბლიოთეკების გახსნას სოფლებში 90-იან წლებში იწყებენ. მათ შორის საყურადღებოა საგარეჯოს ბიბლიოთეკა, გახსნილი ადგილობრივი სოფლის ინტელიგენციის ზრუნვით. დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს ბიბლიოთეკების არსებობა:

დუშეთში/1870 წ./,ონში და იყალთოში/1875 წ./,თელავში /1880წ/ დ.ჯიხაიშში/1881 წ./,ქუთაისში/1883 წ./,ხოვლეში/1884 წ./ მუხრანს,ველისციხეს,ზულეკარს/სენაკის მაზრა/,თიანეთში/1885 წ./ ლანჩხუთში/1885 წ/,ხიდისთავში/გურია//1894 წ./ "დროება" 1884 წ.№273-ში ათავსებს მეთაურს:"სოფლის ბიბლიოთეკა".

შემდგომში გაზეთები და ჟურნალები უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ამ საქმეს. განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბიბლიოთეკებს "კვალის" კორესპონდენციებში.

თვალსაჩინოა ბიბლიოთეკების ხვედრითი წონა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების გეგმებსა და ანგარიშებში. 1901 წელში საზოგადოებას ჰქონია 9 ბიბლიოთეკა, 1903 წელში 11, 1909 წ.-13 და კიდევ დაარსდა 10 ბიბლიოთეკა. 1913 წელში საზოგადოებას ჰქონია 66 ბიბლიოთეკა-სამკითხველო და წლის განმავლობაში კიდევ 16 გაუხსნია.

უფრო ხშირად ადგილობრივი მოსახლეობა, რამდენიმე ინიციატორის ხელმძღვანელობით აარსებდა წრეს, აგროვებდა პატარა თანხას წიგნების შესაძენათ და აცნობინებდა წ.კ საზოგადოებას, რომელიც კისრულობდა ნებართვის აღებას და ეხმარებოდა ინსტრუქციებით, წიგნებით და ზოგჯერ-ფულითაც.

ჩვეულებრივად ბიბლიოთეკარად მუშაობდა ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი.

1911 წლის ანგარიშიდან ჩანს, რომ წ.კ. საზოგადოებასთან არსებული ბიბლიოთეკების და სახალხო კითხვების სექციამ, რომლის სამუშაო გეგმა შეიცავდა შემდეგ მუხლებს: 1. ჟურნალ-გაზეთებით და წიგნებით დახმარების აღმოჩენა.

2. ფულით დახმარება.

3. კერძო პირთა ან საზოგადოებრივი ჯგუფების თხოვნით შუამდგომლობის აღძვრა ბიბლიოთეკების დაარსების შესახებ.

4. სისტემატური რევიზია.

5. ნორმალური კატალოგის შედგენა.

6. ბუნდოვანი სურათებით სახალხო კითხვების მოწყობა.

7. სამაგალითო ბიბლიოთეკების დაარსება.

1913 წელს 23 ბიბლიოთეკას წარმოუდგენია სტატისტიკური ცნობები. ამ 23 ბიბლიოთეკაში სულ ყოფილა 2415 ხელისმომწერი. გაუტანიათ 21,414 წიგნი. სულ წიგნების ფონდი ამ 23 ბიბლიოთეკაში შეადგენდა 21.899 წიგნს აქედან იყო: სიტყვაკაზმული–6801; ისტორიული და გეოგრაფიული–1454, პუბლიცისტური და ეკონომიური–1167, ბუნების მეტყველება–885, საბავშვო–1182.

მომსვლელთა საერთო ჯამი უდრის 87.425 /იგულისხმება როგორც წიგნის წამღები, ისე ჟურნალ-გაზეთების მკითხველები/.

სოფლის ბიბლიოთეკების გარშემო ირაზმებიან ადგილობრივი კულტურული ძალები. "კვალის" 1901 წლის № 4(გვ. 57) აღწერილია ხიდისთავის /გურია/ ბიბლიოთეკის წევრთა კრება. დასწრებია 40 წევრი და გარდა ამისა გარეშენიც. კრების გადაწყვეტილებით, ბიბლიოთეკაში უნდა იყიდებოდეს სასწავლო ნივთები და ფოსტის ნიშნები ბიბლიოთეკის სახსრების გასადიდებლად გადაწყვეტილი ყოფილა აგრეთვე საშობაო მომღერლების ჩამოტარება "ალილოზე" სამკითხველოს სასარგებლოდ საყურადღებოა ხიდისთავის ბიბლიოთეკის წევრთა კრების დადგენილება, ერთერთი წევრის შესახებ: "გაირიცხოს სამუდამოდ წევრთა რიცხვიდან მასილეთის საზოგადოების სოფლის მწერალი ზ. ყარამან ნინიძე შემდეგი მოტივების ძალით: 1/ მან შეურაცხყო და საშიშს მდგომარეობაში ჩააგდო საზოგადო ქართული პრესა და კრიტიკა-გაზ. "კვალი"; 2/ შეურაცხყო ჩვენი საუკეთესო მწერალი ნინოშვილის პიროვნება და 3/ ამით შეურაცხყო ჩვენი შეგნებული ინტელიგენცია. ამიტომ დაუბრუნდეს საწევრო ფული". ეს ბიბლიოთეკა დაარსებულია 1894 წელს და საზოგადოებრივტრიბუნად გადაქცეულა.

მოთხოვნა წიგნებზე სწრაფი ნაბიჯით იზრდება. თუ "ცისკრის" და "დროების" ფელეტონისტი მოლაყბე ჩიოდა, რომ მან ქართული წიგნის მკითხველები მხოლოდ [illegible] ნახა, 60-იან წლებში იაფფასიანი სახალხო წიგნზე გაზრდილი მოთხოვნილება საკმაოდ-

ფილებლად არსდება სტამბები და გამომცემლობანი. ასე, 1865 წელს დაარსდა თბილისში სტეფანე მელიქიშვილისა და კომპ. სტამბა. ამ წელს ეს სტამბა ბეჭდავს ი. გოგებაშვილის „ქართულ ანბანს", რომელსაც შემდეგ "დედა-ენა" დაერქვა, ჟორჟ ზანდის ზღაპარს "გრიბულ", პეტრე უმიკაშვილის "ქართული ანბანი". "ამბები ძველი დროების ხალხებზე". 1873 წელს თბილისში არსდება ა. კალანდაძის და ი. ნერსესოვის ამხანაგობა იაფფასიანი წიგნების ბეჭდვისათვის. მათ მიერ გამოცემული იქმნა "ალექსიანი", "ბეჟანიანი", "ქალ-ვაჟიანი", "არსენას ლექსი".

ფრიად საყურადღებოა, რომ ამ პერიოდში /1876 წელს/ იბეჭდება პირველი ქართული მდაბიური, ქურქის გამოცემა: [illegible] „სალხინო სამანდარი" ხალხის მწარე მოთხოვნას წიგნზე ალთ აულებს ~~ხალხს~~ აბპაცელოებმა, ძამუკოებმა, შახბარათოებმა და სხვ., რომელთაც საქართველოს ბაზრები მოჰფინეს თავისი გამოცემებით, „ჯიგი, ჯიგის ლექსით" და მისთანებით. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთერთი მიზანი იყო იაფასიანი, სასარგებლო წიგნების ბეჭდვა. საზოგადოება დაარსდა 1879 წლის 15 მაისს. 1884 წელში მან დაბეჭდა 2 წიგნი. 1914 წლამდე საზოგადოებას 148 სახელწოდების წიგნი გამოუცია. არასრული ცნობებით 1920 წლამდე /ჩათვლით/ საზოგადოებას სულ გამოუცია 245 სახელწოდება /განმეორებით/. შემდეგი დიდი გამომცემლობა იყო "ქართველთა ამხანაგობა", რომელმაც მოქმედება დაიწყო 1890 წელს. მან კარგად შეათავსა იდეური, პრინციპული მიზნები კომერციულ საქმიანობასთან. გამომცემლობას ჰქონდა თავის დროისათვის კარგად მოწყობილი სტამბა, საკუთარი წიგნის მაღაზია /ქვაშვეთის ქვემოთ, ალექსანდრეს ბაღის ყურეში/. ამხანაგობამ გამოსცა ქართველი მწერლების ნაწარმოებები: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის; ალ. ყაზბეგის, რ. ერისთავის და სხვათა. ანალოგიური გამომცე-

მლობა დაარსდა ქუთაისში 1892 წელს. მან გამოსცა გ.წერეთლის, მამია გურიელის და სხვათა ნაწარმოებები, სულხან ბარათაშვილის " საქართველოს ისტორია" და ბევრი იაფფასიანი წიგნი.

მასების განათლების საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ზაქარია ჭავჭავაძეს და ივანე როსტომაშვილს. ორივემ შეადგინეს და გამოსცეს მრავალი მეცნიერულ-პოპულარული წიგნაკი. ისინი თავისი დაუშრეტელი ენერგიით სხვებსაც იტაცებდნენ. ზ.ჭიჭინაძეს ჰყავდა მოწაფეები და მიმდევრები, რომლებიც გამომცემლობდნენ კიდეც და პირადად სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ავრცელებდნენ იაფფასიან სასარგებლო წიგნებს. ზ.ჭიჭინაძის მიერ 1920 წლამდე სულ გამოცემულია 177 წიგნი. მან იაფფასად გამოსცა ისეთი პოპულარული წიგნები, როგორიცაა: "ქართლის ცხოვრება" ,"ამირან-დარეჯანიანი", "კალმასობა" და სხვ. მე-XIX საუკ. ბოლოს და მე -XX საუკ. დასაწყისში გვხვდება რამდენიმე სერია გამოცემული ივ. როსტომაშვილის მიერ: "ივანე როსტომაშვილის გამოცემა მოწაფეებისათვის და ხალხისათვის", "ივანე როსტომაშვილის საფასით და რედაქციით გამოცემული ოჯახისათვის"," ივ. როსტომაშვილის სახალხო გამოცემა გამოსადეგ ცნობათა ", მისივე "სახალხო და საყმაწვილო გამოცემა". როსტომაშვილმა გამომცემლობის საქმეში ჩააბა სტეფანე ზუბალაშვილი და სხვანი. ზუბალაშვილის საფასით დაიბეჭდა 22-ზე მეტი იაფფასიანი მეცნიერულ-პოპულარული წიგნი. როგორც უკვე აღნიშნულია, მან დაიწყო რუსულ-ქართული ენციკლოპედიის ბეჭდვა /"სალარო ცოდნისა"/, მაგრამ სამწუხაროდ მხოლოდ 4 ნაკვეთის დაბეჭდვა მოახერხა.

მინამ დასახელებული დიდი გამომცემლობები მოქმედებას გაშლიდნენ, გამომცემლობა ხშირად შემთხვევით ხასიათს ატარებდა იყო დამოკიდებული. თბილისში ერთდროს კარგად იყო ცნობილი "დიდი დიაკვანი" /როგორც მას უწოდებდნენ ცანადობისა და რი-

ხიანი ხმის გამო/, გიორგი მაღიკანიანი, რომელმაც გამოსცა: "მოქალაქე და ბალ ლალოასი საუბარი ტერტერებზე /ღვდლებზე/, ნათარგმნი სომხურიდან გ.წინამძღვაროვის მიერ, თბ. 1879" და „დ.გურამიშვილის. დავითიანი. პეტრე უმიკაშვილის რედაქციით. თბ. 1881".

კულტურულ-განათლებითი მუშაობა საქართველოში მიმდინარეობდა გარკვეული პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ამოცანებთან დაკავშირებით* ი.ბალახაშვილს თავისი პატარა გამოკვლევაში "ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში" მოცემული აქვს აღწერა ასეთი მუშაობის ს.დოდაშვილის და მისი თანამებრძოლებისა. სტეფანე მელიქიშვილის სტამბა და გამომცემლობა თერგდალეულთა მოძრაობასთან არის დაკავშირებული. ხალხოსნების მთელი ყურადღება ხალხის კულტურული დონის ამაღლებისაკენ იყო მიმართული. ამხ. ლავრენტი ბერიას თავის გამოკვლევაში "ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" დასახელებული აქვს წრეები, რომელთაც ჯერ ისევ სემინარიაში ხელმძღვანელობა ი.სტალინი შემდეგ მას მოყვანილი აქვს შემადგენლობა იმ წრეებისა, რომლებიც თბილისში მუშაობდნენ 1898 წლიდან.

ამრიგად პრაქტიკულ კულტურულ მუშაობას ლიტერატურულ-იდეოლოგიური ბაზა ჰქონდა. საინტერესოა [illegible] წერილები "ივერიაში" /1877 წ. N 32-37/ სათაურით: "ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა", რომლებიც შემდეგში ცალკე წიგნად გამოსცა ზ.ჭიჭინაძემ/თბ. 1902/. წერილების ავტორი ამბობს: "სასოფლო სასწავლებელმა უნდა იქონიოს დაახლოვებითი კავშირი, როგორც კურს შესრულებულებთან, ისე ყველა წერა-კითხვის მცოდნე გლეხებთან. ეს კავშირი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ სასოფლო სასწავლებელმა იმათ აძლიოს ხოლმე საკითხავად ადვილად გასაგები და მათთვის სასარგებლო წიგნები. ამისათვის სასოფლო სასწავლებელს უნდა ჰქონდეს თავისი ბიბლი-

თეკა, რამდენადაც შესაძლოა სწორი საკითხავი და სასარგებლო წიგნებითა, როგორც მოწაფეებისათვის, ისე მოზარდ ყმაწვილების გამოყენებათა, წასაკითხველია, ურიგო არ იქნება და ადვილი მოსახერხებელიცა, რომ ამ ბიბლიოთეკასთან იყოს მოწყობილი "სახალხო საკითხავი ადგილი", სადაც შეეძლოს თავის მოყრა და წიგნების წაკითხვა." ბევრი მასწავლებელი, ხალხის გულწრფელი მეგობარი, მუშაობდა როგორც კვირაობით, ისე სხვა დღეების საღამოობით მოსახლეობასთან, უკითხავდა წიგნებს, ასწავლიდა წერა-კითხვას. ქ. შ. წ. კ. გ. საზ-ბამ რომ ს. წინარეხში სკოლა გახსნა, იქ მასწავლებლად დაინიშნა გიუნაშვილი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში საკვირაო სკოლას აწარმოებდა.

ვაჟა-ფშაველა თავის "სოფლის სურათებში" /ტ.5 გვ. 203/ გვიხატავს იდეალურ სოფლის მასწავლებელს, რომელიც უყვარს სოფელს: "იმისთვის მოსწონს მასწავლებელი სოფელს, რომ სწორი კაცია, სწორი ადამიანიშვილი. მოიტანს ყრილობის დროს გაზეთებს, წიგნებს, ჩაუჯდება შუაში და უკითხავს აღტაცებით: სატირელია-სტირის, საცინელია-გულით იცინის და სხვებსაც სიცილით ჰხოცავს."

ასეთი მასწავლებლის ტიპი არა ერთი მოუციათ ჩვენს მწერლებს და იგი მთლად ფანტაზიის ნაყოფი არ არის: ცოტა არ იყო ასეთი მასწავლებელი.

მე-19 საუკუნის დამლევს და მე-20-ის დასაწყისში საქართველოში ფართოდ იყო გაშლილი საკვირაო სკოლების მუშაობა. საკვირაო სკოლაში ჩვეულებრივად სწავლობდნენ მოზრდილი მუშები, მელოსნები და დიასახლისები. რადგანაც ისინი კვირაში ერთხელ ხვდებოდნენ მასწავლებლებს, ეს უკანასკნელნი წერა-კითხვის დაუფლების შემდეგ მიმართავდნენ ხოლმე კითხვის ხელმძღვანელობის მეთოდს.

მაგრამ საკვირაო სკოლის არსებობა დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს უფრო ადრინდელი დროისათვის. ამას ადასტურებს

წიგნი: "არითმეტიკა უფ. ფოგელისა. ქართულად ნათარგმნი და დამატებული მიხეილ ყიფიანისა და ვახტანგ თულაშვილისაგან. ტფ., Изд. Воскресной школы, учрежд. при школе кавказск. межевщиков. 1862.

წიგნის ქართულად გადმოღება მოწმობს, რომ სკოლაში სწავლა ქართულადაც ყოფილა. ეს აღსანიშნავია იმიტომ, რომ საქართველოში ბევრი კულტურული ორგანიზაცია აწარმოებდა სხვადასხვა დროს მუშაობას, მაგრამ რუსულ ენაზე. საქმის მეთაურებად გამოდიოდნენ ადგილობრივი რუსი ინტელიგენტები–მასწავლებლები და მოხელეები. მათი მოღვაწეობა თავის თავად პატივისცემის ღირსი კი იყო, მაგრამ ფართო მოსახლეობა, რომელმაც რუსული ენა არ იცოდა, მათი მომსახურეობის გარეშე რჩებოდა.

საკვირაო სკოლები შემდგომში უფრო ფართო მასშტაბს იღებდნენ. თუ ფორმალურად ჩამოყალიბებული საკვირაო სკოლები ყველგან არ იყო, ბევრი სოფლის მასწავლებელი საღამოობით აწარმოებდა მუშაობას მოზრდილ მოსახლეობასთან, რაც სცვლიდა საკვირაო სკოლას.

1866 წელში თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებს განუზრახავთ საკვირაო სკოლის დაარსება /საქ. სასულიერო მახარობელი, 1866-67, იანვარი-მარტი/. იმავე სემინარიის ანალოგიურ ცდაზე არის ცნობა "დროებაში" 1881 წლის №247-ში.

60-70 წლების პერიოდულ გამოცემებში უხვად გვხვდება ცნობების საკვირაო სკოლების, ბიბლიოთეკების და თვითგანათლებითი მუშაობის შესახებ. მაშინდელი ქართული პრესა ყურადღებით ეძებდა რუსეთის პრესაში მოთავსებულ ცნობებს, რომელსაც მაშინვე აწოდებს თავის მკითხველებს. ასე, მაგალითად, "სასოფლო გაზეთი" /1866 წლ. №7, გვ. 8/ სათაურით "იმერეთი" ამბავი სწერია, რომ ჩერნიგოვის გუბერნიის სოფლებში სკოლის მოწაფეები თავიანთ მამებს წერა-კითხვას ასწავლიან. 1869 წლის "სასოფლო გაზეთში" /№ 15, გვ. 7/ მოთავსებულია ცნობა პეტერბურგში მოზრდილი მუშებისათვის საღამოს სკოლის გახსნის

შესახებ. ანალოგიური ცნობები ადგილობრივი ცხოვრებიდანაც არის მოყვანილი: "სასოფლო გაზეთის" 1874 წ. №17 გვ. 6–8/". ჯიხაიშ/ არის ცნობა, რომ სოფ. იყალთოში/კახეთი/ გლეხებს დაუდგამთ კომედია "ძუნწი" "იმავე გაზეთში/1876 წელ. №3 გვ. 3-4/ არის ცნობა, რომ ხევსური ბერდია ქამოიკაური მსურველებს უფასოდ ასწავლის წერა-კითხვას.

18[illegible] წლ. "სასოფლო გაზეთში"/№23/ არის როსტომოვის/ალბათ ივანე როსტომაშვილის/ კორესპონდენცია კახში/საინგილო/ საკვირაო სკოლის არსებობის შესახებ. კახის საკვირაო სკოლის შესახებ წერს "ივერიაში" 1978 წ. №19 ვინმე ვანო, ალბათ იგივე ივანე როსტომაშვილი. დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს საკვირაო სკოლების არსებობა 1878 წელში ს. მეჯვრისხევში; 1883 წელში ქუთაისში მუშაობდა საკვირაო სკოლა მარიამ ვარდოსანიძის ხელმძღვანელობით. შემდეგში, 90-იან და 900-იან წლებში საკვირაო სკოლებს ვხვდებით: ქუთაისს, ბარცხანას, ხონში, ზემო სვანეთში, ჭიათურაში, თელავს, სურამს, ლანჩხუთს, კასპში, ბათუმში. საკვირაო სკოლები იყო ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლებში ნინწარებსა და გომარეთში. ვფიქრობ, რომ ეს ისე სწორი არ არის.

თბილისში 1869 წლის შემდეგ ხშირად ვხვდებით საკვირაო სკოლებს. 1882 წელს ასეთი სკოლა ყოფილა თბილისის სასულიერო [illegible] სკოლასთან. თბილისის სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებლებს 1884 წელში შეუდგენიათ საკვირაო სკოლისათვის პროგრამები და თვითონაც უფასოდ უწარმოებიათ იქ მუშაობა/"დროება", 1884 №3/. შემდეგში ამ სკოლის მუშაობა მიყრუებულა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ისევ განახლებულა. 1897 წელს უკვე რამდენიმე წლის არსებობის ისტორია ჰქონდა ორ ვაჟთა საკვირაო სკოლას, რომელთაც მესვეურობდა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი: ქვაშვეთის და ვერის ნიკოლოზის სამრევლო სკოლებთან. ერთ ერთს პარალელურად მეცადინეობა სწარმოებდა

კიდევ ვერის იოანე ღვთისმეტყველის სამრევლო სკოლის შენობაში.

1887 წელში თბილისში არსებობა ქალთა საკვირაო სკოლა. (მწყემსი, 1887, N23). ვრცელი ცნობა ქალთა საკვირაო სკოლის შესახებ მოთავსებულია 1901 წელს "კვალში" (N9, გვ. 149). აქ მოთხრობილია, რომ მარიამ არღუთაშვილმა რვა-ცხრა წლის წინად აიღო ქალთა რუსულ-ქართულ-სომხური საკვირაო სკოლის ნებართვა. რადგანაც უკვე არსებობა რუსული ქალთა საკვირაო სკოლა, დაარსებული ი. ო. კალანოვას მიერ (Частная женская воскресная школа. 1895-1899), არღუთაშვილმა სკოლა მიაწყო სომეხ-ქართველთათვის ანჩისხატის უბანში და უზრუნველყო იგი სასწავლო წიგნებით. რადგან მსურველნი უფრო მეტი ქართველნი აღმოჩნდნენ, თვით სომხებსაც უფრო ქართული ეხერხებოდათ, არღუთაშვილმა მიმართა ქართველ ქალებს წინადადებით, რომ ემუშავათ სკოლაში. მალე არღუთაშვილმა შინაური გარემოების გამო ხელმძღვანელობა მიატოვა და მაშინ სკოლას სათავეში მარიამ დემურია ჩაუდგა. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ პირველად ქართველ ქალმა-მასწავლებლებმა ხალისით მოკიდეს საქმეს ხელი, მაგრამ შემდეგ ნელნელა მიატოვეს იქ მუშაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კულტურულ მოძრაობასთან ერთდროულად მიმდინარეობდა კოოპერაციული (წვრილ-საკრედიტო მოძრაობა. არსდება კოოპერაციული, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები და სხვ. ასე, მაგ., 1874 წელს დაბეჭდილია წესდება თიანეთის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა; 1876 წელში—"ანგარიში ოძისის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობის" და ბევრი სხვა. შემდეგომში ასეთი ორგანიზაციები მთელ საქართველოს მოედო. ხშირად ამ ორი დარგის დაწესებულებებში ერთი და იგივე პირები მუშაობდნენ.

უფრო გვიან დაწესდა თბილისში სახალხო თეატრი, რომელშიც მუშაობდნენ სცენის მოყვარენი, ძირითადში მუშები და ხელოსნები.

ერთი მათგანი, გიორგი ჯაბაური, მოგვითხრობს, როგორ დაარსდა თბილისში პირველი სახალხო თეატრი-"ავჭალის". მისი სიტყვით/იხ. "კვალი", 1901 წ. №51/, ჯერ ისევ 1892 წელში სცენის მოყვარე ხელოსნები უბნებში მართავდნენ წარმოდგენებს. წევრები პირადი მონაწილეობის გარდა თვეში 50 კაპ. იხდიდნენ ხარჯების დასაფარავად. მათ მიმართეს ქალაქის თვითმმართველობას, რომ დაეთმო მათთვის ავჭალის მოედანზე ხორველობის დროს საჩაიესთვის აგებული შენობა. პირველი წარმოდგენა აქ გაიმართა 1893 წ. დაიდგა "რაც ვინახავს, ვეღარ ნახავ". ამას მოყვა "და-ძმა". მაშინ დაწესდა შესასვლელი ფასი 5 კაპ., რადგანაც დასის სახსრები-40 მანეთი დაიხარჯა. 90-ია წლებში დაარსდა მეორე ახალი თეატრი-" ვერის აუდიტორია", რომელსაც სათავეში ჩაუდგა ვერაზე მცხოვრები ინტელიგენციის ერთი ჯგუფი. იმართებოდა წარმოდგენები, საღამოები, ლექციები ქართულ და რუსულ ენებზე. აქაც წარმოდგენაზე შესვლა ღირდა 5 კაპ. პოლიცია ეჭვის თვალით უყურებდა ამ მუშაობას. ერთხელ, 1906 წელში პოლიციამ ალყა შემოარტყა აუდიტორიას და პოლიციაში წაიყვანა ყველა დამსწრენი. მათ შორის იყო აკაკი წერეთელი, რომელიც მისულიყო თავისი ლექსების წასაკითხად.

1909 წელში გაიხსნა ზუბალაშვილების სახ. სახალხო სახლი, რომელთანაც იყო რამდენიმე დრამატული დასი/რუსული, ქართული, სომხური ენებზე/და დიდი ბიბლიოთეკა.

მასებში კულტურის, ცოდნის შეტანა მხოლოდ ახალი ორგანიზებული გზებით არ შედიოდა. ძველი დროიდან იყო დარჩენილი და ოქტომბრის დიდ რევოლუციამდე მოაღწია ოსტატ-შეგირდობის ინსტიტუტმა. ჩვენ აქ არ შევეხებით XIX ს. ოსტატ-შეგირდობას ხელოსნობის დარგში, თუმცა ერთს მხრივ მას კავშირი ჰქონდა ოსტატობასთან განათლების დარგში. სოფლებში, სადაც სკოლა არ არსებობდა, და ზოგან სკოლის არსებობის მიუხედავადაც კი, რომელიმე წერა-კითხვის მცოდნე პირი შემოიკრებდა ხოლმე ბავშვებს და ასწავლიდა მათ წერა-კითხვას, რადგანაც ხშირად სოფლად არსებულ სკოლებში უმთავრესად ვაჟებს ღებულობდნენ, მე-XIX საუკუნის

მეორე ნაწილში ეს ოსტატები უმეტესად ქალები იყვნენ და მეურნეებადაც ქალები ჰყავდათ ხოლმე. ამ შემთხვევაში ოსტატები ასწავლიდნენ არა მარტო წერა-კითხვას არამედ ხელსაქმესაც, დიასახლისობას, მრეწველობას და სხვ. ოსტატები თავის მუშაობაში იღებდნენ გასამრჯელოს ფულით და /სურსათით./ შაგირდად იყო ისეთებიც, რომლებიც უსასყიდლოდ მუშაობდნენ. ასეთი ოსტატობის ტრადიციას წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს ხევსური ბერია გამლიკარაული, რომელიც თავის მეზობლებს წერა-კითხვას ასწავლიდა.

ყველა ეს ქმნიდა საკმაო ბაზას თვითგანათლებაზე მუშაობისათვის. ჟურნალებში და გაზეთებში ხშირად შეხვდებოდით სტატიებს თვითგანათლების საკითხების შესახებ. გამოდიოდა ცალკე წიგნებიც. შეგვიძლიან დავასახელოთ, მაგ. ივ. როსტომაშვილის წიგნები: „გამოსადეგი ცოდნა" /თბ. 1902/, მისივე „მეურნეობა და ახალი სკოლა" /თბ. 1902/, "სახალხო მოღვაწენი თვითნასწავლები ჩვენში და რუსეთში" /თბ. 1904/, „თვითგანვითარება" /მარსდენ/ /თბ. 1910/ „თვითმოქმედება" /მარისონ დენ/ /თბ. 1910/. მის მიერვე დაბეჭდილი იქნა "წიგნაკები" /კატალოგი; ქართველთა შორის წიგნების გამავრცელებელი "კავშირისა"/. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1897 წ. ახალსენაკში დაიბეჭდა ლებბოკის ერთერთ წიგნიდან თავი, რომელიც შეეხება კითხვისაგან მიღებულ სარგებლობას, სათაურით: „ჯონ ლებბოკი. წიგნების ქება". 1907 წელში* გადმოთარგმნა [illegible] წიგნაკი: "სახალხო უნივერსიტეტი ინგლისში" /თბ. 1907/, რომელშიც აღწერილია University Extension-ის მოძრაობა. ეს წლები საეროდ, მიუხედავად მძიმე რეაქციისა, ერთგვარი გარდატეხის წლები იყო ქართულ კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციებისათვის. უფრო გაბედულად ლაპარაკობენ თავის ამოცანების მიზნების და განხორციელების მეთოდების შესახებ. არსდება ახალი ორგანიზაციები, [illegible] მათი მუშაობის კოორდინირებისა და კოოპერირებას.

"ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი

საზოგადოების, ~~მისი~~ მუშაობა სპეციალური გამოკვლევის საგანი უნდა გახდეს. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მომენტებს შევეხებით.

1914 წლის მოქმედების ანგარიშში /თბ. 1915/ გამგეობა აღნიშნავს, რომ საზოგადოება „იკრებდა ირგვლივ გონებრივ ძალებს, დასახული მიზნების სისრულეში მოსაყვანად: მზრუნველობა სწავლა-განათლების გავრცელებისათვის მდაბიო ხალხში, სამშობლო ენის საშუალებით და სამშობლო ენაზე სწავლების წარმოებით, მდაბიურის კილოთი დაწერილის წიგნების ბეჭდვით, ქართული სამკითხველოების დაარსებით და წიგნების უფასოდ დარიგებით, დარწმუნებული, რომ მხოლოდ ამ ხერხით შეიძლება ნამდვილი პირველი დაწყებითი ცოდნის და თვითშეგნების გავრცელება მდაბიო ხალხში." 1913 წლის შემოსავალ-გასავლის პროექტში გათვალისწინებული /1700 მან./ სახალხო კითხვების მოსაწყობად. ბიბლიოთეკების სექციის მუშაობის გეგმაში სხვათა შორის გათვალისწინებულია: ბიბლიოთეკისადმი ჟურნალ-გაზეთების და წიგნებით დახმარების აღმოჩენა, ნორმალური კატალოგის შედგენა, ბუნდოვანი სურათებით სახალხო კითხვების მოწყობა, სამაგალითო ბიბლიოთეკის დაარსება.

1907 წელს შეიცვალა საზოგადოების წესდების ზოგიერთი მუხლი. კერძოდ საწევრო გადასახადი 6 მანეთიდან 3 მანეთამდე იქნა დაყვანილი. შემდგომში სწარმოებდა ბრძოლა ამ ფასის შეცვლისა და 1 მანეთის დაწესებისათვის.

ილიას დაღუპვამ გამოიწვია კულტურული მოძრაობის გაძლიერება. განზრახული იყო ილიას ფონდის შექმნა. იგი უნდა გამოყენებული ყოფილიყო ხალხის სწავლა-განათლებისათვის. ინიციატორებმა შეადგინეს "მოწოდება სწავლა-განათლებისათვის", რომელსაც დაურთეს ვრცელი წერილი ჩეხის საგანმანათლებლო საზოგადოების "მატიცას" მუშაობის მეთოდების შესახებ /თბ. 1907 წიგნაკი, 2 გამ. თბ. 1908/. წიგნაკში აღწერილია, როგორი ფართო, მასობრივი ხასიათი მისცეს ჩეხებმა "მატიცას" სახსრების გაძლიერებისათვის მუშაობას.

ვინც-მატიცას"სასარგებლოდ 100 გულდენს შეაგროვებდა, იღებდა მისგან დიპლომს, რომელსაც დიდის ამაყობით ჰკიდებდა კედელზე თავის ბინაზე, სახელოსნოში, სავაჭროში.

"მატიცა" დაარსდა 1880 წელში. ხუთ წელიწადში მან მოკრიბა 804.000 გულდენი. ამ ფულით დაარსა 33 ბავშვთა თავშესაფარი, 23 სკოლა, 2 გიმნაზია. 1895 წლამდე "მატიცამ" შეკრიბა 2,5 მილიონი გულდენი. ინდუსტრიები მოუწოდებდნენ ქართველებს, ახლოვე მონაწილეობა მიეღოთ ფონდის შექმნაში. მაგრამ არავითარი პრაქტიკული ნაბიჯები არ ყოფილა გადადგმული, რომ "მატიცას" მეთოდები შთაენერგათ ჩვენს საზოგადოებაში. პირიქით, უკვე არსებული გამოცდილებაც კი (ძმ. მეორე, ხელისთავის ბიბლიოთეკის წევრთა მუშაობა) არ იყო გამოყენებული.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კეთილგანზრახვები, პროექტები და კამათი მათი განხორციელების შესახებ მეტი იყო, ვიდრე პრაქტიკულად გადადგმული ნაბიჯები.

უნივერსიტეტის გადარჩენის მოძრაობამ, რომელმაც ხალხში გამოძახილი ჰპოვა მოსკოვისა და პეტერბურგის კომისიების სახით, თბილისშიც ჰპოვა მიმდევრები. მოსკოვის და პეტერბურგის კომისიები აგზავნიდნენ კითხვის ფურცლებს და პროგრამებს და ამარაგებდნენ მასწავლებლებს საჭირო ლიტერატურით. მოსკოვის კომისია ამ მიზნით შეუთანხმდა ცნობილ გამომცემელს, სიტინს, რომელმაც დაბეჭდა ბევრი წიგნი, მიღებული სახელმძღვანელოდ კომისიის მიერ.

თბილისის მუშაკებმა თავიდანვე სხვა გზა აირჩიეს: მათ დაარსეს თვითგანათლებითი კურსები მოზრდილთათვის. ამ მიზნით ჯერ დაარსებული იქნა "თბილისის სკოლის გარეშე განათლების საზოგადოება". საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები ამ საზოგადოებისა და მისი კურსების შესახებ მოცემულია ა.ი.ივანოვის მოხსენებაში, რომელიც მან გააკეთა ბუნებისმეტყველთა და

ექიმების სრულიად რუსეთის მე-XIII ყრილობაზე თბილისში 1913 წელს. (იხ. Труды XIII съезда естествоиспытателей и врачей в 1913 г. Тифл. 1915. т. VI, стр. 131: Иванов, А.И. Исторический очерк деятельности общества внешкольного образования за 14 лет его существования). [illegible]

ჯერ კიდევ 1898 წელს თბილისის გაზეთებში, განსაკუთრებით Тифлиский листок-ში დაიბეჭდა სტატიები სათაურით: „Публичные чтения", „Общеобразовательные курсы для взрослых", „Еще несколько слов об общеобразовательных курсах для взрослых".

კურსები გაიხსნა 1899 წელს. მიზნად დასახული იქნა საშუალო განათლების მიცემა. კურსები არ ანიჭებდნენ რაიმე უფლებებს და მოწმობებს. კურსი გაანგარიშებული იყო 3 წლისათვის. სწავლობდნენ: საღვთო სჯულს, რუსულ ენას, ახალ ენებს, მათემატიკას, ფიზიკას, კოსმოგრაფიას, ფიზიკურ გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას, გეოგრაფიას, ისტორიას და სამართლისმეცნიერებას. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გაიხსნა დამატებითი კურსები, სადაც სწავლობდნენ ლოგიკას და ფსიქოლოგიას.

ამ საზოგადოების დამაარსებელნი იყვნენ თბილისის საშუალო სასწავლებლების მასწავლებლები. ქართველთა შორის იყო მხოლოდ ერთი– ს. ყიფ.

მუშაობდნენ კვირაში 3-ჯერ საღამოს 6–9 საათ. მთელი კურსის ფასი წლიურად იყო 10 მან., ერთი საგნის–2 მან. შემდგომში ეს ფასი განახევრებული იქნა.

დამსწრეთა რიცხვი ყველა საგნებზე საშუალოდ იყო 200 კაცი.

1902 წლიდან კურსები იღებდნენ ქალაქისაგან სუბსიდიას 500–1000 მან წლიურად.

ლექტორები მუშაობდნენ უფასოდ უფრო ხშირად ლექტორები საგანს სისტემატური პროგრამის მიხედვით კი არ ასწავლიდნენ, როგორც ეს არის მიღებული სკოლაში, არამედ კითხულობდნენ ლექციებს თემებზე, რომლებიც ერთად დისციპლინის საკვანძო საკითხებს

წარმოადგენდნენ. ამით კურსების ორგანიზაცია უახლოვდებოდა ინგლისურ University Extension-ს.

აღსანიშნავია, რომ კურსებს უჭირდათ მუდმივად რომელიმე ბინაში ფეხის მოკიდება. კურსები გაიხსნა I ვაჟთა გიმნაზიაში და პარალელურად მეცადინეობდნენ I ქალთა გიმნაზიაში. შემდეგ კურსები გადავიდა 2 ვაჟთა გიმნაზიაში, მერე კომერციულ სასწავლებელში, დაბოლოს-პეტრე პირველის სახელობის საქალაქო სკოლაში/ახლანდელ კამოს ქუჩაზე/. კურსები თანდათანობით დიფერენცირებული იქნა. პარალელურად გაიხსნა მეცადინეობა: 1/დაწყებითი სკოლის პროგრამით; 2/ 1872 წლის დებულების საქალაქო სკოლის პროგრამით. ამრიგად 3 სხვადასხვა საფეხურის სკოლა არსებობდა. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის University Extension-ზე სწავლა მხოლოდ რუსულ ენაზე სწარმოებდა, ქართული ენა სრულებით არ ისწავლებოდა და ცხადია, ქართველებს, რომელთაც სურდათ თავიანთ განათლების დონე აემაღლებინათ, შეეძლოთ ესწავლა კურსებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათ რუსული ენა იცოდნენ. ივანოვის ანგარიშიდან ჩანს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტები: 1904-5 წლებში მსმენელთა რაოდენობა იყო. ქართულ ორგანიზაციად უნდა ჩაითვალოს თბილისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება, რომლის წესდებაც დაიბეჭდა თბილისში 1908 წელს. იმავე წელიწადს დაიბეჭდა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება /თბ. 1908/.

ამ მოძრაობას წინ უსწრებდა თარგმანი ქართულ ენაზე წიგნაკისა: [illegible]. სახალხო უნივერსიტეტი ინგლისში. თბ. 1907. ეს წიგნაკი შეიცავს ინგლისში University Extension-ის მოძრაობის აღწერასა და დახასიათებას. წინასიტყვაობაში მთარგმნელი ამბობს: "ინგლისში საუნივერსიტეტო ცოდნათა გავრცელების მოძრაობას ერთი ისეთი მხარე აქვს, რომლის შეგნება და გათვალისწინებაც ცოტა რამ იმედს გვინერგავს ჩვენში". თბილისის და ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტების

საზოგადოებათა წესდებები ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავდება. ორივე საზოგადოების მიზანი არის სწავლა-განათლების გავრცელება ხალხში. წესდებაში ნათქვამია: "საზოგადოება აარსებს სახალხო უნივერსიტეტებს, მართავს ცალკე ლექციებს ხსნის სისტემატიურ სამეცნიერო და პროფესიონალურ კურსებს, მოაწესრიგებს ხელობის შესწავლას, მართავს ექსკურსიებს, აარსებს მუზეუმებს, ლაბორატორიებს და სხვ. მართავს საღამოებს, ხსნის ბიბლიოთეკებს".

1909 წელში დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი ქუთაისში. მისი მუშაობის ანგარიშები /ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მოქმედების ანგარიში 1909-1910 წ. ქუთ. 1911; იგივე 1910 წლ. ქუთ. 1911 წ./ საკმაოდ აშუქებენ მის მუშაობას. გამგეობის განუზრახია სისტემატური და ერთეული ლექციების ორგანიზაცია. სისტემატური ლექციები განუზრახია შემდეგ საგნებში: საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა, მსოფლიო ისტორია, კულტურის ისტორია, ბუნებისმეტყველება, ჰიგიენა, რუსული ლიტერატურა, პოლიტიკური ეკონომია, სახელმწიფო უფლება, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, ისტორია. თათბირზე მოწვეული ყოფილა 58 ლექტორი, გამოხმაურებულა-15, სისტემატური კურსის კითხვის სურვილი გამოუთქვამს მხოლოდ 5 ლექტორს, რომელთაც სათანადო პროგრამებიც წარუდგენიათ. სულ 1909-1910 წელში 18 ლექტორის მიერ წაკითხულა 55 ლექცია. დაესწრო სულ 13.251 მსმენელი, საშუალოდ თითო ლექციას-474 მსმენელი. 1911 წელში წაკითხულა 48 ლექცია. სულ დასწრებია 9040 მსმენელი, საშუალოდ თითოზე-376 მსმენელი. სახ. უნივერსიტეტს ჩაუტარებია რამდენიმე საიუბილეო დღე: გლეხთა გათავისუფლების, ტარას შევჩენკოს, ~~გამოცემული იუბი~~ მეცნიერ. ლიტერატურის ისტორიკოსის ვინო "ჩადრუში". ლექციების შემდეგ ხშირად იმართებოდა კონცერტები, რომლებშიც მონაწილეობდნენ მომღერალთა გუნდები. გამგეობას განზრახული ჰქონია ლექციების ბეჭდვა, მაგრამ უსახსრობის გამო ~~[illegible]~~

ფართოდ ეს საქმე ვერ დაუყენებია და მხოლოდ ჩამო[illegible]იქნა დაბეჭდილი (კერძოდ-ალ.გარსევანიშვილის "უკრაინის მგოსანი-ტარას შევჩენკო")/. [illegible] თავის მოხსენებაში მიუთითებს, რომ ლექციების წინ დამსწრეებს ურიგდებოდათ დაბეჭდილი კონსპექტები. სახ. უნივერსიტეტის გამგეობის შუამდგომლობაზე საღამოს კურსების გახსნის შესახებ გუბერნატორის უარი გამოუცხადებია. გამგეობა ცდილა თავის მოქმედება სოფლადაც გაეტანა. ს. მუხიანში გაუხსნია საკვირაო სკოლა. შუამდგომლობაზე ობჩაში და სერხში ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნაზე გუბერნატორის უარი უთქვია. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე მდგომარეობაში იყო სახალხო უნივერსიტეტების დანარჩენი საზოგადოებები. ამიტომ ზოგჯერ ცდილობდნენ მუშაობა ადმინისტრაციის სანქციის გარეშე ეწარმოებინათ. 1917 წელს დაარსდა "[illegible]" სურამის ქართველ ახალგაზრდათა ჯგუფისა (იხ. 1917). [illegible] "[illegible]" ჩანს, ჯგუფი მიზნად ისახავდა მთელი მოსახლეობა ძველი წეს-წყობილების მოსპობას ახალი წესრიგის დამყარებაში. ამის საშუალებად ჯგუფს მიაჩნდა: 1. ხალხის ზნეობრივად და გონებრივად ამაღლება, რისთვისაც საჭირო ხალხის წარმომადგენლების და დიდურ კრებებზე ლეგალური თუ არალეგალური რეფერატების წაკითხვა. 2/ თანამედროვე მოძრაობის ხელის შეწყობა, 3/ თეატრის დაარსება დ. სურამში, ბიბლიოთეკა-სამკითხველო სახლის [illegible] შეძენა და მისი გაუმჯობესება. 4/ შემწეობა უმაღლეს სასწავლებლების ღარიბ მოწაფეთა. წესდება შედგენილი და კრებისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი იყო ვინმე მოუსვენარიძის მიერ. ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ყველა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების გაერთიანების განზრახვა მათი მუშაობის კოორდინაციისა და კოორდინირების მიზნით. ეს კარგად გამოხატულია დოკუმენტში: "წესდება კავკასიის საშუალოსწავლელთა ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირისა, თბ. 1915". /რუსულ და ქართულ ენებზე/.

კავშირის მიზანი ყოფილა: ა/ქართველის ხალხის კულტურისა და განათლების საჭიროებათა ყოველმხრივ შესწავლა და მათ დასაკმაყოფილებლად სათანადო ზომების მიღება და ბ/ კავკასიის სამეფისნაცვლოში მომქმედთ კულტურულ-განმანათლებლო საზოგადოებათა მოქმედების გაერთიანება. კავშირის დამაარსებლად ითვლებოდნენ: 1/ქ.შ.წ.კ.გ.საზ-ბა, 2/საქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, 3/ქართველთა სამეურნეო საზოგადოება, რომელთა თავჯდომარეებიც ხელს აწერენ ამ დოკუმენტს. ყველა ქართულ ორგანიზაციას შეეძლო წევრად შესვლა. წლიური გადასახადი იყო 25 მან. წევრი-ორგანიზაცია თავის საერთო კრებაზე ირჩევდა 3 რწმუნებულს 3 წლის ვადით. ეს რწმუნებულები შეადგენდნენ კავშირის საერთო კრებას, რომელიც აირჩევდა გამგეობას. ოსმალეთის ჩარევამ იმპერიალისტურ ომში ეტყობა ხელი შეუშალა ამ კავშირის ამოქმედებას, რადგანაც მისი მოქმედების შესახებ ცნობები შემდგომში აღარ ჩანს.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ფართოდ გაიშალა მუშაობა მასების კულტურული დონის ამაღლებისათვის. აქ ჰპოვეს ადგილი ღონისძიებებმაც დამოუკიდებელი კითხვის, თვითგანათლებითი მუშაობის ხელმძღვანელობის დარგშიც. ამ საკითხებს და მათი განვითარების პერსპექტივებს შევეხებით შემდეგ თავებში.

V.. კითხვის ამოცანები და ფორმები.

რა უნდა დაისახოს ადამიანმა მიზნად კითხვაში, რისთვის უნდა იკითხოს. ამ კითხვასთან უშუალოდ არის დაკავშირებული კითხვა: რა იკითხოს ბურჟუაზიული მეცნიერები ამ კითხვაზე სხვადასხვა პასუხს გვაძლევენ. როგორც ვნახეთ, ე. ფაგე კითხვის მიზნად სახავს, სათანადო უნარის ჩვევების გამომუშავებისშემდეგ, ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

[illegible] [illegible] [illegible], ჯონ ლუბოკმა თავის წიგნში "სიცოცხლის სიამენი"/რუსულად: Лоббок. Радости жизни. [illegible]. გამოცემა x)(ჩვენთვის უფრო საყურადღებოა გამოცემა Пантеон литературы"-ს, 1890 წ., რამდენადაც მას დაბეჭდილი აქვს სია 100 საუკეთესო წიგნისა, რომლებიც უნდა წაიკითხოს ადამიანმა, რომ მიიღოს მაღალი ხარისხის სიამოვნება, ესთეტიკური [illegible]). ამ წიგნში ლუბოკი ამბობს, რომ სიცოცხლის სიამეს ადამიანი, სხვა წყაროებთან ერთად, განიცდის აგრეთვე წიგნებთან ურთიერთობით, რამდენადაც მათ შეუძლიათ მოგვცენ ერთგული მეგობრობის [illegible]. საკითხავი მასალა ლუბოკის მიერ შერჩეულია იმავე პრინციპით, როგორც აქვს [illegible]. [illegible] [illegible] მხოლოდ [illegible] ავტორსა და ნაწარმოებში. [illegible] [illegible] [illegible] იმაში, რომ [illegible] [illegible] [illegible] ნაწარმოებებს, [illegible] ლუბოკი [illegible] ავტორის [illegible] მეცნიერულ ნაშრომებს, როგორიცაა დარვინის, მილის და სპენსერის შრომები. [illegible] არც ერთის არც მეორის არ აქვს [illegible] [illegible] სისტემატიური [illegible], [illegible] გეგმით, პროგრამით, მიმართული იქითკენ, რომ შესწავლილი იქნას [illegible] [illegible] დისციპლინა, ან [illegible] იქნას განათლების რომელიმე საფეხური. პირიქით, [illegible] [illegible] თავისი [illegible] მიმართავს [illegible] [illegible] [illegible] მკითხველებს.

ნ. რუბაკინი თვითგანათლების მიზნად ხედავს მსოფლმხედველობის გამომუშავებას. მისთვის ერთია, როგორი იქნება ეს მსოფლმხედველობა, ოღონდ კი ადამიანმა გამოიმუშაოს ეს მსოფლმხედველობა. ამისათვის იგი [illegible] [illegible] ყველა მიმართულებას, დაწყებული [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]. ანალოგიურად მსჯელობს პროფ. ნ. კარეევი, ცნობილი ისტორიკოსი მეცნიერი, [illegible] [illegible] [illegible]. ამ საკითხს იგი ეხება თავის წიგნებში: "Письма к учащейся молодежи о самообразовании" და "Беседы о выработке миросозерцания"

---

x) [illegible] [illegible]: [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. 1897. 1473.

/რამდენიმე გამოცემა/. კარეევი ამბობს, რომ სკოლა ადამიანს ვერ მისცემს მთელ იმ ცოდნას, რომელიც მას ესაჭიროება. რომ, პირიქით, სასკოლო სწავლების ერთერთი მთავარი ამოცანა არის-წიგნის კითხვას მიჩვევა. ავტორი ძირითადად მიმართავს მოსწავლე ახალგაზრდობას. მისი აზრით საშუალო სკოლა იმიტომ არის "საშუალო", რომ მისი მიზანი არის -მოამზადოს ახალგაზრდობა უმაღლესი სკოლისათვის/ავტორი გულისხმობს რევოლუციამდელ სკოლას/. უმაღლესი სკოლა კი ადამიანს დასრულებულ ცოდნას მხოლოდ ერთ რომელიმე დარგში აძლევს. ამიტომ თვითგანათლებითი მუშაობა კარეევს ესმის არა როგორც რომელიმე ერთი, სპეციალური დარგის შესწავლისადმი მისწრაფება, არამედ როგორც უფრო ფართო ამოცანა - საერთო განათლების მიღება ფართო მასშტაბით. თვითგანათლებითი მუშაობა ამის გამო კარეევს მიაჩნია "უანგარო", ე.ი. პრაქტიკულ ამოცანებსა და მიზნებს მოკლებულად.

თვითგანათლებითი მუშაობის მიზანი კარეევისათვის, ისევე როგორც რუბაკინი, მსოფლმხედველობის გამომუშავებაა. კარეევი ხაზს უსვამს სიტყვას "გამომუშავება". მსოფლმხედველობა ადამიანის აქტიური შემოქმედების შედეგი უნდა იყოს. იგი უნდა იყოს "მთლიანი და სრული", ე.ი. უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანს ყოველმხრივ.

მსოფლმხედველობის გამომუშავება ადამიანში აყალიბებს პიროვნებას. კარეევი, იცავს რა კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების პრინციპს და მის მორალურ მხარეს, ამბობს, რომ არც მატერიალიზმი და არც იდეალიზმი არ ხსნიან ამომწურავად ყველა საკითხებს. ამავე დროს იგი ამბობს: "Признание того, или другого догматического начала или, наоборот, принципа критической философии, проведенных последовательно через все миросозерцание, и сообщает ему внутреннюю целостность, независимо от того, в каком основном воззрении заключается истина" (Письма к учащейся молодежи о самообразовании. Изд. 6, СПБ. 1898. стр. 60/.

ამრიგად, [illegible] [illegible] იკავებს "აპოლიტიზმის" პოზიციას. მაგრამ იგი ფარულად [illegible] ახალგაზრდობას [illegible] ე.წ. [illegible] ინდივიდუალიზმი, პიროვნების [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომელიც [illegible] [illegible] [illegible] ლენინმა.

როგორც უკვე ვიცით, ამ "აპოლიტიზმს" [illegible] ქადაგებს ნ. რუბაკინიც. ამ აპოლიტიზმის პრინციპით [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მოსკოვის და პეტერბურგის კომისიების [illegible] მოთხოვნა-მები.

ლენინმა [illegible] გაილაშქრა ამ "უპარტიულობის", უპრინციპობის წინააღმდეგ. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] იგი ნიღაბს ხდის ამ "უპარტიულობას" და აცხადებს, რომ, პირიქით, ამ უპარტიულობაში დაფარულია რეაქციულობის ქადაგება. ამ საკითხს შეეხო ლენინი რეცენზიაში რუბაკინის წიგნზე, რომლის შესახებ ზემოთ უკვე ჰქონდა ლაპარაკი და უფრო ადრე (1905 წ.) წერილში "პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა" (იხ. თხზულებანი, ტ. , [illegible] [illegible] წიგნში:

VIII

Большевистская печать.

Сборник материалов. M. 1940.

გვ. 101). თავის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] 1920 წლის 2 ოქტომბერს ლენინმა დასვა კითხვა: "რა ვისწავლოთ" და უპასუხა: "პირველი და ბუნებრივი პასუხი ის არის, რომ ახალგაზრდობის კავშირმა და საერთოდ მთელმა ახალგაზრდობამ, რომელსაც სურს გადავიდეს კომუნიზმზე, უნდა ისწავლოს კომუნიზმი". "რა ჩვენთვის საჭირო იმისათვის, რომ კომუნიზმს ვისწავლოთ. რა უნდა გამოვყოთ ჩვენ საერთო ცოდნათა ჯამიდან, რომ კომუნიზმის ცოდნა შევიძინოთ?" სვამს კითხვას ამხანაგი ლენინი. იგი მოითხოვს, როგორც [illegible] [illegible], როგორც [illegible] [illegible] [illegible]-ნებს, როგორც [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ბრული ცოდნის [illegible] [illegible], რომ [illegible] [illegible]

ჩამოყალიბებისა და გამოთქვა ლენინმა:"კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობამ შეიმუშავა'. "ძველი სკოლის, ძველი ზეპირობის, ძველი წვრთნის ნაცვლად ჩვენ დავაყენოთ უნარი კაცობრიული ცოდნის მთელი ჯამის შეთვისებისა, რომ კომუნიზმში რაღაც დაზეპირებული რამ კი არ გამოგიდგეთ, არამედ ისეთი რამ იყოს, რაც თვითონ თქვენ მიერაა გააზრებული, ის დასკვნები იყოს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე განათლების თვალსაზრისით"ახალგაზრდობას მხოლოდ იმით "შეუძლია ისწავლოს კომუნიზმი, თუ თავისი სწავლის, აღზრდის და განათლების ყველა ნაბიჯს დაუკავშირებს პროლეტარებისა და მშრომელთა განუწყვეტელ ბრძოლას ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ".ამრიგად ჩვენ გვაქვს გარკვეულად დასმული მიზანი – კომუნიზმის შენება, რომლის აუცილებელ ნაწილად ვ.ლენინი ხედავს კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებას.ლენინი ასე განმარტავს მოთხოვნებს:"თქვენ წინაშე მშენებლობის ამოცანაა, და თქვენ მის გადაწყვეტას მხოლოდ მაშინ შეძლებთ, თუ დაეუფლებით მთელს თანამედროვე ცოდნას, თუ უნარი გექნებათ...გააქციოთ კომუნიზმი თქვენი პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ!" მაშასადამე კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებასთან ერთად ახალგაზრდა უნდა ამზადებდეს თავს პრაქტიკული მოღვაწეობისათვის.განათლების, სწავლის მიზანი არის მომზადება პრაქტიკული მოღვაწეობისათვის.ამისათვის კი საჭიროა კომუნიზმის შესწავლა, კლასიკური მემკვიდრეობის დაუფლება.

ხრუშჩოვის მიერ გამოთქმული აზრები დადასტურებულია, რომელიც შეეხება როგორც უშუალოდ ახალგაზრდობაზე შრომობას, ისე მასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორიცაა:სახელმძღვანელო ლიტერატურის გამოცემა და მისი ფართო მასშტაბით დანერგვა, ჟურნალ-გაზეთების ბიბლიოთეკური მუშაობა, ბიბლიოთეკარული

მუშაობის განაწილება სხვადასხვა დაწესებულებათა შორის, დამოუკიდებელი მუშაობა ბეჭდურ ნაწარმოებზე და ა.შ. განსაკუთრებული მნიშვნელობის ჩვენთვის აქვს შემდეგი დადგენილებანი:

1.სკპ/ბ/ცეკას 1928 წლის 28 დეკემბრის დადგენილება, რომელიც ავალებდა გამომცემლობებს – გაეფართოებინათ მასობრივი ლიტერატურის გამოცემა, გაეუმჯობესებინათ მისი ხარისხი და ხელი შეეწყოთ მის ფართო გავრცელებისათვის მშრომელთა მასებამდე, მეტადრე – სოფლად.

2.სკპ/ბ/ცეკას 1931 წლის 15 აგვისტოს დადგენილება საგამომცემლო საქმის შესახებ. დადგენილება მოითხოვდა, რომ წიგნების გამომცემლობის აღმავლობა ჩამორჩებოდა წიგნზე მოთხოვნილების ზრდას: მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები მეტის ტირაჟით გამოეცათ, ძლიერ იგვიანებდა ტექნიკური და საწარმოო ლიტერატურის გამოცემა. თვით წიგნის ხარისხი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მისადმი წაყენებულ მოთხოვნილებებს. დადგენილებაში მითითებულია, რომ წიგნის ხასიათი და შინაარსი მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანებს: წიგნი უნდა იყოს მებრძოლი და აქტუალურ-პოლიტიკური, სოციალიზმის მშენებელთა უფართოესი მასები მან უნდა შეაიარაღოს მარქსისტულ-ლენინური თეორიით და ტექნიკურ-საწარმოო ცოდნით. წიგნი უნდა გახდეს მასების აღზრდის და სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გარშემო მობილიზაციის და ორგანიზაციის უძლიერეს საშუალებად.

წიგნის ტიპი, მისი შინაარსი, ენა უნდა შეესაბამებოდეს მის სპეციალურ დანიშნულებას, მკითხველთა იმ ჯგუფის ცოდნა და მოთხოვნილებებს, რომლისთვისაც იგი არის განკუთვნილი.

ეს დადგენილებები აგრეთვე ეხებოდნენ აქტიურ კრიტიკას და ბიბლიოგრაფიას და ავალებდა ჟურნალებს და გაზეთებს, რომ

ხშირად. მოეწყვებინათ თემატური მიმოხილვები სხვადასხვა დარგებიდან.

3/ ახლად სკპ/ბ/ცეკას 1939 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება ცენტრალური გაზეთების და ჟურნალების რედაქციებს ავალებს - რეგულარულად აწარმოონ ბიბლიოგრაფიული განყოფილება და ლიტერატურის რეკომენდაცია ყოველ ნომერში და აგრეთვე - [illegible] [illegible] ინფორმაცია [illegible] საკითხებზე.

4/ ბიბლიოგრაფიული მუშაობის განვითარების საკითხს შეეხება სკპ/ბ/ცეკას 1940 წლის დადგენილება. ამ [illegible] [illegible] მოითხოვება [illegible] ორგანიზაციაში და [illegible] ბიბლიოგრაფიული მუშაობა უნდა აწარმოონ. გამომცემლობა და ჟურნალებს ამ [illegible] დაევალათ კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული განყოფილების წარმოება. სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის საკითხები განხილული იქნა შემდეგ= დაწესებულებებში: მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი, გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი, სსრკ მეცნიერებათა აკადემია, ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემია, [illegible], ლენინის სახელობის საკავშირო ბიბლიოთეკა, საკავშირო წიგნის პალატა. [illegible] საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის [illegible] გამოსცემს კვარტალური ბიბლიოგრაფიული [illegible] "[illegible]".

ბეჭდური ნაწარმოებების მნიშვნელობას [illegible] [illegible] [illegible]სათვის, მისი მეთოდურ-იდეური [illegible]სათვის, [illegible] აღნიშნავს სკპ/ბ/ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილება "სკპ/ბ/ისტორიის მოკლე კურსის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ".

მიუთითებს რა პარტიული პროპაგანდის ძირითად ნაკლოვანებებს, დადგენილება აღნიშნავს: "კუსტარობა და არაორგანიზებულ-

ბულობა პარტიული პროპაგანდის ფარგში უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა პროპაგანდის ძირითად ფორმად აირჩიეს სისტემური პროპაგანდა წრეების საშუალებით, გაითვალისწინეს რა, რომ პროპაგანდის წრეობრივი მეთოდი უმთავრესად პარტიის არალეგალურ პერიოდს სჩვეოდა ამ [illegible], რომლებშიც მაშინ პარტიას მუშაობა უხდებოდა, და რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში და მაშინ, როდესაც ბოლშევიკურ პარტიას პროპაგანდის ისეთი ძლიერი იარაღი აქვს ხელში, როგორიც არის ბეჭდვითი სიტყვა, შექმნილია სრულიად ახალი მეთოდები და შესაძლებლობანი პროპაგანდის განუსაზღვრელი გაქანებისა და მისი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისათვის". ამავე დადგენილებაში ნათქვამია: "კადრებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების ძირითად მეთოდად უნდა წარმოადგენდეს ბოლშევიკების უფროსი თაობის გამოცდილებაზე შემოწმებული მეთოდი, ბოლშევიკური პარტიის ისტორიის და თეორიის დამოუკიდებელი შესწავლისა".

"მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდაში მთავარ, გადამწყვეტ იარაღს უნდა წარმოადგენდეს ბეჭდვითი სიტყვა-ჟურნალები, გაზეთები, ბროშურები, ხოლო სიტყვიერ პროპაგანდას უნდა ეჭიროს დამხმარე, ხელშემწყობი ადგილი. ბეჭდვითი სიტყვა შესაძლებლობას იძლევა ესა თუ ის ჭეშმარიტება ერთბაშად გახდეს ყველას საკუთრებად, ამიტომ იგი სიტყვიერ პროპაგანდაზე უფრო ძლიერია". ამასთან დაკავშირებით სკპ/ბ/ცეკას პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას და ბოლშევიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობას დაევალა, უზრუნველყონ პოპულარული ბროშურების გამოცემა. გაზეთების რედაქციებს დაევალათ სისტემატიურად ბეჭდონ წერილები მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიულ საკითხებზე, [illegible] პროპაგანდისტების ლექციები და კონსულტაციები, პასუხები მკითხველთა შეკითხვებზე.

ამ დადგენილებაში გადამწყვეტად არის გარკვეული წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის როლი, მისი ადგილი მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების საქმეში. ცხადია, რომ ეს მეთოდი ახლაც წამყვანად უნდა ჩაითვალოს საერთოდ ყოველგვარი მეცადინეობის პროცესში: სასკოლო აღზრდაშიც კი ერთერთ მთავარ ამოცანად დასახულია ახალგაზრდობაში წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების აღზრდა.

წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა ბეჭდური ნაწარმოებზე გულისხმობს მუშაობას განსაკუთრებული გეგმით, დასახული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. მარქსიზმ-ლენინიზმის პირველწყაროებით შესწავლა სწარმოებს ზუსტად დამუშავებული პროგრამის მიხედვით. ამ პროგრამაში მითითებულია, როგორც ძირითადი ნაწარმოებები, ან მათი ნაწილები, ნაწყვეტები, ისე მათი დამუშავების თანამიმდევრობა. არსებობს სპეციალური ბიბლიოგრაფიული საძიებლები, რომლებიც მკითხველებს შეუძლიათ დაეხმარონ ამ რეგულირებულ, პროგრამულ მეცადინეობაში.

კითხვას ადამიანი თავისთვის გეგმავს იმ მიზნის, ამოცანის შესაბამისად, რომელიც მას აქვს დასახული. ცხადია, რომ ამისათვის მკითხველს უნდა ჰქონდეს სათანადო ბიბლიოგრაფიული გამოცდილება. მაგრამ ძალზე ძნელია მკითხველისთვის [illegible] [illegible] [illegible] [illegible], თუ [illegible] კითხვის რეგულირებაში, კითხვის გეგმის და პროგრამის დადგენაში კი აღმოუჩინა საჭირო დახმარება.

მკითხველთა ერთი ნაწილი და [illegible] კითხვის [illegible] იღებს დაუსწრებელი სწავლების ბაზაზე. მაგრამ დაუსწრებელი სწავლება [illegible] ~~[illegible]~~ ხოლო [illegible] ან საერთო განათლების რომელიმე საფეხურის [illegible] [illegible] და [illegible] მიმართ ამ [illegible] შეხედულება. ყველა [illegible] ისახავს ამ მიზნებს. [illegible] მკითხველს [illegible] [illegible] ვის [illegible] რომელიმე [illegible], [illegible] და

რომელიმე განსაკუთრებული საკითხის დამუშავება.ამ შემთხვევაში მისთვის ძნელია შესაფერისი დაუსწრებელი სასწავლებლის მონახვა.გარდა ამისა,დაუსწრებელი სწავლა იგულისხმობს შესაფერისი დროის ფარგლებში მოქცეულ სისტემატურ მუშაობას. დამოუკიდებელი გეგმიანი კითხვა კი,თუმცა იგი რეგულირებულია,სისტემატური,მაგრამ თავისუფალია რაიმე ვადებისა და ვალდებულებებისაგან,არ იწვევს გამოცდების,კონსულტაციების და კოლოკვიუმების აუცილებლობას. უნდა ვიფიქროთ,რომ ბევრი მკითხველის ინტერესები და მოთხოვნილებები და მათთან დაკავშირებული მისი მეცადინეობა ვერ ეტევა არსებული დაუსწრებელი და სტაციონარული სასწავლებლის სასწავლო გეგმაში.[illegible] საჭირო ხდება მისი მეცადინეობის [illegible] ორგანიზაცია.აქ შესაძლებელია ორი გამოსავალი:წრეობრივი მუშაობა და დამოუკიდებელი მეცადინეობა [illegible] საწარმოებში.წრეობრივი მუშაობის გამოცდების ფარგლები [illegible] არის დადგენილი სკპ/ბ/ცკ-ის 1928 წლის 14 ნოემბრის დადგენილებაში. რაც შეეხება დამოუკიდებელ მუშაობას [illegible] საწარმოებში, იგი უნდა ჩაითვალოს მუშაობის ისეთ მეთოდად,რომელსაც უნდა დაეყრდნოს არა მხოლოდ ინდივიდუალურად,დაინტერესებულების წესით მომუშავენი,არამედ დაუსწრებელი და სტაციონარული სასწავლებლების მეთოდებიც.მაგრამ თუ უკანასკნელთათვის დამოუკიდებელი მეცადინეობა მიმდინარეობს საკლასო მეცადინეობის ბაზაზე,თვითგანათლებაზე მომუშავეთათვის ეს არის წამყვანი,ძირითადი მეთოდი.

რომ მათი მეცადინეობა [illegible] რეგულირებული იყოს,საჭიროა სათანადო [illegible] მუშაობის ორგანიზატორი,მათი ინსტრუქტორი და კონსულტანტი. ყველაფერი ეს იწვევს [illegible]

ბის საქართველოს, რომლებიც იცნობენ ამ მუშაობის ორგანიზაციას და ხელმძღვანელობას.

რაკი განათლება, და, მაშასადამე, თვითგანათლებაც, მკაფიოდ დასახულ მიზნებს ემორჩილება, ცხადია, რომ ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ მეცადინეობის პროცესი გარკვეულ, ერთგვარად სტაბილიზებულ ფორმებში იქნება ჩაყენებული, თუ იგი გარკვეული მეთოდიკური თანამიმდევრობით იწარმოებს. თვითგანათლება, ხალხური განათლების ანალოგიურად, სათანადო საფეხურებისა და განხრების მიხედვით უნდა მიმდინარეობდეს. სკოლის საფეხურები და მათი ხანგრძლივობა შეფარდებულია მოწაფეთა ასაკების თავისებურებებთან. თვითგანათლებაში მომუშავეები უმრავლეს შემთხვევაში ხალხური სკოლიდან გამოსულნი არიან ან, ყოველ შემთხვევაში, ეკუთვნიან მოზარდთა უკანასკნელ, გარდამავალ ასაკს – ახალგაზრდობას. მათთვის აკარგავს მნიშვნელობას ის დოზირება და კონცენტრულობა, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხურ პროგრამებში. თვითგანათლების გეგმებსა და პროგრამებში აღარ არის საჭირო დიდაქტიკური სპეციფიკაცია ყოველი ცალკეული ეტაპისათვის. მაშასადამე სასწავლო მასალის მიწოდება სწარმოებს ძირითადში ერთიანი ლოგიკური ხერხით. ეს გარემოება შესაძლებლობას აძლევს ერთის მხრივ – მეცადინეების ვადების შემოკლებას, მეორე მხრივ – საგნების პროგრამების გაღრმავებასა და გაფართოებას.

სისტემატური და გაშლილი თვითგანათლებით მუშაობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ [illegible] [illegible], ძირითად მეთოდად მიღებული იქნება დამოუკიდებელი მუშაობა [illegible] ნაწარმოებზე. მაგრამ ამ მეთოდით მუშაობისათვის საჭირო მოსამზადებელი [illegible], რომელსაც [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მეთოდებით, [illegible] [illegible] უფრო [illegible]. ეს [illegible] [illegible] [illegible] [illegible] უფრო [illegible], [illegible]

უფრო უკეთეს მომზადებასთან გვაქვს საქმე და შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევებიც კი, როდესაც ეს მოსამზადებელი პერიოდი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

თვითგანათლების ხელმძღვანელობის საქმეში ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა სიძნელეს, შეიძლება ითქვას – უფრო რთულსაც: სასკოლო ასაკის ბავშვები სწავლას იწყებენ დაახლოებით ყველანი ერთნაირი ასაკით. თვითგანათლებაში მომუშავენი კი სწავლას იწყებენ სხვადასხვა მომზადებით და განვითარებით, სხვადასხვა ინტერესებით. მეცადინეობაც სხვადასხვა მოცულობით აქვთ განზრახული. შეიძლება [illegible] დასახული [illegible] ერთი საგანი უკვე იცოდეს და მეორე კი – უფრო ნაკლებ. ცხადია, რომ მეცადინეობის გეგმაც შესაბამისად უნდა შემუშავდეს. ამიტომ თვითგანათლება ზოგ შემთხვევაში ინდივიდუალური მეცადინეობის გზით უნდა მიმდინარეობდეს და მუშაობის გეგმაც ინდივიდუალური უნდა შემუშავდეს. ეს, რასაკვირველია, ყოველთვის აუცილებელი არ არის. პირიქით, წესად უნდა იყოს მიღებული ჯგუფებში შეკრება იმ მეცადინეებისა, რომელთაც მომზადების დონე დაახლოებით ერთგვარია და ამიტომ შესაძლებელია საერთო გეგმის აღება ჯგუფური მეცადინეობისათვის. ცხადია, რომ ასეთი ჯგუფების წევრთა მომზადება და განვითარება უფრო დიფერენცირებულია, ვიდრე რომელიმე სასკოლო ჯგუფის მოწაფეთა ცოდნა-განვითარება. მაგრამ ეს განსხვავება აქ ანაზღაურებულია იმ პრაქტიკული გამოცდილებით, რომელიც ჩვეულებრივად აქვს თვითგანვითარებაში მომუშავე პირებს, რაც შესაძლებლად აქცევს მათ ჯგუფურ მეცადინეობას. ეს მომენტი უსათუოდ ართულებს თვითგანათლებაზე მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეს: მაგრამ ამ ხელმძღვანელობის მთელი ამოცანა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ დაადგინოს ეს მრავალფეროვნება, ეს დიფერენციულობა, გამოავლინოს ცალკეული ჯგუფები და შეურჩიოს მათ სამეცადინო გეგმები და პროგრამები.

ჩვენ ვეხებით საკითხს ჯგუფური მეცადინეობის შესახებ, მაგრამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯგუფური თვითგანათლებითი მეცადინეობა არ ნიშნავს აუცილებლად წრეობრივ მუშაობას, რომელიც ეს ჩვენ 1947 წლამდე მიღებული. ამ შემთხვევაში ჯგუფში ჩვენ ვგულისხმობთ თვითგანათლებაზე. მომუშავეთა რამდენიმე პირს, რომლებიც მომზადებისა და განვითარების დონის. დაახლოებით ერთნაირობის გამო შეიძლება ვამეცადინოთ ერთი და იმავე მეთოდისა და პროგრამების მიხედვით. მაშასადამე შესაძლებელი ხდება მათთან ჯგუფური კონსულტაციების ჩატარება და ყველა დამხმარე ღონისძიების /ექსკურსია, დემონსტრაცია, ექსპერიმენტი და სხვ./ ჯგუფური მუშაობა. ამით ჩვენ არ უარვყოფთ საერთო მუშაობის საჭიროებას და მნიშვნელობას. მაგრამ საწყის მუშაობა ჩვენთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ როგორც მეთოდი, რომელსაც ეყრდნობა თვითგანათლებით მუშაობაში "მოსამზადებელი ეტაპი". და თუ წინათ მუშაობა აგებული იყო ისე, რომ საერთო მომუშავენი გადადიონენ დამოუკიდებელ მუშაობაზე ბეჭდვით ნაწარმოებებზე.

დამოუკიდებელი კითხვა, ინდივიდუალური იქნება იგი, თუ ჯგუფური, ნამდვილად იგი რეგულირებულია და მიმართულობს. გარკვეული ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელიც დაკავშირებულია თვითგანათლების ერთიანი ხაზით. მაშასადამე დამოუკიდებელი კითხვის ფორმები განისაზღვრება თვითგანათლების ფორმებით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში დიდ მრავალფეროვნებას აქვს ადგილი, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ დამოუკიდებელი კითხვის შემდეგი ძირითადი ფორმები:

1. სისტემატური ლიტერატურული კითხვა.
2. კითხვა განვითარების საერთო დონის ამაღლების მიზნით.
3. კითხვა პროფესიაში დახელოვნების მიზნით, ან

პროფესიის შეძენის მიზნით.

4. კითხვა მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური თეორიის დაუფლების მიზნით.

ჩვენ არ განვიხილავთ მეცნიერის კითხვას მის მორიგ ამოცანასთან დაკავშირებით, რადგანაც ახლა მკითხველს გარედან დახმარება და ხელმძღვანელობა ლიტერატურის შერჩევაში არ ესაჭიროება. მას შეიძლება დაჭირდეს მხოლოდ ტექნიკური დახმარება ბიბლიოგრაფიული ძიების პროცესში.

სისტემატური ლიტერატურული კითხვა - კითხვის ყველაზე მეტად განვითარებული ფორმაა. ჩვენ ზემოთ უკვე მოყვანილი გვაქვს ბევრი მაგალითი ლიტერატურის, როგორც მოუწესრიგებელი, ისე რეკომენდირებული, სისტემატური კითხვისა. დასახელებული ტიპის კითხვა უმთავრესად მიზნად ისახავს მხოლოდ ნაწარმოების გაცნობას უფრო ფართო ან უფრო ვიწრო მასშტაბით. რამდენადაც ასეთი კითხვა სისტემატურია, მასში შეიძლება შეტანილი იქნას გარკვეული მიზანდასახულობა, შეიძლება განისაზღვროს საკითხავი მასალის მოცულობა. უნდა აღინიშნოს კი, რომ ლიტერატურული კითხვა ჩვეულებრივ არ არის შეზღუდული რაიმე ვადით: მკითხველი, თუ კი მას ჩვევა აქვს ლიტერატურული ნაწარმოების კითხვის, კითხულობს მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში. თუ კი ასეთი კითხვა მიზანსწრაფულად მიმდინარეობს, თუ კი მკითხველს აქვს სათანადო ხელმძღვანელობა, შეიძლება კითხვა ძლიერ ეფექტიანი აღმოჩნდეს: მკითხველი გაეცნობა მხოლოდ ლიტერატურის ყველა თვალსაჩინო ნაწარმოებს. ბევრ შემთხვევაში ახლა მკითხველს დახმარება ესაჭიროება მხოლოდ კითხვის პირველ ეტაპებში. შემდეგ იგი უკვე თვითონ ირჩევს საკითხავ მასალებს, დაუფლებია ბიბლიოგრაფიული წყაროებით სარგებლობის ტექნიკას და საკითხავი მასალის შერჩევას დამოუკიდებლად ახორციელებს.

ასეთი კითხვა არ არის მხოლოდ მოცალეობის კულტურული გამოყენება. ლიტერატურულ კითხვას დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და მას დიდი როლის შესრულება შეუძლიან ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში. ლიტერატურული კითხვა, როგორც ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი, როგორც იგი მიმდინარეობს მრავალი თაობის თვითგარკვევის პროცესში, ძირფესვიანად განსხვავდება იმ ესთეტიკური კითხვისაგან, რომელსაც ქადაგებს ფაგე. სისტემატური ლიტერატურული კითხვა ადამიანს საშუალებას აძლევს გაიცნოს მსოფლიო ლიტერატურა მის მთავარი წარმომადგენლებისა და ძირითადი, სანიმუშო ნაწარმოებების სახით, ასეთი კითხვა აგრეთვე ადამიანს ეხმარება კაცობრიობის განვითარების ისტორიის შესწავლაში და,რაც უმთავრესია, მსოფლმხედველობის გამომუშავებაში. ამიტომ მხატვრული ლიტერატურის. სისტემატური კითხვა მეცადინეობის ერთერთ სახეს წარმოადგენს. ამ მეცადინეობის პროცესში მკითხველი ეჩვევა პარალელების გატარებას,ოცნებისა და სინამდვილის, წაკითხულისა და არსებულის შორის, მასში ვითარდება უნარი კრიტიკისა არა მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოების, არამედ სინამდვილის მიმართაც. ამიტომ კარგად წამძღვარებული კითხვა ზრდის ადამიანს აქტიურს, შემოქმედს, ცხოვრების მშენებელს. ამიტომ სწერს გორკი თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „В людях": "Ты читай! Не поймешь книгу – семь раз прочитай, семь не поймешь, прочитай двенадцать"... წიგნისა და სინამდვილის კავშირი ბრძნულად აქვთ აღნიშნული შოთა რუსთაველს და ილია ჭავჭავაძეს. შოთა ამბობს: "არას გარგებს სწავლულობა, თუ არა იქმ ბრძენთა ქმნულსა". ხოლო ილია "ოთარაანთ ქვრივში" წერს: "არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნიდან გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის".

ამიტომ საჭირო კრიტიკული, შემეცნებითი კითხვა, თუნდაც იგი მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოებებით ამოიწურებო-

ლეს.ახალგაზრდა დოსტოევსკი სისტემატიურად წერდა თავის ძმას მიხეილს,რას კითხულობს,რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე წაკითხვმა.ერთ ასეთ წერილში,რომელიც დაწერილია 1845 წლის 24 თებერვალს იგი ძმას წერს: "Брат,в отношении литература я на тот,что был тому назад два года.Тогда было ребячество,вздор. Два года изучения много принесли и много унесли"(Ф.Достоевский. Письма.Т.1.1928 г.стр.76).

შესანიშნავი გამომსახველობით და გულწრფელობით აქვს აღწერილი ჰ.ჰაინეს ის შთაბეჭდილება,რომელიც მან მიიღო ბავშვობაში სერვანტესის "დონ-კიხოტის" კითხვის დროს: „Seltsam! „Leben und Thaten des scharfsinnigen Junkers Don Quixote von La Mancha, beschrieben von Miguel Servantes Saavedra" war des erste Buch, das ich gelesen habe, nachdem ich schon in ein verständiges Knabenalter getreten und des Buchstabenwesens einigeermaszen kundig war. Ich erinnere mich noch ganz genau jener kleiner Zeit, wo ich mich eines frühen Morgens vom Hause wegstahl und nach dem Hofgarten eilte und dort ungestört den Don Quixote zu lesen." [H. Heine. Sämtliche Werke in vier Bände. Herausgegeben von O. Lachmann. B. 2. S. 378].

იქვე,გვ.379 ამბობს:"... und mein Herz wollte schier brechen als ich las, wie der edle Ritter betäubt und zermolint am Boden lag..."
დონკიხოტის სახე მგოსანს არც შემდგომში ავიწყდება და ხშირად იგონებს მას.ასე,იმავე ნაწარმოებში/"ქალაქი ლუკკა"/ გვ.381 იგი წერს:„Villeicht habt ihr doch recht, und ich bin nur ein Don Quixote, und das Lesen von allerei wunder Büchern hat mir den Kopf verwirrt, eben so wie dem Junker von La Mancha, und Jean Jacques Rousseau war ein Amadis von Gallien, Mirabeau war mein Roldan oder Agramanth, und ich habe mich zu sehr hineinstudiert in die Heldenthaten der französischen Paladine und der Tafelrunde des Nationalkonwents."

ამიტომ აქვს ასეთი დიდი მნიშვნელობა ლიტერატურული ტექსტის მოწესრიგებას. ეს მოწესრიგება უპირველესად ყოვლისა უნდა გამოიხატოს ლიტერატურული ნაწარმოებების შენარჩუნებასა და სისტემატიზაციაში. მაგრამ, გარდა ამისა, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ისეთი კრიტიკული და ისტორიულ-ლიტერატურული ნაწარმოებების შენარჩუნება, რომლებიც მკითხველს დაეხმარებიან ლიტერატურული ნაწარმოების გაგებაში, მისდამი კრიტიკულ მიდგომაში.

ტექსტის მეორე ტიპს წარმოადგენს ტექსტი განათლების საერთო დონის ამაღლების მიზნით. ცხადია, რომ გამოუქვეყნებელი ტექსტის შემცველობით, რამდენადაც არ უნდა იყოს იგი უზრუნველყოფილი დახმარების ყველა საშუალებებით, შესაძლებელია მეცადინეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მომეცადინეს უკვე აქვს ელემენტარული ცოდნა, მიღებული სკოლაში ან სხვა რომელიმე გზით. მხოლოდ ამის შემდეგ, როდესაც ადამიანი დაეუფლება ცოდნის ძირითად ელემენტებს, დაწყებითი სკოლის ფარგლებში მაინც, და განსაკუთრებით კი — დაეუფლება ტექსტის ტექნიკას იმდენად, რომ დამოუკიდებლად დაამუშაოს ბეჭდური ნაწარმოების ტექსტი, შესაძლებელი ხდება მისი თვითგანათლებითი მუშაობა დამოუკიდებელი ტექსტის მეთოდით. თუ ადამიანს არ ჰქონია თავის დრო შესაძლებლობა დაწყებითი სკოლა დაემთავრებინა, იგი უნდა ჩაებათ რომელიმე სასკოლო დაწესებულებასთან ან ბიბლიოთეკასთან არსებულ საგნობრივ წრეებში და სათანადო მომზადების მიღების შემდეგ ხელი შეეწყოს დამოუკიდებელ მუშაობაში. ამ ტიპის მომეცადინენი თანამიმდევრად უნდა დაეუფლოს ცოდნის საფეხურებს, მაშასადამე, ყველაზე სისტემატური, რეგულირებული, ორგანიზებული მუშაობა საკმაოდ დიდი დროის მანძილზე ასეთ შემთხვევაში სწარმოებს. იგულისხმება, რომ მეცადინეობას მიზნად არ აქვს უფლებრივი გაფორმება, სათანადო საფეხურის სკოლის ატესტატის ან დიპლომის მიღება, თუმცა ასეთი შედეგი შეიძლე-

პულსდ გამორიცხული არ არის, მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში უკეთესია, თუ მომეცადინე ჩაერევა რომელიმე დაუსწრებელ სწავლებაში.

მესამე ტიპის კითხვა დაკავშირებულია მოქალაქის პროფესიულ კვალიფიკაციასთან: იგი მეცადინეობს ან თავის პროფესიაში უკეთესად დახელოვნებისათვის, ან ახალი პროფესიის შეძენისათვის. ამ შემთხვევაში მეცადინეობას ყველაზე უფრო უტილიტარული სახით აქვს და მეცადინეობის მედეგად საჭიროა სათანადო დოკუმენტის მიღება, მაშასადამე გამოცდის ჩაბარება. ბევრ შემთხვევაში ასეთი მეცადინეობისათვის შესაძლებლობა გვაქვს ვიხელმძღვანელოთ სპეციალურად გამოშვებული პროგრამებითა და ინსტრუქციებით. ჩვეულებრივად დაინტერესებული ორგანიზაციები და წარმოებანი თვითონ აწყობენ ტექნიკურ წრეებს, კურსებს, სემინარებს და სხვ. მაგრამ ყველას არ აქვს შესაძლებლობა ამ ღონისძიებებით უშუალოდ ისარგებლოს /სიშორის ან სხვა მიზეზის გამო/. გარდა ამისა თვით ამ წრეებსა და კურსებზე მომეცადინე პირებსაც ესაჭიროებათ ლიტერატურით სარგებლობა და, მაშასადამე, ამ სარგებლობასთან დაკავშირებით მიღება ყველა სახის დახმარებისა, რომელიც კი შეიძლება მას აღმოუჩინოს ბიბლიოთეკის ან სხვა რომელიმე ორგანიზაციის მიერ.

მეოთხე ტიპის კითხვა მიზნად ისახავს მომეცადინეს განათლებაში რომელიმე ხარვეზის შევსებას, ან რომელიმე სპეციალური, კერძო ინტერესის დაკმაყოფილებას. ბიბლიოთეკების მუშაკების პრაქტიკაში ბევრი შემთხვევაა, როდესაც ესა თუ ის მოქალაქე დაინტერესებულია რომელიმე საკითხით და კითხულობს ყველაფერს, რაც კი ამ საკითხს შეეხება. ხშირად ასეთი მეცადინეობის მიზანი არის შეავსოს ის ნაკლი, რომელსაც გრძნობს ადამიანი თავის განათლებაში, ან იმის გამო, რომ თავის დროზე ჯეროვანი ყურადღებით არ მოეპყრობია, ან იმის გამო, რომ რომელიმე დისციპლინა სულ არ შეუსწავლია. ამავე ჯგუფში უნდა მო-

ვაქციოთ ის მკითხველები, რომლებიც აქტიური ინტერესით ექცევიან ყველა იმ საკითხს, რომელსაც მათ წინაშე აყენებს მიმდინარე მომენტი: იქნება ეს რომელიმე ღონისძიება ან იუბილე, რაიმე და განსაკუთრებული პოლიტიკური თუ საორგანიზაციო მოვლენა, მეცნიერული აღმოჩენა ან სხვა მის მსგავსი, ასეთი მკითხველი ყოვლომხ საკითხს საფუძვლიანად გაეცნობა სათანადო ლიტერატურის მეშვეობით.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი არის კითხვა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლებისა და მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში გარკვევისათვის. ეს მუშაობა სწარმოებს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით "სკპ/ბ/ისტორიის მოკლე კურსის" გამოცემასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ სკპ/ბ/ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებისა და შემდგომი დირექტივების, განსაკუთრებით კი სკპ/ბ/მე-18 ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე. ამ მუშაობაში გარკვეულ დახმარებას ასრულებენ ბიბლიოთეკები და სხვა პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. გამოშვებულია მთელი რიგი კითხვის გეგმები და პროგრამები, რომელთა დახმარებითაც მკითხველს შეუძლიან, "სკპ/ბ/ისტორიის მოკლე კურსზე" მეცადინეობა გააღრმაოს და გააფართოოს სათანადო შერჩეული პირველწყაროებისა და დამხმარე, განმარტებითი ლიტერატურის კითხვით.

რამდენადაც, ჩვენი აზრით, კითხვა უნდა იყოს სისტემატიკური, რეგულირებული, იმდენად საჭიროა მისი განსაკუთრებული ორგანიზაცია და აგრეთვე დაწესებულებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ ორგანიზაციულ მუშაობას. პრაქტიკულად მიგნებულია ის ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც ადამიანს საუკეთესოდ უწყობენ ხელს დამოუკიდებელი კითხვის ორგანიზაციაში. ეს არის კითხვის გეგმები და კითხვის პროგრამები და მათთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება

საუბარი. ასევე პრაქტიკამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამ საქმის ორგანიზაცია ყველაზე უკეთესად შეიძლება მოეწყოს ბიბლიოთეკებში და იმ საკლუბო დაწესებულებებში, რომელთაც გააჩნიათ სათანადო წიგნობრივი ფონდები. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დაწვრილებით შევეხოთ კითხვის წრეების და კითხვის პროგრამის საკითხს და აგრეთვე ბიბლიოთეკის მუშაობის ზოგიერთ საკითხს, დაკავშირებულს დამოუკიდებელი კითხვის ორგანიზაციასთან.

VI კითხვის ორგანიზაცია: კითხვის წრეები და კითხვის პროგრამა

ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ, როგორც სასკოლო მეცადინეობის პროცესში, ისე დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს ერთ-ერთ წამყვან მეთოდად უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებელი მეცადინეობა ბეჭდვით ნაწარმოებზე. ეს დამოუკიდებელი მეცადინეობა, თუკი იგი სწარმოებს დასახული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, იღებს სისტემატური, რეგულირებული კითხვის სახეს. რომ კითხვა იყოს სისტემატური და რეგულირებული, საჭიროა მკითხველის, მომეცადინეს მუდმივი სისტემატური ხელმძღვანელობა. ეს ხელმძღვანელობა იღებს დახმარების სახეს როგორც ლიტერატურის შერჩევაში, ისე მის დამუშავების, ათვისების საქმეში. ცნობილია, რომ, როდესაც მეცადინეობა სწარმოებს სკოლის, წრის და მათი მსგავსი ღონისძიების გარეშე, საჭიროა ამ ხელმძღვანელობამ ისეთი სპეციფიკური ხასიათი მიიღოს, რომელიც შესაძლებლად გახდის მის განხორციელებას. აქ ერთერთი აუცილებელი პირობა უსათუოდ იქნება დახმარება მანძილზე. მაგრამ დამოუკიდებელი მუშაობა ჰგულისხმობს მომეცადინეს ერთგვარ ავტონომიას, რომელიც მით უფრო ფართო და დიდია, რაც უფრო შეუძლებელია, სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო, მუდმივი უშუალო ხელმძღვანელობა-დახმარების განხორციელება. ამ ხელმძღვანელობის განხორციელების საქმეში ყველაზე მეტი და ეფექტიანი სამსახურის გაწევა შეუძლიათ კითხვის წრეებსა და კითხვის პროგრამებს.

პროგრამა არის მეთოდიკურად,დიდაქტიკურად შედგენილი ნუსხა საკითხებისა,რომლებიც უნდა წარმოადგენენ რომელიმე დისციპლინას,მეცნიერების ერთერთ დარგს.ეს საკითხები შესაძლებლობისამებრ განლაგებულია იმ თანამიმდევრობით,რომელსაც მოითხოვს თვით ამ დისციპლინის შინაარსი.ამ შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ სისტემატურ პროგრამას.მაგრამ მეთოდიკური,დიდაქტიკური მიზნით შეიძლება ეს თანამიმდევრობა დარღვეული იქნას ან საკითხების გადასმით,ან მათი შერჩევით.პირველ შემთხვევაშიც ჩვენ მაინც სისტემატურ პროგრამას მივიღებთ.მაგრამ თუ საქმე გვაქვს საკითხების შერჩევასთან,მაშინ პროგრამა -ელემენტურია.ასე,მაგალითად,საშუალო სკოლის მათემატიკის კურსი ელემენტურია,ასევე ელემენტურია ა/ს.სამ.სკოლის ისტორიის პროგრამა.იმავე საგნის პროგრამა სრულ საშუალო სკოლაში სისტემატურია.იგი,რასაკვირველია, მოცულობით მნიშვნელოვნად განსხვავდება საუნივერსიტეტო კურსებისაგან,მაგრამ დისციპლინის აგების პრინციპი იგივეა,სტრუქტურულად ისტორიის კურსი სრულ საშუალო სკოლაში სისტემატურია.თვითგანათლებაზე მომუშავეთათვის ერთი და იმავე საგნის პროგრამა ყოველთვის სტრუქტურულად ერთი არ იქნება. იმ შემთხვევაში,თუ თვითგანათლების ამოცანა არის განათლების რომელიმე საფეხურის ან რომელიმე სპეციალური სკოლის კურსის დაუფლება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით,მაშინ,ცხადია,ყოველი საგნის პროგრამა უნდა შეესიტყვებოდეს სათანადო სასკოლო პროგრამას.მაგრამ რომელსაც ამოცანად საერთო კულტურული დონის ამაღლება,და სრულებით გამორიცხულია ამ მეცადინეობის შედეგების იურიდიული გაფორმება მოწმობების,ატესტატების და სხვ. სახით,მაშინ შეიძლება საგნობრივი პროგრამა განსხვავდებოდეს სათანადო სასკოლო პროგრამისაგან.აქ მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში ის გარემოება,რომ თვითგანათლებაზე მომუშავეს მეცადინეობისათვის ურჩება მცირეოდენი საათები და,გარდა ამისა, მის განკარგულებაში არ არის იმდენი ხანგრძლივი პერიოდი,რო-

გორც მოსწავლის განკარგულებაში. ზოგჯერ ეს ერთ სულ მეორეა, რადგანაც საერთო განათლების ამათუიმ ხარისხის დაუყოვნებლივი შეევსება. მაგრამ მიუხედავად მოწაფეების, ამოცანების და მიდრეკილების დიდი მრავალფეროვნებისა, მაინც შეიძლება ერთგვარი ტიპობრივი ჯგუფების შემჩნევა. რასაკვირველია, ყველა მომეცადინე ვერ მოთავსდება ამ ჯგუფებში. მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ ასეთი ჯგუფები შევარჩიოთ. ამ შემთხვევაში გაცილებით ადვილი ხდება დახმარება, ხელმძღვანელობა, რადგანაც გაადვილდება მომეცადინეთა ლიტერატურით, დამხმარე მასალებით, კონსულტაციებით და ინფორმაციით უზრუნველყოფა.

მაშასადამე უნდა წარმოვიდგინოთ ორი შესაძლებელი მდგომარეობა: ა/მომეცადინე-შეიძლება მივაკუთვნოთ ერთერთ ტიპურ ჯგუფს, ბ/მომეცადინის მომზადება ან მიდრეკილება იმდენად თავისებურია, რომ საჭიროა მისთვის ინდივიდუალური პროგრამის შედგენა. ამრიგად ვიღებთ პროგრამებს: ტიპიურს და სპეციალურს.

ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში პროგრამა შეიძლება ელემენტური იყოს. მაგრამ მეცნიერული დისციპლინის ელემენტების, საკითხების შერჩევა ასეთი პროგრამებისათვის არ შეიძლება ისევე სტანდარტული და სრულფასოვანი იყოს, როგორც ამას ადგილი აქვს სასკოლო პროგრამებში. ხშირად რომელიმე ელემენტური კურსი დაკავშირებულია მიმდინარე პოლიტიკის საკითხთან, მორიგ სამეურნეო ამოცანასთან, ახალ მეცნიერულ ან ტექნიკურ აღმოჩენასთან. და ამრიგად პროგრამის შემადგენელი ელემენტები უსათუოდ მოძრავი, ცვალებადი იქნება.

ამავე მოვლენას ვხვდებით ჩვენ გეგმის საკითხშიც. გეგმა, პროგრამისაგან განსხვავებით, არის ნუსხა იმ ღონისძიებებისა, რომელთა შედეგადაც უნდა მივიღოთ ამათუიმ საფეხურის ან სპეციალობის პროგრამის დაუფლება. მაშასადამე გეგმაში, როგორც

მისი აუცილებელი ელემენტები,შეჯის:ა/ორგანიზაციული მომენტები,ბ/პროგრამები,გ/დახმარების და ხელმძღვანელობის სახეები.ორგანიზაციული მომენტები თვითგანათლების გეგმაში შემდეგია:დასმული ამოცანის მიხედვით შესასწავლი დისციპლინების და მათი მოცულობის,მეცადინეობის ხანგრძლივობის და მეცადინეობის ფორმის/ჯგუფური,ინდივიდუალური/დადგენა.ამ ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის შემდეგ ჩვენ უნდა შევარჩიოთ ან,თუ საჭიროა,ახლად შევადგინოთ სათანადო პროგრამები და ბოლოს გეგმაში უნდა იყოს გათვალისწინებული საიდან,რა სანდაბმულობით და რა სახის მეთოდიკურ დახმარებას მიიღებს მომეცადინე მეცადინეობის პროცესში.

თავისთავადაი გასაგებია,რომ გეგმაც შეიძლება იყოს ტიპიური/ასეთები იყო მაგალითად,მოსკოვის და პეტერბურგის კომისიების გეგმები/ და სპეციალური.იმ ორგანიზაციას ან დაწესებულებას,რომელსაც თავის მუშაობის შინაარსში შეტანილი აქვს თვითგანათლებაზე მუშაობის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა,უნდა შეეძლოს უზრუნველყოს მომეცადინენი,როგორც ტიპიური გეგმებითა და პროგრამებით,ისე სპეციალურით.და რაც უფრო მეტად შეეძლება ამ უკანასკნელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება,მით უკეთესი,მით უფრო ოპერატიული იქნება მისი მუშაობა.

რადარა ტიპიური გეგმაა შესაძლებელი.

ყველაზე ხშირ მოვლენას წარმოადგენს გეგმები საერთო გან-ათლების დონის ამაღლებისათვის.აქ შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი საფეხურები:

ა/დაწყებითი,
ბ/საშუალო,
გ/უმაღლესი.

როგორც ვხედავთ,აქ სკოლის საფეხურებისაგან განსხვავებით გამოტოვებულია ა/ს.საშუალო სკოლის შესაბამისი საფეხუ-

რი. ამ რგოლის მაგიერ გაფართოებული უნდა იქნას დაწყებითი სკოლის ფარგლები. მაშასადამე დაწყებითი საფეხური თვითგანათლებაში მოიცავს საბჭოთა სკოლის პირველ ორ საფეხურს. მაგრამ ეს შეთავსება პირობითია. თვითგანათლების დაწყებით საფეხურზე შეიძლება არ ისწავლებოდეს ყველა საგანი, რომელიც შედის ა/ს. საშუალო სკოლის სასწავლო გეგმაში. ამ გამარტივების მიზანი არის აცილება მრავალსაგნიანობისა, რომელიც მხოლოდ ხელს შეუშლის თვითმომეცადინეებს, რადგანაც მას შეუძლიან მეცადინეობას მხოლოდ თავისი დროის ნაწილი დაუთმოს, ისიც ძლიერ მოკლე ხანში 2-3 წელიწადში. იგულისხმება, რომ მომეცადინეს აქვს მომზადება სალიკვიდაციო სკოლის ფარგლებში, ე.ი. იცის წერაკითხვა და ანგარიშის ოთხი მოქმედება. იმავე მრავალსაგნიანობის თავიდან ასაცილებლად გეგმა შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ ერთდროულად მეცადინეობა წარმოებდეს არა უმეტეს 2-3 საგანში.

დაწყებითი საფეხურის თვითგანათლებითი მეცადინეობა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სქემის სახით:

I წელი	2 წელი	3წელი
მშობლიური	ენა →	
არითმე	ტიკა. მათემატ	იკის ელემენტები
გეოგრა	ფია. ბუნებისმე	ტყველება

სათანადო დროის და სხვა შესაძლებლობათა ქონის შემთხვევაში შესაძლებელია ამ ვადის უფრო მეტი შემცირება.

მეორე საფეხური, საშუალო, იმავე პრინციპზე უნდა იყოს აგებული, ე.ი. აცილებული უნდა იქნას მრავალსაგნიანობა და შესაძლებლობის ფარგლებში საგანთა კონცენტრირება. ჩვენის აზრით, საშუალო საფეხურის გეგმა შეიძლება გამოიხატოს შემდეგ სქემაში:

109

1 წელი	2 წელი	3 წელი
მშობლი	ური ლიტერატურა	(3 წლის)
რუსულ	ი ენა (3 წლის)	
ისტო	რია (3 წლის)	
მათე	მატიკა (3 წლის)	
ფიზიკა.	ქიმია. ბიო	ბიოლოგია

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად, როდესაც [illegible] ბევრ რესპუბლიკაში და ოლქში განხორციელებულია საყოველთაო, სწავლება ა/ს. საშუალო სკოლის დარგებში, [illegible] [illegible] უმრავლეს შემთხვევაში იწყება საშუალო სკოლის [illegible]. უმაღლესი მომზადებისათვის უნდა ისარგებლონ [illegible] [illegible] სასწავლო გეგმით და პროგრამებით ისეთი [illegible], რომ [illegible] ერთის [illegible] [illegible] შესაძლებელი იყოს გეგმის დაძლევა 3-4 წელში.

ინდივიდუალური მეცადინეობის დარგების და თემატიკის განსაზღვრა არ არის საჭირო. [illegible], [illegible] ასეთი [illegible] იქნება მომეცადინეთა მიღწევების შეფასება. მაგრამ, ცხადია, რომ ყველა ცალკეულ შემთხვევაში ახალი გეგმისა და პროგრამის შედგენა [illegible] [illegible] ამოცანა [illegible] და [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. ასეთ შემთხვევაში [illegible] [illegible] [illegible] გეგმისა და პროგრამის [illegible], ან მასში [illegible] ცვლილებების შეტანა. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ [illegible] [illegible] გეგმები და პროგრამები [illegible] [illegible] საჭირო [illegible]. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია [illegible], [illegible] გეგმებით და პროგრამებით [illegible] [illegible] [illegible] თვითგანათლების [illegible] [illegible]

წინასწარ შეუძლიან გაითვალისწინოს მოსალოდნელი დაკვეთები. მაგალითად შ.რუსთაველის იუბილეს პერიოდში საჭირო იყო წინასწარ შედგენა კითხვის გეგმისა და პროგრამისა თემაზე "შოთა რუსთაველი და მისი პოემა" და შეიძლება ამ საკითხთან დაკავშირებული სხვა რამდენიმე თემის წინასწარი დამუშავება /მაგ.:"შ.რუსთაველის ეპო" და სხვ.მისთ./.ამრიგად ჩვენ ვიღებთ საიუბილეო და კალენდარულ თარიღებთან დაკავშირებული კითხვის ეპიზოდური გეგმების და პროგრამების საჭიროებას,და ასეთ გეგმებსა და პროგრამებს თანაბარი ადგილი უნდა დაეთმოს ციკლური სტანდარტული გეგმების გვერდით.ეპიზოდური კითხვის გეგმა განსხვავდება კითხვის გეგმებისა და პროგრამებისაგან.განსხვავება გამოიხატება არა მხოლოდ იმაში,რომ იგი განსაზღვრული,მოკლე პერიოდისათვის არის გათვალისწინებული და შინაარსის,მოცულობის მიხედვითაც ვიწროთ არის შემოფარგლული,არამედ კიდევ იმით,რომ ეპიზოდურ გეგმაში შეერთებულია კითხვის გეგმა და პროგრამა.შეიძლება ნიმუშად დავასახელოთ რამდენიმე ეპიზოდური კითხვის გეგმა.ასეთებია თბილისის ჯაფარიძის სახ.ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული გეგმები ა.პუშკინის,ილია ჭავჭავაძის და ნ.კრუპსკაიას შესახებ.

ჩვენ აღვნიშნეთ,რომ კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული მუშაობისათვის საჭიროა სათანადო გეგმები და პროგრამები იმ შემთხვევაში,როდესაც ეს მუშაობა სწარმოებს ბეჭდვითი ნაწარმოებებზე დამოუკიდებელი მუშაობის წესით.აქ საჭიროა შევეხოთ ერთ გარემოებას: აღნიშნული ამოცანებისათვის ჩვენ ქვეყანაში ორგანიზებულია ღონისძიებების მთელი ქსელი:მოკლევადიანი კურსები და სკოლები,დაუსწრებელი სასწავლებლები,პროფტექნიკური და აგროტექნიკური წრეები.ყველა ეს საშუალება მათში ჩაბმულ პირებს უსახავს ამოცანას - დამოუკიდებლად დაამუშაოს ბეჭდვითი ნა-

წარმოებების მთელი რიგი, თანახმად სათანადო გეგმისა. მაგრამ ძლიერ ხშირად ამ მუშაობაში ებმებიან ისეთი მოქალაქეები, რომელთაც ჯერ არ აქვთ ათვისებული, ან დავიწყებული აქვთ წიგნზე მუშაობის ჩვევები. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს დაუსწრებლად მომეცადინეების შესახებ. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს მათდამი ისეთივე დახმარების აღმოჩენა, რომელიც მიღებულია თვითგანათლებაზე დამოუკიდებლად მომუშავეთადმი მიმართ. კიდევ მეტი: შეიძლება საჭირო გახდეს მათთვის კითხვის გეგმებისა და პროგრამების მიწოდებაც. ეს შეიძლება მოხდეს როგორც დასახელებული ორგანიზაციების მოთხოვნით, ისე თვით მსმენელთა ინდივიდუალური მოთხოვნების მიხედვით. მიუხედავად აღნიშნული ორგანიზაციების ქსელის სიფართოვისა, არამც თუ არ არის გამორიცხული, არამედ ისევე ფართოა ინდივიდუალური მეცადინეობის შემთხვევებიც. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მომეცადინეს მომზადებულობის თავისებურებებით, ან მისი ინტერესის, ამოცანის განსაკუთრებულობით.

როგორი ორგანიზაციული ფორმები უნდა მიიღოს გეგმით და პროგრამით კითხვამ. ჩვენ უკვე ვნახეთ, რა ეფექტური შედეგები მოაქვს არაორგანიზებულ უხელმძღვანელო კითხვას. მაშინაც კი, როდესაც მკითხველს შეუძლიან თვითონ შეადგინოს კითხვის გეგმა, ძლიერ სასარგებლოა, შეიძლება ითქვას, უფრო მიზანშეწონილია, თუ იგი კონსულტაციას მაინც მიიღებს ისეთი ორგანიზაციიდან, რომლის განკარგულებაშიც იმყოფება დასახული დისციპლინის ძირითადი ბიბლიოგრაფიული წყაროები. ასეთი წყაროების მიღებით შედგენილი პროგრამა უფრო კარგად ამოსწურავს დისციპლინის თუ საკითხის ყველა მომენტს, მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის გათვალისწინებით. რაღა ითქმა უნდა, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მკითხველი თავის თავს არ გრძნობს იმდენად კომპეტენტურად, რომ თავისუფლად გაერკვეს საკითხის ბიბლიოგრაფიაში, უნდა უსათუოდ მიმართოს დახმა-

რებლად სათანადო ორგანიზაციას.აქ ისმება საკითხი,რომელიც უსათუოდ მოითხოვს ერთგვარ ყურადღებას.ეს არის საკითხი ბიბლიოგრაფიული მინიმუმის გავრცელების შესახებ.ყოველი ადამიანი,რომელიც დაუფლებული უნდა იყოს წერაკითხვას,ისევე დაუფლებული უნდა იყოს ბიბლიოგრაფიის მინიმუმს.ამ მინიმუმში უნდა შედიოდეს:ა/წიგნის სტრუქტურის ცოდნა და მისი ელემენტების გამოყენება მუშაობაში/თავფურცლის,სარჩევის,საძიებლების, დართული და წიგნისშიდა ბიბლიოგრაფიის,კომენტარების/; ბ/ბიბლიოთეკის სტრუქტურის,მისი კატალოგების და აბონემენტის წესების ცოდნა;გ/ბიბლიოგრაფიული წყაროების ძირითადი სახეების და მათით სარგებლობის ცოდნა.ბიბლიოგრაფიული მინიმუმი სასკოლო და სხვა ყოველგვარ სწავლებაში უნდა უსათუოდ იყოს გათვალისწინებული.ბიბლიოთეკის მუდმივი აბონენტები ასე თუ ისე ამ მინიმუმს გაცნობილები არიან და მათ ზოგჯერ შეუძლიათ ბიბლიოგრაფიული წყაროებით დამოუკიდებლად სარგებლობა. იმისდა მიხედვით,თუ მკითხველი რამდენად კარგად არის გაცნობილი ბიბლიოგრაფიული მუშაობის ტექნიკას,მას შეუძლიან კითხვის გეგმის და პროგრამის შედგენისათვის ორ გზას მიმართოს:

1. თვითონ სრულიად დამოუკიდებლად შეადგინოს გეგმა და პროგრამა.
2. მიიღოს დახმარება გეგმის და პროგრამის შედგენაში.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში უნდა გავარჩიოთ 3 კერძო შემთხვევა:

ა/მკითხველი თვითონ ადგენს გეგმას და პროგრამას,მხოლოდ იღებს კონსულტაციას ან შედგენის პროცესში ან შედგენის შემდეგომ;

ბ/ მიმართავს ერთერთ ორგანიზაციას,რომლისგანაც იღებს ტიპიურ,სტანდარტულ კითხვის გეგმას და პროგრამას;

გ/სათანადო ორგანიზაცია უდგენს მას ინდივიდუალურ გეგმას და პროგრამას.

ამის გამო ჩვენ წინაშე სამი საკითხი დასმულა: 1/ვინ ადგენს ტიპიურ, სტანდარტულ და სხვა კლასის გეგმებსა და პროგრამებს; 2/ვინ აწარმოებს უშუალო ხელმძღვანელობას, 3/როგორ სწარმოებს ინფორმაცია, მკითხველთა ჩაბმა სისტემატიურ კითხვაში გეგმით.

იმ პირთათვის, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი დაუსწრებელი სწავლების დაწესებულებებთან, არ დაკავშირებულნი არიან, მაგრამ საჭიროებენ კონსულტაციურ და სხვაგვარ დახმარებას, ტიპიური, სტანდარტული კლასის გეგმებისა და პროგრამების შედგენა ძირითადში სწარმოებს თანახმად სკპ/ბ/ცეკას 1940 წლის დადგენილებისა ბიბლიოგრაფიული მუშაობის შესახებ. ამ დადგენილების საფუძველზე ამ დარგში ბიბლიოგრაფიული მომსახურების ფუნქციები გადანაწილებულია მთელ რიგ დაწესებულებათა შორის, და თითო მათგანს მიჩენილი აქვს მკითხველთა გარკვეული კატეგორიის მომსახურება, ან გარკვეული სახის ბიბლიოგრაფიული მომსახურების წარმოება. ამ დაწესებულებათა შორის უნდა დავასახელოთ: საკავშირო და რესპუბლიკური წიგნთა პალატები, მეცნიერებათა აკადემია, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის მეთოდკაბინეტები, სპეციალური დარგობრივი დაწესებულებანი, პოლიტიკურ საგანმანათლებლო მუშაობის მეთოდკაბინეტები და სალექციო ბიუროები. საკავშირო წიგნთა პალატა სცემს ბიბლიოგრაფიულ საძიებლებსა და კითხვის გეგმებს ფართო მასისათვის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტები-ბიბლიოთეკების მუშაკებისათვის/მათი მეშვეობით ეს საძიებლები, რასაკვირველია, იმავე მასის ხელებამდე დადის/.

ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაზე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კითხვის გეგმებისა და პროგრამების შედგენა არის მხოლოდ ნაწილი ბიბლიოგრაფიული მომსახურებისა/და ის ბიბლიოგრაფიული საშუალებები და სარეკომენდაციო სიები, რომლებიც წინადაც იქმნა გამოყენებული, როგორც დახასიათებული, ის

სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებათა მიერ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეცვლიან კითხვის გეგმებს და პროგრამებს, რადგანაც სარეკომენდაციო სია არ გვაჩვენებს კითხვის თანამიმდევრობასა და მეთოდიკას და არ ასახელებს სხვადასხვა წიგნის იმ ავტორებს რომლებიც-დაკავშირებულია თემასთან. ჯერჯერობით კარგად დამუშავებული კითხვის გეგმები გვაქვს სკპ/ბ/ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელთათვის/პირველწყაროები და დამხმარე ლიტერატურა/ სხვა დარგებისა და საკითხებისათვის შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე ახალი გეგმა, მხოლოდ მაღლიანი მოცულობის, სისტემატიკურად დამუშავებულ გეგმებს ჯერ ვერ დავასახელებთ, მართალია 1924-28 წლებში იყო რამდენიმე ცდა ახალი გეგმების შედგენისა. ამ საქმეში 30 ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა გამომცემლობამ "Работник просвещения". მისი გამოცემებია, მაგალითად: "Рыбникова. Введение в литературу, ან Розанов. Путеводитель по русской литературе XIX ст. მისივე Путеводитель по русской литературе XX ст. და მთელი რიგი სხვა ანალოგიური გამოცემები, დასახელებული წიგნაკები ჟურნალის სერიას: Ступени самообразования. Систематические программы самообразовательного чтения, , რომელიც განზრახული იყო 1927-28 წლებში მასწავლებლების თვითგანათლებითი მუშაობისათვის. ამ სერიის გამოცემას უშუალო ხელმძღვანელობდა სსრკ განათლების მუშაკთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული თვითგანათლებაში დამხმარე კომისია. სერია შედგება სულ 9 ციკლს /საზოგადოებათმეცნიერების, ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და ა.შ./, ხოლო თითო მათგანის პროგრამები განაწილებული იყო 4 საფეხურად. ასე, მაგ. ქიმია-ტექნოლოგიური ციკლი /№ 6/ განაწილებული იყო შემდეგ საფეხურებად:

1 საფეხ.	2 საფეხ.	3 საფეხ.	4 საფეხ.
1. ქიმიის და მინერალოგიის [illegible]	1. არაორგანული და ორგანული [illegible]	1. ქიმიის საფუძვლები/ნაწ. 2 ანალიზი.	1. ტექნიკური ქიმია.

საფეხ.	2 საფეხ.	3 საფეხური	4 საფეხური
	2. წიაღთაგამოყენება.	2. გეოლოგია	3. უფრო განვითარებული წარმოებისა ტექნოლოგია.

თითოეული ციკლის ოთხი საფეხურისათვის დაბეჭდილი იყო ცალკე ბროშურები, რომლებიც შედგებოდა 2 ნაწილისაგან: 1. პროგრამები, 2. პროგრამების დამუშავება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს გეგმები ამჟამად მოძველებულია, როგორც მეთოდიკურად, ისე შინაარსეულად, რადგანაც იგი არ შეიცავს იმ უამრავ საუკეთესო ნაწარმოებებს, რომლებიც მას შემდეგ არის გამოცემული.

მეორე საკითხი, დასმული ჩვენ წინაშე, არის: ვის მიერ, სად უნდა სწარმოებდეს თვითგანათლებაზე მუშაობა კლუბის წევრებისა და პროგრამების მეშვეობით. აუცილებლად ცხადია, რომ ეს მუშაობა უწინარეს ყოვლისა დაკავშირებული უნდა იყოს იმ დაწესებულებებთან, რომელთა განკარგულებაშიც არის ცოტად თუ მეტად საკმაო წიგნობრივი ფონდი. ასეთი დაწესებულებები არის პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებები: ბიბლიოთეკები, კლუბის სახლები, საქარხნო და სასოფლო კლუბები, ქოხ-სამკითხველოები და წითელი კუთხეები. ცხადია, რომ ბიბლიოთეკების გარდა პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებშიც დაკავშირებული უფრო ხშირად ბიბლიოთეკებთანაა ხოლმე, თუმცა ეს უფრო მეტად დამოკიდებულია მუშაკის კვალიფიკაციაზე: თუ მაგალითად, საქარხნო კლუბში არის საწრეო მუშაობის ხელმძღვანელი ან მეთოდისტი, შეიძლება თვითგანათლებაზე მომუშავეების ხელმძღვანელობაც მას ქონდეს დაკისრებული და ბიბლიოთეკა გამოყენებული იქნას როგორც დამხმარე აწესებულება, ლიტერატურის მისაწოდებლად.

როგორ უნდა სწარმოებდეს თვითგანათლებაზე დამოუკიდებელ მუშაობაში ჩაბმა. ამისათვის ჩვენ რამდენიმე მიგვყავს გეგმულებს. პირველია-წრეებში მომზადებიან პირები. საწყის მუშაობის დამთავრების შემდეგ/პროგრამის შესრულების შემდეგ/წევრებს ეძლევა წინადადება გააგრძელონ თვითგანათლებაზე მუშაობა დამოუკიდებე-

ლი მუშაობის წესით. ასეთივე მინაყვაგება შეიძლება მიეცეს წრის მუშაობის პროცესში იმ წევრებს, რომელთა მომზადებაც მნიშვნელოვნად აღემატება დანარჩენ წევრთა საშუალო მომზადებას. მეორე წყარო – ბიბლიოთეკის აბონენტებია. მკითხველთა შორის უნდა სისტემატიკურად სწარმოებდეს გეგმით, პროგრამით კითხვის პროპაგანდა. მესამე წყარო არის მოსახლეობის ფართო მასა, რომელშიც უნდა ვამოქმედოთ აგიტაციის და პროპაგანდის ყველა საშუალებებით, რომ გავაფართოვოთ დამოუკიდებლად მომუშავეთა რიცხვი. ცხადია, რომ დამოუკიდებელ კითხვაში ჩაბმას წინ უნდა უსწრებდეს ფართო მასების სათანადო მომზადება წრეებში, სემინარებში. და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება კითხვის გეგმების გადაცემა იმ პირებისა, რომლებიც საკმაო გამოცდილებასაც მიიღებენ წიგნზე მუშაობის საქმეში და ცოდნის საკმაო მარაგითაც შეიარაღდებიან.

სისტემატიკური კითხვის პროპაგანდაში გამოყენებული უნდა იქნას თვალსაჩინო აგიტაციის მეთოდები: განცხადებები და პლაკატები, საინფორმაციო დაფა, გამოფენები და სხვ. სიტყვიერი აგიტაცია კი უნდა ვაწარმოოთ ყველა კრებებზე, უნდა გამოვიყენოთ კედლის გაზეთი, რადიო, ადგილობრივი რაიონული გაზეთი და სხვ.

თვითგანათლებაზე მუშაობის წარმართვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გეგმას და პროგრამის კარგად შედგენას. ჩვენ უკვე არა ერთხელ შევეხეთ წინანდელ გეგმებსა და პროგრამებს და აღვნიშნეთ მათი ნაკლოვანებანი. გეგმის და პროგრამის შედგენა მოითხოვს დიდ პედაგოგიურ გამოცდილებას და საგნის კარგ ცოდნას. ამიტომ, თუ ხელთ დაბეჭდილი მასალები არა გვაქვს, რომ ან უშუალოდ გამოვიყენოთ, ან საფუძვლად დავუდოთ ჩვენ მიერ შედგენილ გეგმებსა და პროგრამებს, უსათუოდ უნდა მივმართოთ სათანადო საგნის სპეციალისტს, რომელსაც

აქვს საკმარისი პედაგოგიური გამოცდილება. ამავე დროს, რადგანაც პედაგოგიური გამოცდილება უფრო ხშირად სკოლასთან არის დაკავშირებული, მოზარდთა [redacted] დიდაქტიკაზეა დამყარებული, სპეციალისტ-პედაგოგს, რომელიც შეიძლება კარგად არ იცნობდეს მოზრდილთა პედაგოგიკას, ჩვენ უსათუოდ უნდა მოვაწოდოთ გეგმებისა და პროგრამების ნიმუშები.

ზემოთ უკვე არის მოცემული ცდა სისტემატიური მეცადინეობის აგეგმვისა მაშინ, როდესაც მეცადინეობის ამოცანა არის სწავლის რომელიმე საფეხურის დაძლევა. ხშირად მომეცადინე არჩევს ერთ რომელიმე დისციპლინას ან საკითხს. მაშინაც, რასაკვირველია, საჭიროა გეგმისა და პროგრამის ქონა. როგორც უკვე აღინიშნა, შეიძლება ეს დოკუმენტები ტიპიური, სტანდარტული იყოს, ყველა მსურველისათვის ერთნაირი, მაგრამ შეიძლება ზოგიერთ მომეცადინისათვის ცალკეული, ინდივიდუალური დოკუმენტების შედგენა გახდეს საჭირო. ზოგჯერ არჩეული თემა თავის მხრივ არის მეცადინეობის მთლიანი გეგმის ნაწილი, მეცადინეობის ერთერთი თემა, ან ექსკურსი, სწავლის პროცესში აღმოჩენილი ხარვეზის შევსება ან დამხმარე დისციპლინის შესწავლა.

დამოუკიდებელი კითხვის პროგრამა ტექნიკურად განსხვავდება სასკოლო პროგრამებისაგან იმით, რომ ყოველი პროგრამის, საკითხის შემდეგ დასახელებულია წიგნი ან წიგნის ნაწილი, რომელიც უნდა იქნას დამუშავებული. შეიძლება დასახელებული დასახელებული იქნას ორი ან მეტი წიგნი ან მათი ნაწილები. უკანასკნელ შემთხვევაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული: წიგნის რომელი გამოცემა იგულისხმება, სახელდობრ რომელი თავი, რომელი გვერდები უნდა იქნას წაკითხული.

განსაკუთრებული შემთხვევაა–ეპიზოდური თემები, სადაც გეგმა და პროგრამა შეერთებულია ერთ "კითხვის გეგმად".

ახლდა, მაგალითად კიდ ვის ვხვდებით: "ა. პუშკინი", "ილია ჭავჭავაძე", "შოთა რუსთაველი", რომლებიც ქართულ ენაზე იყო გამოცემული 1937 წელში. უფრო ხშირად ასეთ კლასიკოსთა გვერდზე ისტორიულ-და მოკლე ბიოგრაფიით, შემდეგ დახასიათებული იყო მეთოდიკური თანამიმდევრობით ის ნაწარმოებები, რომლებიც უნდა წაეკითხა მკითხველს, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ამ მწერლის შემოქმედების შესწავლა. ასე სიაში იყო მითითებული გვერდების ნომერი ერთ-ერთი ყველაზე უკეთესი და იმავე დროს ყველაზე გავრცელებული გამოცემის მიხედვით. შემდეგ მუხლში დახასიათებული იყო საუკეთესო ლიტერატურა მწერლის შესახებ. ეს სქემა ახლაც ძირითადში მისაღებია და პრაქტიკულად გამარტივებულად უნდა ჩაითვალოს /მწერლის ბიოგრაფია, მისი ნაწარმოებები, ნაწარმოებები მის შესახებ/. მაგრამ, ისაა, რომ ამ მუშაობიდან სასწრაფოდ უნდა განიდევნოს შაბლონი, ერთი და იმავე ნიმუშის მექანიკური გამეორება. შ. რუსთაველის შესწავლის სქემაში, მაგალითად, საჭიროდ უნდა ჩაითვალოს ბიოგრაფიის შემდეგ მითითებული იყოს პოემის შინაარსის ერთ-ერთი პროზაული გამოცემის /კარიჭაშვილის, ისპირიანის, ბარამიძის, მეგრიაშვილის ან სხვ./ ნაკვებვა. მაგრამ თუ სასკოლო უნდა განიხილოთ შაბლონი, პირიქით, ყველა ნომერი უნდა იქნას მიღებული, რომ მოემსახუროს კითხვის გეგმის და პროგრამის მეთოდიკა. ამ მეთოდიკის არსებითი ნაწილები უნდა იყოს შემდეგი მომენტები:

1. თემის ზუსტი განსაზღვრა და მისი შეთანხმება მთელი ღონისძიების მთლიან ამოცანასთან და განათლების ხაზით მიზნებთან.

2. მკითხველის დონის გათვალისწინება.

3. წრის განსაზღვრა და ამასთან დაკავშირებით მკითხველთა ჯგუფების დადგენა.

4. განსაზღვრა ლიტერატურული სახის ერთის საჭიროებისა.

.ნახაზიდან მასალის მოპოვების შემთხვევაში ამ მე-

საძლებლობებთან დაკავშირებით, რომელსაც იძლევა მომეცადინის დროის ბიუჯეტი და მომზადების დონე.

6. შერჩევა: 1/ ძირითადი სახელმძღვანელოებისა, 2/ დამხმარე ლიტერატურისა და 3/ საცნობო წიგნებისა.

7. ზუსტი პროგრამის შედგენა, დასახული წიგნებიდან სათანადო ადგილების შერჩევით.

8. განსამეორებელი კითხვარის შედგენა.

9. საკონტროლო სამუშაოთა რაოდენობის დადგენა და თემების დაზუსტება.

გეგმაში და პროგრამაში არც ერთი მომენტი არ უნდა დარჩეს დაუზუსტებელი, სათუო. იმ შემთხვევაში, როდესაც არჩევანი მკითხველს მიეკუთვნება, ეს სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული.

კითხვის გეგმით და პროგრამებით მეცადინეობა, მეტადრ თუ მომეცადინე უკვე დაუფლებული არის ბეჭდვით ნაწარმოებზე დამოუკიდებლად მუშაობას, არ გამორიცხავს სარეკომენდაციო სიებით სარგებლობას, მეტადრე ისეთ საკითხებზე, რომლებსაც მომეცადინისათვის ეპიზოდური ხასიათი აქვს.

კითხვის გეგმით და პროგრამებით მუშაობა, როგორც ვნახეთ, ერთგვარი საფეხურების მიხედვით მიმდინარეობს. რასაკვირველია, სავალდებულო არ არის, რომ ყველა მომეცადინემ უსათუოდ ყველა საფეხურის ყველა საგანი შეისწავლოს. მაგრამ შემდეგში მეცადინეობის დროსაც, როდესაც მისი ყურადღების საგანი შეიძლება გახდეს კითხვის გეგმის გარეშე საკითხი, მან უსათუოდ უნდა წინასწარ აგეგმოს ხოლმე თავისი მუშაობა, წინასწარ დაადგინოს, როგორც მისი მოცულობა, ისე წასაკითხი ლიტერატურა. კითხვის გეგმაზე და პროგრამებზე მუშაობა მას მისცემს სათანადო ჩვევებს ბიბლიოგრაფიული წყაროების სარგებლობის საქმეში.

მომეცადინეებს უნდა დავეხმაროთ კიდევ ერთი, ფრიად სა

სარგებლო ჩვევის გამომუშავებაში - საკონტროლო სამუშაოების შესრულებაში, როგორი სახისაც არ უნდა იყოს იგინი. რაც უფრო მუყაითი იქნება მკითხველი ამ საქმეში, მით უფრო ეფექტური იქნება მისი მეცადინეობა, მით უკეთესად დაეუფლება იგი ცოდნას.

VII. დახმარების ფორმები და მეთოდები.

ერთერთი საკითხი, რომლის განხილვაც ჩვენთვის აუცილებელია, არის საკითხი იმ დახმარებისა და ხელმძღვანელობის შესახებ, რომელიც მომეცადინემ უნდა მიიღოს. ზემოთ აღნიშნული იქნა, რა უმწეო მდგომარეობაში იყო უწინ ადამიანი, რომელიც მხოლოდ თავისი ძალების იმედით უნდა შესდგომოდა ბრძოლას ცოდნის შეძენისათვის.

ჩვენ ზევით განვსაზღვრეთ, რომ დახმარება დამოუკიდებლად მომეცადინეებს ძირითადში უნდა აღმოუჩინონ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომელთა განკარგულებაშიც იმყოფება საჭირო მუშაკებიცა და მასალებიც -პირველ რიგში-ლიტერატურა.

მაგრამ საჭიროა შევთანხმდეთ, რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს დახმარება, რა სახეები, ფორმები უნდა მიიღოს და როგორია თითო მათგანის მეთოდიკა. რასაკვირველია, მუშაობა აქ დასახელებული ფორმებით და მეთოდებით არ უნდა ამოიწურებოდეს. პირიქით, ჩვენმა გამოცდილებამ უნდა გააფართოოს, გააღრმავოს ეს დახმარება და უფრო რაციონალური ფორმები უნდა გამონახოს.

იმ შესაძლებელ ფორმათა შორის, რომელთა წარმოებაც ჩვეულებრივად შეადგენს პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შინაარსს დამოუკიდებლად მომუშავეთადმი დახმარების მიზნით, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ, როგორც უმთავრესი, შემდეგნი:

1. დაკავშირება დაუსწრებელ სასწავლებლებთან ან სხვა ანალოგიურ დაწესებულებასთან.
2. გეგმისა და პროგრამების შერჩევა ან შედგენა.
3. კონსულტაციური დახმარება და კონტროლის ორგანიზაცია.
4. მეცადინეობის კონტროლის ორგანიზაცია.
5. საცნობო-საინფორმაციო მომსახურება.
6. ლიტერატურით მომარაგება.

ბევრ შემთხვევაში მოქალაქესთან კონსულტაციის შედეგად ჩვენ შეგვიძლიან მას მივუთითოთ მზა ორგანიზაციაზე, რომელიც აწარმოებს მეცადინეობას იმ საგანზე, რომელიც ესაჭიროება მოქალაქეს და ისეთ დროს და ისეთ ფორმებში, რომ ამ მოქალაქეს შეუძლიან თავისი ყოველდღიური საქმიანობის დაუბრკოლებლად ისარგებლოს მით. ასეთია მრავალი არსებული დაუსწრებელი სასწავლებელი, მოკლევადიანი კურსები. რატომ უნდა ხარჯოს ბევრი დრო და ენერგია მოანგარიშეობის შესწავლაზე, თუ იქვე, იმავე ქალაქში არის მოანგარიშეობის საღამოს მოკლევადიანი კურსები ან დაუსწრებელი ტექნიკუმი და ან სხვა ანალოგიური დაწესებულება. ცხადია, ასეთი ნარგზავნა სრულებით არ უხშობს ადამიანს დამოუკიდებელი მეცადინეობის საშუალებას. პირიქით, ყველა ჩვენი სასწავლო დაწესებულების გეგმები და პროგრამები ამჟამად ისეა აგებული, რომ წამყვანი ადგილი დათმობილი აქვს მოწაფის, მსმენელის დამოუკიდებელ მუშაობას ბეჭდვით ნაწარმოებზე. სამაგიეროდ იქ იგი იღებს ყველა იმ დახმარებას, რომელიც კი საჭიროა მისი კვალიფიკაციისათვის და ამავე დროს არ უშლის ხელს ჩვეულებრივ საქმიანობაში.

იმ მიზნით, რომ დახმარების ეს ფორმა რეალური იყოს, პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულება თვითონ კარგად უნდა იყოს ინფორმირებული ყველა ასეთი დაწესებულების არ-

ხეობის შესახებ, უნდა აგროვებდეს მათ განცხადებებს, პროსპექტებს, სასწავლო გეგმებს.

მაგრამ, თუ ეს შეუძლებელია ან საჭირო არ არის და მოქალაქემ თვითონ უნდა იმუშაოს, მაშინ ჩვენ უნდა უკვე შევუდგინოთ მას მეცადინეობის გეგმა, შევურჩიოთ პროგრამები, დავუკავშიროთ კონსულტანტებს. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, იგი უნდა "ჩავაბათ" თვითგანათლებაზე დამოუკიდებელ მუშაობაში. მუშაობის თვით ეს მომენტი უკვე მნიშვნელოვანი საქმეა. შემდეგ უკვე იგი ნათქვამი, რა მეთოდებით უნდა ვაწარმოოთ მოქალაქეთა ჩაბმა თვითგანათლებაზე მუშაობაში.

გეგმის და პროგრამის შერჩევა ძლიერ მნიშვნელოვანი მომენტია. შეიძლება ითქვას – გადამწყვეტი. შერჩევის დროს მხედველობაში უნდა მიიღოთ, როგორც მომეცადინის სურვილი და მისწრაფება, ისე მისი შესაძლებლობანი. არა კმარა მონდომება. საჭიროა მოქალაქეს შეეძლოს კიდეც დასახული გეგმის შესრულება. ბევრ შემთხვევაში მკითხველის მიერ არჩეულ საგანს ან საფეხურს შეიძლება ჩვენ წარვუმძღვანოთ ისეთი მეცადინეობა, რომელიც მას მისცემს საჭირო მომზადებას, ცოდნის ბაზას. ეს მოსამზადებელი მუშაობა შეიძლება იმავე დამოუკიდებელი მუშაობის წესით სწარმოებდეს, მაგრამ შესაძლებელია სათანადო წრეში მუშაობითაც შეივსოს მომზადების ხარვეზი.

კონსულტაციური დახმარების წარმოება საჭიროა, თუ გვინდა ჩვენი დახმარება, ჩვენი მონაწილეობა მოქალაქეთა თვითგანათლებაზე მუშაობაში ეფექტიანი იყოს. რაც უნდა ბევრი ჩევა ვქონდეს მოქალაქეს ბეჭდვით ნაწარმოებზე მუშაობის დარგში, მისთვის კონსულტაციები მაინც აუცილებელია.

საკონსულტაციო მუშაობის კარგად დაყენებისათვის საჭიროა კონსულტანტების კადრის შერჩევა. ბევრ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს ბიუჯეტში შესატყვისი თანხა და შეუძლ

ხელფასიანი კონსულტანტები იყოლიოს. მაგრამ თუ ამის შესაძლებლობა არ არის, მაშინ კონსულტანტების ჯგუფი საზოგადოებრივი დატვირთვის წესით ნებაყოფლობით უნდა შევარჩიოთ. კონსულტანტების ჯგუფის შედგენის დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მომეცადინეთა ის ჯგუფები, რომლებიც მეცადინეობენ ჩვენი ხელმძღვანელობის ქვეშ.

ყველა პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში საკონსულტაციო მუშაობას გარკვეული ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩნეული. ყოველი კონსულტანტი დანიშნულ დღესა და საათებში უსათუოდ თავის ადგილზე უნდა იყოს. კონსულტანტმა უნდა აწარმოოს მუშაობა ყველა მომეცადინეებთან, პასუხი უნდა გასცეს ყველა მათ შეკითხვაზე. მაგრამ მაშინ, როდესაც ერთდაიმავე პროგრამით რამდენიმე მოქალაქე მუშაობს, კონსულტანტი უნდა ზრუნავდეს, რომ ყველამ დაახლოებით ერთი ტემპით იმეცადინოს. ჩამორჩენილებს უნდა მისცეს დამატებითი კონსულტაციები, რომ დაეწიოს იგი ამხანაგებს. მაშინ კონსულტანტს შესაძლებლობა მიეცემა აწარმოოს ჯგუფური კონსულტაციებიც. უფრო ძლიერ მომეცადინეებს უნდა დაუსახელოს დამატებითი ლიტერატურა საკითხის გაღრმავებული დამუშავებისათვის.

კონსულტანტს ესაჭიროება პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულების დახმარება, რომ მან თავისი მუშაობა წარმატებით ჩაატაროს. პირველ რიგში მას ესაჭიროება ლიტერატურა. ჩვენ უნდა მოვამარაგოთ ჩვენი წიგნობრივი ფონდი მთელი იმ ძირითადი ლიტერატურით, რომელიც საჭიროა კონსულტანტის თვითმომზადებისა და საკონსულტაციო მასალების ამოკრებისათვის. გარდა სპეციალური წიგნებისა, ჩვენ უნდა ვიქონიოთ გაზეთებიდან ამოჭრილი კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებზე. ეს ამონაჭრები უნდა ვაკლასიფიციროთ საგნის მიხედვით. საგნის სახელი უნდა დავაწეროთ კონვერტებს და შესატყვისი საკონსულტაციო მ

მასალები მასში ჩავაწყოთ ხოლმე. თუ გაზეთიდან კონსულტაციას ვერ ამოვჭრით, იმავე კონვერტში უნდა ჩავდოთ გაზეთში მოთავსებული კონსულტაციის ე.წ. "ანალიტიკური აღწერილობა", რომლის „ტექნიკასაც ჩვენ ვნახავთ კატალოგრაფიის ყველა სახელმძღვანელოში. ახლაც უნდა მოვიქცეთ იმ კონსულტაციების მიმართ რომლებიც დაბეჭდილია ჟურნალებში.

აქ უნდა შევეხოთ დამოუკიდებელი კითხვის ერთ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია კონსულტანტის მუშაობასთან. ეს არის მეცადინეობის შედეგების შემოწმება. აქ ლაპარაკია არა გამოცდებზე, არა შემოწმებაზე მეცადინეობის სრულიად დამთავრების შემდეგ. თვითმომეცადინესათვის უფრო მეტად, ვიდრე მოსწავლისათვის საჭიროა დარწმუნება, რომ იგი ითვისებს საგანს, ესმის მისი შინაარსი, სწორი გზით მიდის დასახული მიზნისაკენ. ამიტომ დამოუკიდებელ მეცადინეობაში ფართო ადგილი აქვს დათმობილი საკონტროლო კითხვებს და საკონტროლო სამუშაოებს. ამ ორი სახის კონტროლის წარმოება შეიძლება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაც და ერთმანეთთან დაკავშირებითაც. კითხვების დანიშნულება არის — შესაძლებლობა მისცეს მომეცადინეს-გზადაგზა შეამოწმოს თავისი ცოდნა, რათა დარწმუნდეს, რომ იგი საკმაოდ ეუფლება საგანს, ერკვევა ყველა საკითხებში: ეს კითხვები ხშირად დართულია თვით სახელმძღვანელოებში, რაც, რასაკვირველია, დიდ შეღავათს აძლევს მომეცადინეს. პროგრამის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ, რომელი რეკომენდირებული სახელმძღვანელო შეიცავს კითხვებს და რომელი არა. უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა კითხვები დაერთოს თვით პროგრამას. კონსულტანტის მონაწილეობა გამოიხატება იმაში, რომ იგი 1/ან სისტემატიურ კონსულტაციებს აწარმოებს ჯგუფთან ან ცალკე მომეცადინესთან ამ კითხვების მეშვეობით, 2/ან აძლევს ახსნა-განმარტებას იმ შემთხვევაში, თუ მომეცადინეს კით-

ვარით თვითშემოწმების ერთს გაუჭირდა საკითხში გარკვევა. რა თქმა უნდა კითხვარის შედგენისთვის საჭიროა ერთი შედაგოგიური გამოცდილება და თვით საგნის და სახელმძღვანელო ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა.

კითხვარში უნდა ამოსწუროს სახელმძღვანელოს შინაარსი, მაგრამ ამავე დროს იგი უნდა არკვევდეს მკითხველს არა მხოლოდ მოცემული ტექსტის შინაარსში, არამედ საგნის ცოდნაში ამ ტექსტის მეშვეობით. კითხვები შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ წიგნის ტექსტის მეშვეობით მისცეს ცოდნა საგნისა. მაშასადამე, კითხვებმა მკითხველს უნდა ასწავლოს აგრეთვე ტექსტის კრიტიკული გამოყენება, უნდა განავითაროს მკითხველში დამოუკიდებელი აზროვნების უნარი/მაგალითად კარგად შედგენილი კითხვარის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ კითხვები, დართული წიგნისადმი: Бертон. Принципы обучения и его организация. 1930).

მეორე საშუალება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის საკონტროლო სამუშაოები: საკონტროლო [illegible] შეიძლება მიეცეს მოსწავლეებს გზადაგზა, ან კურსის გავლის დასასრულს. ამისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას კითხვარები, მაგრამ შესაძლებელია საკონტროლო სამუშაოს თემა დასმული იქნას ამ კითხვარის დამოუკიდებლად, მაშასადამე საგანი შეიძლება განხილული იქნას სხვა თვალსაზრისით ან მიმართულებით. საკონტროლო სამუშაოს ამოცანა არის: ტექსტის შესწავლის ან საგნის დაუფლების, მასში გარკვევის შემოწმება.

ვფიქრობ, რომ მეცადინეობის საბოლოო მიზნად დასახული უნდა იყოს საგნის დაუფლება, მასში გარკვევა. მაგრამ მეცადინეობის დასაწყისში შესაძლებელია როგორც კითხვარი, ისე საკონტროლო სამუშაოები ჯერ მხოლოდ უშუალოდ ტექსტს დაუკავშირდეს და მხოლოდ თანდათანობით მეცადინეობა გაღრმავებული იქნას უფრო რთული კითხვების დასმით, რომელთა მიზა-

ნიც იქნება ტექსტისადმი კრიტიკული, ანალიტიკური მიდგომა, რაც ხელს უწყობს უშუალოდ საგნის შესწავლას, მის განყენებას წიგნებისაგან.

საქმიანი თუ არა გამოცდები, ან სხვა რაიმე სახის შემოწმება. ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თვითმეცადინეობას უშუალო ამოცანად არა აქვს დასმული უფლების, დიპლომის მოპოვება. მაგრამ ეს უკანასკნელი არავითარ შემთხვევაში არ არის გამორიცხული. ყველა მოქალაქეს აქვს უფლება წარსდგეს სათანადო საგამოცდო კომისიის წინაშე და თავისი ცოდნის დაამტკიცოს უფლება ამა/თუ/იმ კვალიფიკაციაზე. მაგრამ ასეთ კვალიფიკაციის, წოდების და ხარისხის მინიჭებას არავითარ შემთხვევაში არ აწარმოებენ ის ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობენ თვითგანათლებაზე მუშაობას, ეხმარებიან დამოუკიდებლად მომუშავეებს. მიუხედავად ამისა, მაინც სასურველად უნდა ჩაითვალოს საბოლოო საკონტროლო სამუშაოს, ან საკონტროლო მეცადინეობის ჩატარება. ეს შეიძლება იყოს ჯგუფური/თუ კონსულტაციური დახმარება ძირითადად ჯგუფურად სწარმოებდა, ე.ი. ერთსა და იმავე საგანზე, ერთი პროგრამით რამდენიმე პირი მეცადინეობდა ერთი ნაკადით/, მაგრამ შეიძლება საკონტროლო მუშაობა ინდივიდუალური იყოს/თუ მუშაობა ინდივიდუალურად სწარმოებდა/. ასეთი კონტროლი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს სავალდებულო, იძულებითი. როგორც მეცადინეობაა ნებაყოფლობითი, ისე კონტროლი და საბოლოო შემოწმება. [კონსულტაციურ მუშაობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საცნობო-ინფორმაციული მუშაობა. არსებითაც პოლი-საგანმანათლებლო დაწესებულებებში იგი კონსულტაციური მუშაობისაგან დამოუკიდებლად სწარმოებს, თუმცა კონსულტანტები მომსახურებას უწევენ არა მხოლოდ თვითგანათლებაზე სისტემატიკურად მომუშავეებს, არამედ საცნობო ბიუროს კლიენტებსაც. საცნობო-საინფორმაციო მუშაობის ძირითადი

ტორმები, მეტადრე თვალსაჩინო ინფორმაციის მეთოდიკა გამოყენებული უნდა იქნას თვითგანათლებაზე მუშაობის პროცესში. საცნობო-საინფორმაციო მუშაობის პირობებში შედის, როგორც გარეგნული ინფორმაცია: კონსულტაციებისთვის დროისა და ადგილის შესახებ, კინო-სეანსებისა და წარმოდგენების, საგანმანათლებლო ექსკურსიების, ლექციებისა და მოხსენებების, ახალი ლიტერატურის შესახებ, ისე [illegible] შინაგანი, შინაარსეული ინფორმაცია, მეტადრე დამხმარე დისციპლინათა მიმოხილვა/უცხო სიტყვათა ლექსიკონები, მეთოდიკური მითითებები, რეალიები სხვადასხვა საკითხებზე და სხვ./. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დახმარება, რომელსაც მომეცადინე იღებს თვითგანათლების პროცესში, არის ლიტერატურის შერჩევა.

თვითგანათლებაზე მომუშავეთათვის ლიტერატურის შერჩევა უნდა ემყარებოდეს იმავე საერთო პრინციპებს, რომლებიც სავალდებულობა ყოველი საერთო ბიბლიოთეკების დაკომპლექტებისათვის. ეს პრინციპებია: ა/ წიგნის იდეოლოგიური გამართულობა, ბ/ მეცნიერების თანამედროვე სიმაღლეზე დგომა, გ/ საბჭოთა ადამიანების პრაქტიკულ ამოცანებთან დაკავშირება, დ/ დიფერენცირებული შერჩევა-მკითხველთა კვალიფიკაციისა და ცოდნის დონის შესაბამისად. ამ პრინციპების მიხედვით უნდა იყოს შემოწმებული ყველა წიგნი, რომელ დარგსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, თუ იგი კითხვის გეგმაში ძირითად საკითხავ მასალად არის შეტანილი.

მეორე მომენტი ლიტერატურის შერჩევაში არის ბეჭდვითი ნაწარმოებების ცოდნის ხვედრითი წონა თვითგანათლებაზე მომუშავეთა ინტერესების თვალსაზრისით. მათი მომზადების დონე და მეცადინეობის გამომხატველი შერჩეული ყოველთვის ცხადად გვაჩვენებს, რომელი კატეგორიის, ცოდნის ლიტერატურა უნდა იქნას შერჩეული. სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით, შეიძლება

ეს პრინციპი დარღვეული იქნას, არ იქნას ზუსტად დაცული სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ხარვეზების გზით.

ძირითადში უნდა გავარჩიოთ:

1/მასობრივი ლიტერატურა დამწყებთათვის

2/მეცნიერულ-პოპულარული წიგნები უკვე განათლებული მკითხველებისათვის.

3/სასკოლო სპეციალიზებული სახელმძღვანელოები.

4/უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები და სპეციალური კურსები და მონოგრაფიები.

5/დამხმარე სასწავლო ლიტერატურა-ცნობარები, ატლასები, ლექსიკონები, საცნობო წიგნები.

6/პერიოდული ლიტერატურა.

ბიბლიოთეკის დაკომპლექტების დროს გათვალისწინებული უნდა ვქონდეს თითოეულ დარგში რომელი კატეგორიის მკითხველები სჭარბობს და სათანადო კატეგორიის ლიტერატურას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. სპეციალური ლიტერატურის ხარვეზების შევსება ბევრჯერ შეიძლება პერიოდულ გამოცემებში მოთავსებული სტატიებით. ამიტომ მათი აღრიცხვა და კლასიფიკაცია ბიბლიოთეკას არ უნდა გამორჩეს ყურადღებიდან. იქ, სადაც თვითგანათლებაზე მომუშავეთა ხელმძღვანელობა სისტემატურად სწარმოებს, შესაძლებელია [illegible] ცალკე იყოს ჩამოყალიბებული თვითგანათლებაზე მომუშავეთა ფონდი. იგი იქნება კარგი დამხმარე, როგორც ხელმძღვანელობისა და კონსულტაციებისათვის, ისე მომეცადინეებისათვის. ცალკე ფონდი ძლიერ აადვილებს ლიტერატურის შერჩევას და აგრეთვე თვით დაკომპლექტების პროცესს, რადგანაც ყოველი ხარვეზი, „ნაკლობა" სათანადო დარგის ლიტერატურაში უფრო ადვილად გამომჟღავნდება.

თვითგანათლებაზე მომუშავეთა დახმარების ლონისძიებათა კონსულტაციისა და კოორდინაციისათვის ძლიერ სა-

საჩვენებლო თვითგანათლების ოთახის ორგანიზაცია. მასში უნდა იყოს მოთავსებული თვითგანათლების ფონდი, კონსულტაციების მუშაობა და სხვა.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვითგანათლებაზე ბევრ მომუშავეს სხვადასხვა პირობების გამო უჩნდება ბიბლიოთეკაში მეცადინეობა. ეს დახმარების პროცესებსაც აადვილებს. ყოველ შემთხვევაში მომეცადინეებს უნდა ვურჩიოთ, რომ მეცადინეობისათვის დათმობილი დღის ნაწილი მათ ყოველ შემთხვევაში თვითგანათლების დარბაზში იმეცადინონ. ამას მეტი რეგულირებაც **შეაქვს** მათ მუშაობაში. ასეთი დარბაზი შესაძლებლობისამებრ უზრუნველყოფილი უნდა იყოს მეცადინეობისათვის საჭირო ყველა ხელსაწყოებით და დამხმარე სასწავლო წიგნებით, სურათებით, რუკებით, ატლასებით, გლობუსით, საანგარიშო სახაზავით, ცხრილებით, საცნობარო წიგნებით, სახაზავი მაგიდებით და სხვ. კარგია აგრეთვე ძირითადი ასტრონომიული და ფიზიკური ხელსაწყოების ქონა/მზის სისტემა და სხვ. მისთ./.

თვითგანათლებაზე მომუშავეთა დახმარება ყველა სათანადო ორგანიზაციამ სისტემატურად უნდა აწარმოოს. სისტემატურადვე უნდა ცდილობდეს მის გაფართოება-გაღრმავებას. ბიბლიოთეკაში ამისათვის აუცილებელია ზუსტი აღრიცხვის წარმოება. ყოველი აბონენტი, რომელიც კი კითხულობს გეგმით, აყვანილი უნდა იქნას აღრიცხვაზე. მასში თვითგანათლების განყოფილებაში/ან დარბაზში/ უნდა შეავსონ პირადი ბარათი, რომელშიც აღინიშნება მისი ვინაობა, ასაკი, სქესი, განათლება, პროფესია/სამსახურის ადგილი და თანამდებობა, განათლების ცენზი, რა საგანზე მეცადინეობს, როდის დაიწყო, როგორ მეცადინეობს, სარგებლობს თუ არა კონსულტაციებით და სხვა მასობრივი დახმა ბის ღონისძიებებით. მის ბარათზე უნდა ეწეროს მისი ბიბლიოთეკური აბონემენტის ნომერი, რომ შეიძლებოდეს ნახვა, რას კითხულობს იგი. პირიქით, საბიბლიოთეკო აბონემენტზე აღინიშნულ

უნდა ითქვას, რომ იგი სისტემატურ კითხვაშია ჩაბმული. უკეთესია, თუ ასეთი აბონენტის ფორმულარი სხვა ფერისა იქნება. აბონემენტზე უნდა თანამიმდევრობით აღინიშნოს /შეიძლება მე-4 გვერდზე/, რა საგანზე მუშაობს დასახელებული პირი, ამჟამად რომელ თემას ამუშავებს.

როგორც ძირითადი კითხვის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა, აგრეთვე ყველა დამხმარე ღონისძიებები უმთავრესად დაკავშირებულია პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, უფრო სწორად - ბიბლიოთეკებთან. ამ უკანასკნელთა ჯეროვან ორგანიზაციასა და მუშაობის გაშლაზეა უმთავრესად დამოკიდებული კითხვის კარგი ორგანიზაცია. ამიტომ არ შეიძლება მხარ ავუქციოთ ბიბლიოთეკას, როგორც დამოუკიდებელი კითხვის ორგანიზაციის მნიშვნელოვან იარაღს.

VIII ბიბლიოთეკა და მისი როლი კითხვის ორგანიზაციის საქმეში.

ბიბლიოთეკების ერთერთი ფუნქციაა ბეჭდვითი პროდუქციის /და ხელნაწერების/ დაცვა დაზიანებისა და მოსპობისაგან და მიყვანა შემდგომი თაობებამდე, მათ კულტურული ბრუნვის ფარგლებში შეყვანა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ფუნქციაა. და ეს ფუნქცია სრულიად საამისოდ ორგანიზებულ დაწესებულებებს მიეკუთვნება: საჯარო ბიბლიოთეკებს, თუ დაცვა იგულისხმება შედარებით ახლო პერიოდისათვის და სპეციალურ საცავებს, თუ განზრახულია წიგნების დაცვა შორეული შთამომავლობისათვის. დაცვის ასეთი მეთოდი გულისხმობს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომ დაცული საგანძურით სარგებლობა შეეძლოს ცოტად- თუ ბევრად ფართო მომხმარებლებს. ერთი ამ მეთოდთაგანი გამოიხატება იმაში, რომ, საჭირო პირობების დაცვით, იშვიათი ძვირფასი წიგნი ან ხელნაწერი ხელმისაწვდომი ხდება მკითხველთათვის. ცხადია, რომ ასეთ მკითხველთა რიცხვი არ შეიძლება დიდი იყოს, რადგა-

ნაც თვით კითხვის დროს წიგნის ან ხელნაწერის ხმარება, რაც არ უნდა კულტურული იყოს მომხმარებელი, ცვეთავს მათ. ამის გამო სპეციალურად დაცული ფონდებით სარგებლობის ნება ეძლევათ მხოლოდ მეცნიერებს, რომელთაც ამის გარეშე არ შეუძლიათ თავისი მეცნიერული გამოკვლევების წარმოება.

მაგრამ ბიბლიოთეკის დანიშნულება არ ამოიწურება დაცვით, ეს არის მხოლოდ საშუალება მასების უკეთესი მომსახურებისათვის. ცხადია, რომ თუ ჩვენ ვზრუნავთ შორეულ შთამომავლობისათვის, არა ნაკლებად უნდა ვიზრუნოთ თანამედროვე მოსახლეობისა და მახლობელი შთამომავლობისათვის. აქ უკვე პირველ ადგილს იკავებს მომსახურების ფუნქცია, ლიტერატურის ფართო, მასობრივი მკითხველამდე დაყვანის სამსახური: წიგნები უნდა დავიცვათ იმისთვის, რომ მოსახლეობა ვასარგებლოთ. ამასთანავე ჩვენ საქმე გვაქვს ორი ძირითადი ტიპის საცავებთან: ა/ბიბლიოთეკა-საცავები, რომელთა რიცხვი ძლიერ მცირეა და რომელნიც განსაკუთრებული რეჟიმის ქვეშ იმყოფებიან და ბ/ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, რომელთა მოვალეობას შეადგენს მასებისათვის კარის-ფართოდ გაღება და მათი ყოველმხრივი მომსახურება მეცადინეობის, კითხვის პროცესში.

რადგანაც ჩვენ ამოცანას შეადგენს მეორე ტიპის ბიბლიოთეკების მუშაობის ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხის განხილვა, შემდეგში მხოლოდ მაზედ გვექნება ლაპარაკი და სიმოკლისათვის მათ ვიხსენიებთ "ბიბლიოთეკის" სახელით, როგორც ეს ცნობილი ისმარება ჩვენ პრაქტიკაში.

ბიბლიოთეკების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ახალ დროში. მაშინვე მოხდა დიფერენციაცია, გამოიყო ბიბლიოთეკა-საცავები და კოლოსალურად გაიზარდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების რიცხვი.

განსაკუთრებითი როლი ბიბლიოთეკას მიენიჭა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. მეფის რუსეთში დიდი საჯარო ბიბლიო-

თეკები ძლიერ მცირერიცხოვნად იყო/ლენინგრადი, მოსკოვი და ზოგი საგუბერნიო ქალაქი/. ბევრი მათგანი იყო დახურული ტიპის, ე.ი. სარგებლობა შეეძლოთ მხოლოდ თანამშრომლებს იმავე დაწესებულებისა, რომელსაც ბიბლიოთეკა ეკუთვნოდა. ასეთები იყო სამეცნიერო აკადემიის ბიბლიოთეკა, უმაღლესი სასწავლებლებისა და ზოგიერთი უწყების ბიბლიოთეკები/უწმინდესი სინოდის და სხვ./ ფართო მასებისათვის ქალაქებში იყო ან კერძო პირთა ბიბლიოთეკები, რომელთაც უფრო ხშირად კომერციული ხასიათი ჰქონდათ და უფრო ხშირად არავითარ იდეოლოგიურ, პრინციპულ ამოცანებს არ ისახავდნენ, ან -ქალაქის თვითმართველობათა ბიბლიოთეკები, რომლებიც ამ თვითმართველობებში გაბატონებული ბურჟუაზიის კონტროლს ქვეშ მოქმედებდნენ. სოფლის მოსახლეობისათვის ზოგგან არსებობდა ე.წოდებული "სახალხო ბიბლიოთეკები" ან "სახალხო სამკითხველოები", რომლებიც უფრო ხშირად სკოლებთან იყო. მათი მუშაობა მიმდინარეობდა ადგილობრივი მღვდლისა და პოლიციელის უშუალო თვალყურის ქვეშ.

მეფისდროინდელი ბიბლიოთეკების უმრავლესობა თავის ნამდვილ საგანმანათლებლო საქმეს აწარმოებდა იატაკქვეშ, ფარულად. აკრძალული წიგნები სანდო მკითხველებს ეძლეოდა ფარული აბონემენტით. და თუმცა მეფის მთავრობა ცდილობდა სახალხო და ქალაქის საყოველთაო ბიბლიოთეკები მონარქიზმისა და რელიგიის პროპაგანდის ცენტრებად გადაექცია, აქედან არაფერი გამოვიდა და რევოლუციური იდეების გავრცელების საქმეში ამ დაწესებულებებს მცირე დამსახურება არ მიუძღვით.

ბიბლიოთეკების დანიშნულებისა და როლის შესახებ ვ.ი.ლენინმა ჯერ კიდევ 1919 წელში გამოსთქვა თავისი აზრი, რომელიც სახელმძღვანელოდ დარჩა საბჭოთა ბიბლიოთეკები-

სათვის. სტატიაში "Что можно сделать для народного образования" რომელიც დაიბეჭდა გაზეთში "Рабочая правда" /იხ. რუს. გამ. ტ. XVI, გვ. 529/, ვ.ი.ლენინი ადარებს ერთმანეთს დასავლეთის ევროპული ქვეყნებისა და რევოლუციამდელი რუსეთის ბიბლიოთეკების მუშაობას. იგი აღნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ბიბლიოთეკები მიზნად ისახავენ "сделать эти громадные, необ'ятные библиотеки доступными не для цеха ученых, профессоров и т.п. специалистов, а для массы, для толпы, для улицы".

შემსწავლელი წესების და დებულებების გამომუშავების მეზიერ ეს ბიბლიოთეკები ცდილობენ "устремлять внимание на то, чтобы даже дети могли пользоваться богатыми коллекциями книг; заботиться о том, чтобы читатели у себя на дому могли читать казенные книги; видеть гордость и славу публичной библиотеки не в том, сколько в ней редкостей, сколько каких-нибудь изданий XVI века или рукописей X века, а в том, как широко обращается книга в народе, сколько привлечено новых читателей, как быстро удовлетворяется любое требование на книгу, сколько книг роздано на дом, сколько детей привлечено к чтению и пользованию библиотекой".

ვ.ი.ლენინის მოყვანილი სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი ბიბლიოთეკის მუშაობის მთავარ, უმნიშვნელოვანეს ამოცანად სთვლიდა მომსახურებას, მკითხველებზე წიგნების გაცემას. ბიბლიოთეკის დანარჩენი ნაწილები მხოლოდ ქმნიან პირობებს მომსახურების უმტკივნეულო წარმოებისათვის.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ სპეციალურ ლიტერატურაში ყველაზე ნაკლები ადგილი სწორედ ბიბლიოთეკური მომსახურების საკითხებს აქვს დათმობილი. საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა მოგვეპოვება კატალოგიზაციისა და კატალოგების შედგენის შესახებ, წიგნობრივი ფონდის ორგანიზაციი წიგნების დაცვის და სხვ. შესახებ. არსებობს ლიტერატურა საბიბლიოთეკო შენობების შესახებ. გვაქვს რამდენიმე სა-

ხელმძღვანელო კლასიფიკატორებისათვის. მაგრამ არ გვაქვს მთლიანი სახელმძღვანელო მომსახურების შესახებ, გარდა ხეგლინის რედ. გამოსული სახელმძღვანელოსი " Методы обслуживания читателей в массовой биб-ке. М. 1938/ იხ. აგრეთვე ქართული თარგმანი: მკითხველთა მომსახურების მეთოდები მასობრივ ბიბლიოთეკაში. თბ. 1940/, რომელიც შედგენილია საშუალო ტიპის ბიბლიოთეკური სასწავლებლებისათვის, ძლიერ ელემენტარული და მოკლეა. სხვადასხვა დროს გამოცემული ბროშურები და ჟურნალებში მოთავსებული სტატიები მომსახურების საკითხების შესახებ არ გვაძლევს მთლიან სურათს, უკვე მოძველებულიაცაა, რადგანაც მათი უმრავლესობა მგულისხმობს მუშაობის პირობებს 1921-25 წლებში და დღევანდელი პირობებისა და ამოცანებისათვის უკვე არქაულად უნდა ჩაითვალოს. დასახელებულ ლიტერატურაში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა მკითხველთა ინტერესების შესწავლის მეთოდებს. ამ წიგნებისა და სტატიების ავტორები ამუშავებდნენ და ბიბლიოთეკარებს ავალებდნენ მკითხველთა შესწავლის ისეთ ფორმებს, **მეთოდებს**, რომლებიც მკითხველებს მხოლოდ აფრთხობდა და უკარგავდა ბიბლიოთეკის სარგებლობის ხალისს. მათი გამამბეზრებელი ანკეტები და დაკითხვები საშუალებას იძლეოდნენ ისეთი დასკვნების გამოტანისათვის, რომელთაც არავითარი რეალური მნიშვნელობა არ ჰქონდათ და პრაქტიკულ მუშაობაში გამოყენება არ შეიძლებოდა. შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არც რაიმე მეცნიერული კვლევისათვის იძლეოდნენ სავარგისო მასალებს. ასეთი მუშაობა ხშირად პედოლოგიური გამოკვლევების სახებს იღებდა. ასეთი მეთოდიკის მაგალითებს უხვად იძლევა წიგნი: Гайворовский, А. Основы психотехники политпросветработы (библиотека, клуб, школа взрослых). Ред. проф. К. Н. Корнилов, Минск, Белорусская секция научных работников. 1928. 146 стр.

ამ წიგნის ავტორი მკითხველთა ინტერესების შესწავლის მთავარ მეთოდად სთვლის ტესტებს, რომელთაც უნდა გამოარკვიონ მკითხველის მომზადება, წაკითხულის გაგება და ათვისება. ერთ-ერთი ტესტი, რომელსაც ავტორი "არჩევის ტესტს" უწოდებს, შედგენილია შემდეგნაირად: დასახელებულია ნაწარმოები და მის გვერდზე დაბეჭდილია მთელი რიგი ავტორების გვარები. მკითხველმა მათ შორის ხაზი უნდა გაუსვას იმ გვარს, რომელსაც ეკუთვნის დასახელებული ნაწარმოები. ასე, მაგ.:

"Евгений Онегин" написан: Лермонтовым, Некрасовым, Гоголем, Пушкиным, Кольцовым.

"Мертвые души" написаны: Чеховым, Гоголем, М. Горьким, Тургеневым, Толстым.

Писатель Зощенко пишет: Драмы, комедии, романы, юмористические рассказы, басни.

წიგნის გვ. 20 ავტორი ამბობს: "На самом деле очень интересным является возможность сравнивания в пределах однородных социальных, возрастных или национальных и профессиональных групп того, что читает и чем интересуется их более одаренная в умственном отношении часть и, что читает и чем интересуется их менее одаренная (более тупая) и слабо в умственном отношении развитая часть".

გაოცებას იწვევს ავტორის „მეცნიერული" მაცრაბაზობა და პოლიტიკური უმეცრება. იგი სრულებით არ გვიხსნის, რაში უნდა გამოვიყენოთ ეს ჩვენი ცოდნა მკითხველთა ინტერესების შესახებ, როგორ ვიხელმძღვანელოთ ამ ცოდნით მომსახურების გაუმჯობესებაში, დიფერენცირებაში და სხვ. აგრეთვე არ გვაძლევს ახსნას ვის უწოდებს იგი "более одаренный"-ს და "менее одаренный"-ს /более тупой/. საკვირველია კიდევ, რომ "более одаренный" სუბიექტს იგი უპირისპირებს "более тупой"-ს და მათ შორის არავითარ საფეხურებს არ არჩევს.

იმავე გვ.90-ზე ავტორი ამბობს, რომ მკითხველის პიროვნებაში მნიშვნელოვანია მისი ნერვულ-ფსიქიური მოქმედების შემდეგი ფუნქციების შესწავლა:1/ყურადღება და მისი გამძლეობა,2/დაკვირვების უნარი,3/რაციონალური მეხსიერება, 4/კომბინირების უნარი/მეტყველების ნიჭი/,5/მიზეზობრივი აზროვნება,6/საზრიანობა,7/აზროვნება ანალოგიით,8/ფანტაზია და ა.შ.

ცხადია, რომ მკითხველთა ასეთი შესწავლა ფანტასტიურია, რადგანაც შეუძლებელია ამ მუშაობაზე ამდენი დროისა და სახსრების დახარჯვა. მკითხველებთან ყოველდღიური ცოცხალი კავშირის ადგილს აქ იკავებს ყალბმეცნიერული ცუღლუტობა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო პოლიტმასობრივ მუშაობასთან, არავითარი პრაქტიკული შედეგების მოტანა არ შეუძლიან მკითხველთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

მთელი დანარჩენი ლიტერატურა, მცირე გამონაკლისის გარდა, თუმცა ასეთ კურიოზამდე არ მიდიოდა, მაგრამ მაინც მეტ ყურადღებას აქცევდა მკითხველთა ინტერესების, ფსიქოლოგიის შესწავლას და არამც თუ ნაკლებ არკვევდა მკითხველთა მომსახურების მეთოდიკის საკითხებს, არამედ იმასაც აღარ გვეუბნებოდა, პრაქტიკულად როგორ გამოვეყენებინა ამ გამოკვლევების შედეგები.

მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ, თუ კი თვითგანათლებაზე მუშაობა უფრო მეტად ბიბლიოთეკასთან არის დაკავშირებული, მას, ბიბლიოთეკას, არ შეუძლიან ეს დახმარება აღმოუჩინოს ისე, რომ არ იცოდეს ვისთან აქვს საქმე, ვის უწევს დახმარებას კითხვის საქმეში. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კითხვა არ გამომდინარეობს თვითგანათლებაზე სისტემატური მუშაობიდან, არამედ წარმოადგენს კულტურული გართობის ან "განვითარების" საშუალებას, რაც არ უნდა მექანიკურად იმუშაოს ბიბლიოთეკამ, რაც არ უნდა ხელოვნურად მიუდ

ვეს ის თავისი მოვალეობის შესრულებას, მაინც იგი თავიდან ვერ აიცილებს მკითხველის გაცნობას, მისი ინტერესების და მიზნების შესწავლას.

მაშასადამე აქ მთელი ამოცანა იმაშია, რომ ბიბლიოთეკარმა მკითხველთა ინტერესების შესწავლა აწარმოოს მიზანშეწონილად, სისტემატურად, კარგად ნაცადი მეთოდებით, რომ მიიღოს ის, რასაც ეძებს: გაიცნოს მკითხველები, დაახასიათოს ისინი მკითხველთა ცალკეულ ჯგუფებად და გაიცნოს თითოეული მათგანი ინდივიდუალურად. ჩვენ ვამბობთ, რომ ბიბლიოთეკარი უნდა მუშაობდეს ნაცადი მეთოდებით. ეს არ ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკარმა არ უნდა ეძიოს ახალი გზები და მეთოდები. პირიქით, ყოველი სინიდისიერი, მეუაითი მუშაობის აუცილებელი ნიშანი არის ახალი მეთოდებისა და გზების ძიება. დაუშვებელია მხოლოდ ასეთი ახალი მეთოდის მასობრივი პრაქტიკული გამოყენება მისი შემოწმების და გულდასმითი შესწავლის გარეშე. მკითხველებთან მუშაობაში საერთოდ და მკითხველთა შესწავლის საქმეში ნამდვილი როლი უსათუოდ ეკუთვნის ბიბლიოთეკის საბონემენტო განყოფილებას. აბონემენტის მომუშავეებზე აგრეთვე დამოკიდებული ბიბლიოთეკის ამა თუ იმ განყოფილების უფრო აქტიურად, მეტად გამოყენება. აბონემენტის მომუშავეთა მთელმა პედაგოგიურმა უნარმა და გამოცდილებამ უნდა იჩინოს თავი, რომ მთელი ბიბლიოთეკა, ყველა მისი შესაძლებლობა იქნას გამოყენებული, რომ მობილიზებული იყოს ყველა ის საშუალება, რომელიც კი ბიბლიოთეკას მოეპოვება ან უნდა მოეპოვებოდეს.

რას ვგულისხმობთ აბონემენტში. თავისთავად, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, აბონემენტი ნიშნავს იმ ტექნიკურ მოწყობილობას, რომელიც საჭიროა მისთვის, რომ აღირიცხოს ლიტერატურის გაცემა და მიღება. ტერმინი წარმოიშო იქიდან, რომ ლიტერატუ-

რის გაცემა-მიღება იწერება ცალკე რეესტრში ან ბარათზე, სწარმოებს ბიბლიოთეკისა და მკითხველის შორის დადებული პირობების თანახმად.ბიბლიოთეკა ვალად ღებულობს მიაწოდოს მკითხველს განსაზღვრული ვადით ლიტერატურა,დაეხმაროს მას ლიტერატურის არჩევაში,მის დამუშავებაში.თავის მხრივ მკითხველი ვალდებული ხდება დაემორჩილოს ბიბლიოთეკის ყველა წესებს,ფრთხილად მოეპყრას წაღებულ ლიტერატურას და ვადაზე უკანვე დააბრუნოს.ამრიგად მკითხველისა და ბიბლიოთეკის შორის მყარდება ერთგვარი უფლებრივი დამოკიდებულება, რომლის ხანგრძლივობაც თვით მკითხველზეა დამოკიდებული.ბიბლიოთეკა შესწყვეტს მომსახურებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკითხველი სისტემატურად არღვევს წიგნით სარგებლობის წესებს,უხეშად ეპყრობა წიგნებს,ან უწესოდ იქცევა ბიბლიოთეკის შენობაში.ამ უკიდურეს ზომებსაც ბიბლიოთეკა მიმართავს მხოლოდ მაშინ,როდესაც ვერ მიიღებს დადებით შედეგებს პედაგოგიური,საზოგადოებრივი ზეგავლენის ზომების გამოყენებით.

ეს ურთიერთობა გაფორმებულია განსაკუთრებულ დოკუმენტში,რომელსაც ბიბლიოთეკაში უწოდებენ "მკითხველის ფორმულარს",ან "აბონემენტს".

მაგრამ ჩვეულებრივად ტერმინი "აბონემენტი" უფრო ფართო გაგებით იხმარება.საბიბლიოთეკო აბონემენტის ცნებაში იგულისხმება არა მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმება და არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდუალური მკითხველები,არამედ ბიბლიოთეკის მთელი პედაგოგიური,პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა იმდენად,რამდენადაც იგი დაკავშირებულია ლიტერატურის საშინაოდ გაცემასა და უკან მიღებასთან.

რასაკვირველია,აბონემენტი არ შეიცავს ბიბლიოთეკის მთე მთელ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობას,იგი არის ერთი ნაწილი,უბანი ამ მუშაობისა,უბანი-ყველაზე მნიშვნე-

ლოვანი, რადგანაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ბიბლიოთეკით სარგებლობს აბონემენტის მეშვეობით. აქ არის ადგილი, სადაც მკითხველი და ბიბლიოთეკარი ერთმანეთს ხვდებიან.

გარდა აბონემენტისა პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობას ბიბლიოთეკაში აწარმოებენ სხვა განყოფილებებიც. ცხადია, რომ ამ განყოფილებათა მუშაობა უნდა იყოს კოორდინირებული, გაერთიანებული ერთ მთლიან გეგმაში. და ეს კოორდინაცია უნდა ეხებოდეს არა მხოლოდ მუშაობის ტექნიკურ მხარეს, და არც მხოლოდ მუშაობის შინაარსს, არამედ მათი გამაერთიანებელი უნდა იყოს ერთი იდეა: დაეხმაროს მოსახლეობას მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური თეორიის დაუფლებაში, აღზარდოს მოსახლეობა, ყოველი მისი ცალკეული წევრი, მებრძოლ ბოლშევიკად, სოციალისტური სამშობლოს თავდადებულ პატრიოტად.

IX მკითხველთა შესწავლის მეთოდიკა

მკითხველთა აბონემენტზე მომსახურების ერთერთი ძირითადი, წინასწარი პირობა არის მკითხველთა შესწავლა. მკითხველთა შესწავლის შესახებ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს. იყო ცდები მკითხველთა შესწავლის "მეცნიერულ" საფუძველზე აგებისა, რომელმაც მისი ავტორები პედოლოგიის უფსკრულამდე მიიყვანა. რასაკვირველია, ყველა ავტორი ამ უკიდურესობამდე ვერ მიდიოდა, მაგრამ მათი მეთოდები მკითხველთა შესწავლის და მათი ინტერესების გამოვლინებაც იმგვარი იყო, რომ ეს შესწავლა საშუალებიდან, რომელსაც უნდა უფრო მაღალ საფეხურზე აეყვანა მკითხველის მომსახურება, გადაიქცა მიზნად. ბიბლიოთეკარის მთელი ყურადღება ამ შესწავლაზე, ანკეტების შევსებაზე, ტესტების ჩატარებაზე და მათი შედეგების დამუშავებაზე იხარჯებოდა და ერთ ალარ

რჩებოდა, რომ მკითხველთან ცოცხალი, რეალური, უშუალო კავშირი მქონოდა და რეალური დახმარება გაეწია წიგნის შერჩევის დროს.

ერთერთი ასეთი ყალბი მეცნიერული მიმართულება იყო ნ.რუბაკინის ბიბლიოფსიქოლოგია.

რუბაკინი ამტკიცებდა, რომ ყოველი მკითხველი წაკითხულ წიგნს თავისებურად ღებულობს. ასე, რომ რამდენი მკითხველიც ყავს თითოეულ წიგნს, იმდენი განსხვავებული შთაბეჭდილება; წარმოდგენა წარმოიშვება. და მისი ბიბლიოფსიქოლოგიის დანიშნულება იყო ანალიზი გაეკეთებინა ამ შთაბეჭდილებებისათვის, დახმარებოდა მკითხველებს მასში, რომ მათ იგივე შთაბეჭდილება მიეღოთ, რომელიც თვით წიგნის ავტორს ქონდა. ამ მოძღვრების უსაფუძვლობა აშკარაა თუნდაც იქიდან, რომ მისი თეორიით ლენინიზმი იმდენი უნდა იყოს, რამდენიც მკითხველია. ეს არის აგნოსტიციზმი, იდეალიზმი, რომლის წინააღმდეგაც ლენინი სასტიკად ილაშქრებდა. რუბაკინის აზრით ბიბლიოფსიქოლოგიის დანიშნულება არის იმ შესწორებების შეტანა, რომლებიც საჭიროა იმისთვის, რომ ბიბლიოთეკებმა თავისი "მეს" მიხედვით კი არ იმსჯელოს მკითხველზე, არამედ გაიგოს მისი მოთხოვნება და ისე შეურჩიოს წიგნი, რუბაკინი ამტკიცებს, რომ ბიბლიოფსიქოლოგიას ბიბლიოთეკარის მუშაობაში შეაქვს მეცნიერული, სტატისტიკური მეთოდი. მაგრამ თვით ეს მეთოდი, ყოველ შემთხვევაში გამოქვეყნებულ შრომებში, მას არა აქვს მოცემული. იგი ამბობს, რომ ბიბლიოთეკარმა უნდა შესძლოს სწრაფად, ზუსტად და ინდუქციურად და არა ინტუიციურად გამოარკვიოს, რაში და რამდენად. ჰგავს ესათუის მკითხველი თვით ბიბლიოთეკარს. მაგრამ მან უნდა დაადგინოს აგრეთვე ყველა მის წინაშე მდგომი მკითხველის ფსიქიური და სოციალური ტიპი. ბიბლიოთეკარმა უნდა თავის თავში გამოიმუშაოს უნარი სხვადასხვა ტიპის მკითხველებში სხვადასხვაგვარი ცეცხლის დანთებისა

(იხ. Рубакин. Работа библиотекаря с точки зрения библиопсихологии. В сб. "Читатель и книга. Методы их изучения, 1". Харьков. 1925. стр. 39-65).

სხვა თავის შრომებში რუბაკინი იძლევა მკითხველთა ფსიქიკური ტიპების რთულ სისტემას. მაგრამ სწორედ ეს სირთულე ამ მეთოდს ჰქმნის ძნელად და ზედმეტად, რასაც ემატება სხვა მისი ნაკლოვანებანი: ნაწარმოებების, პრინციპული მიუღებლობა ძის სრული ამოცნობისა. ავტორი ხან იმას ამბობს, რომ ინდივიდუუმში უნდა აღმოაჩინოს კოლექტივის წევრი, ხან — რომ ან შეიძლება ყველა მკითხველის ერთ ყალიბში ჩატევა და სხვ. მისთ., [redacted]

ბიბლიოთეკის ამოცანაა - დაეხმაროს მკითხველს იმაში, რომ იგი დაეუფლოს კაცობრიობის მიერ მოგროვებულ ცოდნას, დაეხმაროს ამ ცოდნის ცხოვრებასთან დაკავშირებაში, პრაქტიკულად განხორციელებაში, იბრძოლოს იმისთვის, რომ მკითხველებში აღზარდოს მებრძოლი ბოლშევიკები, რომლებიც უკვე თავის ნაბიჯს უთანხმებენ კომუნისტური საზოგადოების შექმნის ამოცანას.

ეს დახმარება ბიბლიოთეკარის ძირითადში უნდა გამოიხატოს იმაში, რომ ყოველი მკითხველი საკმაოდ მომარაგებული იქნას საამისოდ საჭირო ლიტერატურით, და რომ ყოველმა მკითხველმა გაიგოს, გაიაზროს წაკითხული, კრიტიკულად აითვისოს და გადაიტანოს თავის პრაქტიკულ შემოქმედებაში ის, რაც საჭიროა მისთვის მის ყოველდღიურ მოღვაწეობაში.

თავისთავად გასაგებია, რომ ეს დახმარება, მკითხველის მომსახურება იმდენად უფრო მომქმედი, ნამდვილი იქნება, რაც უფრო კარგად გაიცნობს ბიბლიოთეკის მომუშავე როგორც მთლ

ნად მკითხველთა მასას,ისე თითოეულ მათგანს ცალკე.ამ შესწავლაზე ბიბლიოთეკარს ესაჭიროება გარკვეული დრო და ენერგია. და,რასაკვირველია,ეს დრო და ენერგია მით უფრო მიზანშეწონილად,ეფექტიანად დაიხარჯება,რაც უფრო კარგად იცის ბიბლიოთეკის მომუშავემ მკითხველთა შესწავლის მეთოდიკა.მას შეუძლიან ისარგებლოს იმ ცოდნით,იმ გამოცდილებით,რომელიც არის დაგროვებული ასი და ათასი ბიბლიოთეკების შემოქმედებითი მუშაობის შედეგად.მაგრამ სხვისა გამოცდილების ათვისება დაკავშირებული უნდა იყოს კრიტიკასთან,ფრთხილ მიდგომასთან. მხოლოდ კარგად შესწავლილი,შემოწმებული ხერხები და მეთოდები უნდა გამოიყენონ:არავითარი ფანტასტური,პროექტორული მეთოდები არ გამოდგება იმ მუშაობაში,რომელშიც გვმართებს უაღრესი სიფრთხილე და სიფაქიზე.

მკითხველთა შესწავლისათვის აუცილებელი წინასწარი პირობა არის მომსახურების რაიონის,უბნის შესწავლა,მისი პროფილის დადგენა.თუ ბიბლიოთეკა ემსახურება ერთ რომელიმე წარმოებას ან დაწესებულებას,ეს შედარებით უფრო ადვილი ამოცანაა. უფრო რთული მდგომარეობაა,როდესაც ბიბლიოთეკა მასობრივია, ე.ი. განსაზღვრული ტერიტორიის მთელ მოსახლეობას უნდა მოემსახუროს. აქ შესწავლა უნდა გამოიხატოს იმაში,რომ ბიბლიოთეკამ გაიცნოს მისი მომსახურების რაიონს ყოველმხრივად. პირველ რიგში მან უნდა გაიცნოს თვით მოსახლეობა,მისი სოციალური და ეროვნული შემადგენლობა,კულტურული განვითარების დონე.ბიბლიოთეკარმა უნდა გაიცნოს მისი რაიონის წარმოებითი სახე:მთავარი წამყვანი წარმოებები და წამყვანი კულტურები. მან უნდა აგრეთვე იცოდეს მისი რაიონის მორიგი პოლიტიკურ-სამეურნეო ამოცანები.ეს ცოდნა მან უნდა მიიღოს:1/ლიტერატურის მეშვეობით/წიგნები,ჟურნალ-გაზეთები/,2/საერთო კრებებზე,მოხსენებებზე და სხვ.დასწრებით.

საჭიროა აგრეთვე იცოდნა რაიონის ისტორიისა და ყოფაცხოვრების პირობებს, ადათების და წეს-ჩვეულებისა.

ეს გაცნობა შეუძლებელია ერთდროულად მოხდეს. ბიბლიოთეკარი თავიდანვე, როგორც კი იგი მუშაობას შეუდგება, ძირითადში მოკლედ გაეცნობა აქ აღნიშნულ ლიტერატურას, მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ იქნება საკმარისი. იგი მუდმივად უნდა ეცნობოდეს როგორც წინად არსებულ, ისე ახლად გამოსულ ლიტერატურას და უფრო და უფრო მეტად უნდა ავსებდეს თავის ცოდნას მომსახურების რაიონის შესახებ. ეს მით უმეტესადაა საჭირო, რომ პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანები განუწყვეტელი ზრდის, აღმავლობის პირობებში და, ცხადია, რომ პოლიტსაგანმანათლებლო საქმის მუშაკი ამ აღმავლობას არ უნდა ჩამორჩეს, პირიქით, მისი ცოდნა, მომზადება მასთან ერთად უნდა ვითარდებოდეს. ასე, მაგ., ციტრუსოვანთა რაიონებში ყოველწლიურად ყოველი კოლმეურნეობა იღებს ვალდებულებას, გაზარდოს ციტრუსოვანთა ფართობი, გააუმჯობესოს მათი მოვლა და გაადიდოს მოსავალი. ბიბლიოთეკარმა, როგორც საერთოდ ყველა პოლიტსაგანმანათლებლო საქმის მუშაკმა, უნდა იცოდეს ეს ამოცანა, რომ მოსახლეობას თავის მხრივ მომსახურება გაუწიოს ამ ამოცანის დაძლევისათვის ბრძოლაში. მას არ უნდა გამორჩეს აქ არავითარი ახალი დირექტივა, ახალი ვალდებულება, რომლებსაც ცვლილება მოაქვს საწარმოო გეგმებში მეურნეობის აღმავლობის ხაზით. მაშასადამე ბიბლიოთეკარმა დროზედ უნდა შეისწავლოს, მაგ. სკპ/ბ/ცეკას და მთავრობის 1940 წლის აპრილის დადგენილება საქ.სსრ-ში ციტრუსების, ჩაის და მევენახეობის გაუმჯობესების შესახებ. იგი უნდა გაეცნოს ამ დირექტივას მთლიანად და აგრეთვე უნდა გაამახვილოს ყურადღება იმაზე, თუ მისი მომსახურების რაიონის საწარმოო გეგმებში ამ დირექტივამ რა ცვლილებები შეიტანა, რა ახალი საწარმოო ამოცანები დასახა, უნდა შეისწავლოს ეს ახალი პირობები და თავის ყოველდღიური ზრუნვის საგნად გახადოს ამ ამოცანებისათვის ბრძოლა.

მკითხველთა საერთო შესწავლა დაკავშირებულია რაიონის პოლიტიკურ-სამეურნეო პროფილის შესწავლასთან. მის გარეშე შეუძლებელია სწორი და სრული წარმოდგენის ქონა მოსახლეობის შესახებ. მაგრამ ბიბლიოთეკური მომსახურება მოითხოვს დიფერენცირებულ მიდგომას. ყოველ ცალკეულ მკითხველს ჩვენ უნდა მოვემსახუროთ ისე, რომ მისი პოლიტიკური და კულტურული დონე და პროფესიონალური კვალიფიკაცია ავიყვანოთ მაღალ სიმაღლეზე და იგი კომუნიზმისათვის ბრძოლის და ქვეყნის მონაწილედ შევქმნათ. ცხადია, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აქ აჭირში უნდა გავიგოთ იმას, თუ რა დონეზეა ესა თუ ის მოქალაქე ამჟამად. მაშასადამე, მისი მომზადება და იდეურ-პოლიტიკური და პროფესიონალური დღევანდელი შეიარაღება არის საწყისი, გამოსავალი წერტილი, საიდანაც ჩვენ ვიწყებთ მუშაობას. ზოგჯერ ჩვენ გვესაჭიროება მხოლოდ მუშაობა იმისათვის, რომ მოქალაქემ განაგრძოს მისი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიონალური დონის ამაღლება, ზოგჯერ საჭიროა მუშაობა მოქალაქის სწორ კალაპოტში ჩაყენებისათვის. არის შემთხვევებიც, როდესაც საჭიროა რთული და ხანგრძლივი ბრძოლა, რომ ორიენტაცია-დაკარგულ მოქალაქეს შევუქმნათ ბაზა სწორ გზაზე დადგომის და შემდგომი წარმატებითი წინსვლისათვის. იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ცალკეული მოქალაქე მოქცეულია რომელიმე მავნე გავლენის ქვეშ. ეს შეიძლება იყოს ცუდი სოციალური წრე და გარემო, რომელშიც მოქალაქე შემთხვევით მოხვდა, მავნე უკუღმართი იდეოლოგია, რომელსაც შეუპყრია ეს მოქალაქე. ასე, ჩვენ ვიცით შემთხვევები, როდესაც ცალმხრივი, უხელმძღვანელოდ კითხვის შედეგად ცალკეული მოქალაქეები გამხდარან ტოლსტოიურ ან სხვა შოპენჰაურ-იდეალისტური მოძღვრების მიმდევარნი. მეცნიერული ლიტერატურის უხელმძღვანელოდ, უსისტემოდ კითხვამაც კი შეიძლება უარყოფითი შედეგები მოგვცეს. ავღნიშნოთ ისიც შემთხვევა, როდესაც ერთმა გამოუცდელმა მკითხველმა წაიკითხა

ბიუხნერის წიგნი "ძალა და მატერია", ამ წიგნში გამოთქმული აზრების მიღებით შექმნა თავისი საკუთარი შეხედულება სამყაროზე იმის გაუთვალისწინებლად, რაც შექმნა მეცნიერებამ ამ წიგნის დაწერის შემდეგ: მექანიკის, ქიმიის თანამედროვე დებულებები მას გამორჩა. მას გამორჩა, რაც უფრო მნიშვნელოვანია მეცნიერული აზროვნებისათვის, მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი.

მაშასადამე, რომ წარმატებით ვიბრძოლოთ ჩვენი ძირითადი ამოცანისათვის - დავეხმაროთ მკითხველებს მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური თეორიის დაუფლებაში, პროფესიონალური კვალიფიკაციის ამაღლებაში, საჭიროა გამოვდიოდეთ იქიდან, რაც აქვს მკითხველს, ანგარიში უნდა გავუწიოთ მის მომზადებას, ცოდნას, კულტურულ იდეოლოგიურ დონეს. ეს კი ჩვენს წინაშე სვამს საკითხს მკითხველთა ინდივიდუალური შესწავლის შესახებ.

მკითხველთა ინდივიდუალური, დიფერენცირებული შესწავლა უხათუოდ გულისხმობს მკითხველთა მთელი მასის მთლიან შესწავლასაც. ამიტომ მკითხველთა შესწავლის მეთოდები განირჩევიან იმით, რომ ზოგი მათგანი ესწავლობთ მკითხველთა მასას მთლიანად, ეცნობებიან მათ საერთო თვისებებს, ყოველ შემთხვევაში ამ მასის ცალკეული ჯგუფების თვისებებს. და ეს ჯგუფები ჩვენ გვეხმარება სწორედ ამ მასობრივი შესწავლის პროცესში. მეორე რიგი მეთოდებისა კი მიმართულია ცალკეული, ინდივიდუალური მკითხველების შესწავლა-გაცნობისაკენ, რამაც ხელი უნდა შეგვიწყოს ცალკეული მკითხველის კითხვის ხელმძღვანელობაში.

აქ ერთი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ. ზემოთ იყო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავეცნოთ ჩვენი მომსახურების რაიონის მოსახლეობის სოციალური და კულტურული დონე. აქ ვლაპარაკობთ ჩვენი მკითხველების მასობრივი შესწავლის მეთოდების შე-

სახეებ. რა თქმა უნდა, ეს ერთი და იგივე არ არის. როდესაც ჩვენ ვეყრდნობით რაიონის მოსახლეობას, ჩვენ მას ვსწავლობთ იმისდა მიუხედავად, არის ეს მასა ჩვენი მკითხველი, თუ არა ამჟამად. საბოლოო ჩვენი მიზანი არის მთელი ამ მასის მომსახურება, მოსახლეობის 100% ჩაბმა ბიბლიოთეკის მკითხველთა რიცხვში.

სულ სხვაა მკითხველთა მასობრივი შესწავლა. აქ ჩვენ შევისწავლით მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ამ პერიოდში უკვე ბიბლიოთეკის მკითხველია. გარდა ინდივიდუალური, განმასხვავებელი ნიშნების, თვისებებისა, ამ მკითხველებს ახასიათებს ზოგი ნიშნის, თვისების ერთგვარობა. მათი შეჯამება და ამ შეჯამებული ნიშნების მიხედვით მკითხველთა ჯგუფების გამოვლინება არის აუცილებელი მუშაობა, რომელიც მოგვცემს ცოდნას იმ ადამიანების შესახებ, რომელთაც ჩვენ ვუწევთ ბიბლიოთეკურ მ მომსახურებას.

მკითხველთა მასის შესწავლა გულისხმობს, რომ ჩვენ ვერკვევით იმაში, თუ რა/და/რა სოციალური, ასაკობრივი, პროფესიონალური და სხვა ჯგუფებად იყოფება მკითხველთა მთელი მასა, ამ მდგომარეობით ნაწილობრივად განსაზღვრულია მკითხველთა ინტერესებიც, ლიტერატურის მოთხოვნა. მაგრამ, რასაკვირველია, მექანიკური მიდგომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამათუიმ სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება სავსებით სწყვეტს მკითხველის ინტერესების საკითებსაც. მაგ., ინჟინერ-არქიტექტორი თუ არის ჩვენი მკითხველი, წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ მისთვის საჭირო იქნება ახალი ლიტერატურა არქიტექტურის შესახებ. ამ მხრივ ამ მკითხველის სოციალური და პროფესიონალური კუთვნილება, რასაკვირველია, განსაზღვრავს მის მოთხოვნას ლიტერატურაზე. მაგრამ უაზრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ მკითხველს სხვა ლიტერატურა აღარ დასჭირდება. პირიქით, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მუშაობს თავის საერთო და პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებაზე, ეცნობება მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურის ამათუიმ საკითხებს.

ამ მხრივ რამდენიმე ინჟინერ-არქიტექტორის „მკითხველის ფორმულარისრომ შევამოწმოთ, ვნახავთ, რომ მათი ინტერესები, ლიტერატურის მოთხოვნები ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათი ინტერესი, როგორც უკვე აღინიშნა, პროფესიონალური და სოციალური კუთვნილებით მხოლოდ ნაწილობრივ განისაზღვრება.

მკითხველთა ჯგუფების გამოვლინება თუმცა შეიძლება მასობრივი მუშაობის მეთოდებით სწარმოებდეს, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი, რადგანაც მკითხველთა მასების შესწავლის საქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მკითხველთა ინდივიდუალური შესწავლას, რადგანაც მხოლოდ ცალკეული მკითხველების შესწავლის შედეგად შეიძლება ვიქონიოთ უფრო სწორი წარმოდგენა მკითხველთა ჯგუფების შესახებ. ამრიგად ჩვენ გვესახება ამოცანა: 1/ვაწარმოოთ მკითხველთა ინდივიდუალური შესწავლა, 2/ვაწარმოოთ მკითხველთა მასობრივი შესწავლა მკითხველთა ჯგუფების მიხედვით, ამ ჯგუფების და ინდივიდუალური მკითხველების უკეთესად მომსახურების მიზნით.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ მკითხველთა ინდივიდუალური შესწავლაც და მკითხველთა ჯგუფების შესწავლაც მიზნად ისახავს მკითხველის დიფერენცირებულ მომსახურებას.

როგორც უკვე ითქვა, მკითხველისადმი ბიბლიოთეკური მომსახურების მიზანი არის დახმარება, რომ ყოველი მოქალაქე, ყოველი მკითხველი დაეუფლოს მარქსიზმ-ლენინურ რევოლუციურ თეორიას, გახდეს შეგნებული მატერიალისტი, დიალექტიკოსი, გახდეს კომუნიზმის მშენებლობის მონაწილე. ამრიგად, ყველა მკითხველის მომსახურების ამოცანა საბოლოო ერთია, მაგრამ ჩვენთან მკითხველები სხვადასხვა მომზადებით, ცოდნით მოდიან, სხვადასხვა გემოვნებით და ინტერესებით. ამრიგად, თუმცა საბოლოოდ მკითხველებს, ერთი და იგივე, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის გამომუშავებაში უნდა დავეხმაროთ, მაგრამ საწყისი, მონაცემები, რომლებითაც მკითხველი იწყებს ამ მიზნისათვის მუშაობას, ყველას ერთნაირი არა აქვს. დიდი განსხვავებაა მკითხველთა ცალ-

ვიწრო ჯგუფებისა და ცალკეული ადამიანების წრის. მაშასადამე შეუძლებელი იქნებოდა ყველა მკითხველისადმი ერთგვარი დამოკიდებულება, ერთ და იმავე ლიტერატურით მომარაგება, ერთი და იგივე დახმარების აღმოჩენა. ეს ჩვენ წინაშე სვამს ამოცანას დიფერენციალური მომსახურების შესახებ.

დიფერენციალური მომსახურება ეწოდება მუშაობის ისეთ მეთოდს, რომლისაც ბიბლიოთეკის ან სხვა რომელიმე პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაკი თითოეულ ცალკე მკითხველს მიუდგება იმ მოთხოვნების და მისწრაფებების მიხედვით, რომლებითაც ხასიათდება ესა თუ ის მკითხველი.

მაშასადამე, მკითხველთა მასობრივი შესწავლაც ბევრში ეყრდნობა მათ ინდივიდუალურ შესწავლას, დიფერენცირებულ მომსახურებით მიღებულ გამოცდილებას. და ამის გამო მკითხველთა შესწავლის მეთოდებში პირველი, მთავარი ადგილი უკავია ინდივიდუალური შესწავლის მეთოდებს.

მკითხველის ინდივიდუალური შესწავლის წყაროები არის: 1/საუბარი და მკითხველის გამოთქმები, 2/მკითხველის ფორმულარი.

მკითხველის გამოთქმები, მისი აზრის და შთაბეჭდილებების გამომჟღავნება მნიშვნელოვანია ჩვენთვის იმდენად, რამდენადაც მკითხველის აზრი ამ შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებელია, არ არის გაწონილი დასმული კითხვით. იგი ამ დროს არ ფიქრობს, როგორი პასუხი გასცეს, მისი მოქმედება ამ დროს უშუალოა, გულუბრყვილო და გულწრფელი. ეს გამოთქმები უფრო ხშირად ხდება საუბრის დროს, თუ კი საუბარი მეგობრულად მართებულ ფორმებში მიმდინარეობს. მაშასადამე, საუბრები და გამოთქმები ერთმანეთთან დაკავშირებულია. მაგრამ მკითხველის გამოთქმები საუბრების გარეშეც შეიძლება იქნას მიღებული. ეს არის ჩვეულებრივის აღმოშები, მკითხველის შთაბეჭდილებებისა და მოთხოვნილებათა ჩვეულება. მაგალითად, როდესაც მკითხველი ამ

დოკუმენტებში ჩანაწერს აკეთებს, იგი ამჟღავნებს, ცდილობს გარკვეული ფორმა მისცეს თავის აზრებს, მაგრამ მას მაინც აქ სრული საშუალება აქვს დამოუკიდებელი, უშუალო აზრი და შთაბეჭდილებები გამოამჟღავნოს. ამ ჩანაწერებს მხოლოდ მაშინ აქვთ მნიშვნელობა, როდესაც ყოველი მკითხველი თავის საკუთარ აზრს შეიტანს, სხვა შემთხვევაში არც არის საჭირო და არც სარგებლობს მკითხველი ამ საშუალებით. ამრიგად თვით ის ფაქტი, რომ მკითხველმა ისარგებლა აღნიშნული რვეულებით, უკვე საწინდარია იმისა, რომ ის რაც მან დაწერა, არის მისი ნამდვილი აზრები და განცდები. ყველა სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე საუბრის დროს, როდესაც იმართება საუბარი მკითხველისა და ბიბლიოთეკარის შორის, აქ მკითხველი იმდენად თავისუფალი არ არის, რადგანაც იგი გრძნობს ერთგვარ ზემოქმედებას, მას „სთხოვენ", რომ გამოსთქვას აზრი. მეორე გარემოება ის არის, რომ მკითხველის გამოთქმა შეპირობებულია დასმული კითხვებით. ამის გამო განსაკუთრებული სიფრთხილე და პედაგოგიური ტაქტია საჭირო, რომ მკითხველთან საუბარმა მოგვცეს მკითხველის უშუალო, ნამდვილი აზრი და განცდები. ამისათვის საჭიროა, რომ საუბარს არ ჰქონდეს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს იგი სავალდებულოა, არ უნდა ჰქონდეს აგრეთვე შაბლონური ხასიათი, კითხვები არ უნდა იყოს სტანდარტიზებული, ე.ი. ყველა მკითხველს ერთი და იგივე კითხვა არ უნდა დაესვას და არც ერთი და იმავე თანამიმდევრობით.

ბიბლიოთეკარის საუბარიც უშუალო და თავისუფალი უნდა იყო ეს უნდა იყოს არა დაკითხვა, არა ცოდნის შემოწმება, არამედ ცოცხალი საუბარი ორი პირისა, რომლებიც ერთნაირად აქტიურად დაინტერესებული არიან ამ წიგნით.

საუბარი რომ ასე ცოცხალი და უშუალო იყოს, მოკლებული „სავალდებულობას", თვით ბიბლიოთეკარმა უნდა გამოთქვას თავის საკუთარი აზრები წიგნის ამათუიმ ელემენტებზე და ადგილებზე, როგორც იგი იფიქრა, მკითხველის ადგილზე რომ ყოფილიყო, და ასე

უნდა ჩააბას, „აიტოლიოს" მკითხველი საუბარში. ასეთი საუბარი ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი შეიძლება იყოს ისეთ მომენტებში, როდესაც აბონემენტის მომუშავეს ბევრი აბონენტი არ ახვევია, ხოლო ამ შემთხვევაში, როდესაც მას ბევრი კლიენტი ჰყავს გასამსახურებელი, ბიბლიოთეკარს შეუძლიან მხოლოდ რამდენიმე კითხვა მისცეს. მაგრამ ხშირად ეს „გაკვრითი" კითხვები ქმნიან იმ თავისუფლების, უშუალობის პირობებს, რომლებიც გვაძლევენ სანდო ცნობებს მკითხველის განწყობილების შესახებ ამა/თუ/იმ წიგნის მიმართ.

ამიტომ უარყოფილი უნდა იქნას ყოველგვარი კითხვარები და საუბრის ხერხები, რომლებიც ზღუდავენ, აბოჭავენ ბიბლიოთეკარს და აშინებენ, აფრთხობენ მკითხველს.

მაგრამ, ცხადია, რომ საუბარი არ შეიძლება უბრალო ლაყბობად გადავაქციოთ, არ შეიძლება იგი უმიზნო იყოს. საუბარმა უნდა მოგვცეს მასალა, რომ გავიგოთ, როგორც ამ ცალკეულ მკითხველს, ისე მთლად მკითხველთა მასას. საუბრებით მიღებული მასალა, ცოდნა მკითხველისა გვესაჭიროება მისთვის, რომ ვიცოდეთ, რა მოთხოვნები ამოძრავებს მას წიგნის არჩევის დროს, რას ეძებს, რას ისახავს მიზნად. ეს საჭიროა მისთვის, რომ მკითხველს დავეხმაროთ წიგნების უკეთესად შერჩევაში, დროისა და ენერგიის უფრო სარგებლიანად გამოყენებაში.

საუბრის დროს უნდა გამოირკვეს აგრეთვე, რამდენად ესმის წიგნი მკითხველს, რამდენად დაძლია იგი, დაეუფლა იმას, რაც მას წიგნიდან უნდა მიეღო. ამ დროს ჩვენი მიზანი არის გამოვარკვიოთ, როგორი დახმარება ესაჭიროება მკითხველს, რომ მისმა მეცადინეობამ გამოიღოს ნაყოფი, რომელსაც იგი მოელის წიგნზე მუშაობისაგან.

და ბიბლიოთეკარის მთელი უნარი, ტაქტი, გამოცდილება იმაში უნდა გამოიხატოს, რომ თითქოს „სხვათა შორის" მიცემული კითხვით, უბრალო საუბრებით მიიღოს ისეთი ცნობები, მასალა, რომლითაც მას დაეხმარება მკითხველის უკეთესად გაცნო-

ბაში და მისი მომსახურების გაუმჯობესებაში.

საუბარი მკითხველთან სამ მომენტს შეიცავს. ეს მომენტები შეიძლება ერთად მოხდეს, შეიძლება ერთმანეთისაგან დაშორებული იქნას. არსებითად ეს არის სამი ტიპის საუბარი: მკითხველად ჩაწერის დროს, წიგნის გაცემის და წიგნის უკან დაბრუნების დროს. პირველი სახის საუბარს უფრო განცალკევებული ადგილი უკავია. ამ საუბრის მიზანი არის გაგება, რას ისახავს მიზნად მკითხველი, რა სახის ლიტერატურა ესაჭიროება მას. აგრეთვე ამ საუბარში უნდა გამოვარკვიოთ მკითხველის განვითარების დონე და მისი ნაკითხობა. აქ უფრო მეტი ადგილი აქვს გამოკითხვის მეთოდს, რადგანაც საჭიროა მკითხველის წინასწარი სრული გაცნობა, რომ მისი მომსახურება თავიდანვე სასურველ კალაპოტში ჩადგეს. წიგნის დაბრუნება და ახალი წიგნის არჩევა, ზოგი შემთხვევის გარდა, ერთ დროს სწარმოებს. მაგრამ მათი მიზნობრივი დანიშნულება სხვადასხვაა: წიგნის დაბრუნებასთან დაკავშირებით ჩვენ ვეცნობით, რამდენად დააკმაყოფილა წიგნმა მკითხველი, როგორ გაიგო და აითვისა, რომ შემდეგი წიგნის არჩევის დროს ვიხელმძღვანელოთ ამ ცნობებით. აქ უფრო მეტად მკითხველის გამოთქმებს აქვს მნიშვნელობა. ახალი წიგნების არჩევის დროს კი საუბარში უკვე ბიბლიოთეკარს ეთმობა ადგილი. იგი ახასიათებს წიგნს, მიუთითებს უფრო მნიშვნელოვან ადგილებზე, წინასწარ აძლევს მეთოდიკურ მითითებებს, მაგრამ, ცხადია, რომ მკითხველი არც აქ არის მთლად პასიური. პირიქით, მკითხველმა აქაც უნდა გამოამჟღავნოს თავისი დამოკიდებულება, როგორც თემისადმი, ისე, კერძოდ, შერჩეული წიგნისადმი. ძლიერ ხშირია ისეთი მდგომარეობა, როდესაც მკითხველს არჩევანი უკვე ჩაცარებული აქვს, ან წიგნს დამოუკიდებლად არჩევს. მაშინ ბიბლიოთეკარის ამოცანა ხდება გამოარკვიოს არჩევანის მოტივები, რომ გაიგოს, რამდენად სწორად აირჩია მკითხველმა წიგნი, ხომ არ არის საჭირო მის არჩევანში ცვლილების შეტანა, სხვა წიგნის რეკომენდაცია და სხვ.

ცალკეულ მკითხველთან საუბრები სხვადასხვა დროს შეიძლება სხვადასხვა ხანგრძლივობით მიმდინარეობდეს. პერიოდულად, დროგამოშვებით ბიბლიოთეკარი მკითხველთან ჩაატარებს უფრო ხანგრძლივ საუბარს, მიიღებს მის შესახებ საკმაო წარმოდგენას და შემდგომი შეხვედრების დროს უკვე კმაყოფილდება რამდენიმე წინადადებით.

საუბარი მკითხველთან ყოველთვის სწარმოებს სხვა მკითხველთა თანდასწრებით; არ შეიძლება იზოლირება იმ მკითხველისა, რომელსაც ესაუბრებით. პირიქით, სასურველი და სასარგებლოა, რომ საუბარში სხვა მკითხველებმაც მიიღონ მონაწილეობა. ამრიგად საუბარი აბონემენტზე თუმცა ინდივიდუალური მუშაობის ფორმაა, მაგრამ პრაქტიკულად იგი ყოველთვის ჯგუფურ, მასობრივ ხასიათს ატარებს. ეს იმიტაა კარგი, რომ ცალკეულ მკითხველს ეთმობა არა მარტო ის დრო, რომელშიც სწარმოებს მისგან წიგნის მიღება და ახალის გაცემა, არამედ მთელი ის დრო, რომელსაც მან უნდა დაჰყოს აბონემენტში.

აგრეთვე ცხადია, რომ მთელი ეს მუშაობა, მკითხველებთან საუბარი, მათი გამოთქმების მოსმენა, პასუხების გაცემა და სხვ. უნდა სწარმოებდეს აბონემენტზე ყოველდღიური მუშაობის პროცესში. იმ დროს, როდესაც ბიბლიოთეკარი მკითხველებს ესაუბრება, იგი განაგრძობს მკითხველის და წიგნის ფორმულარების ძებნას; მათში სათანადო ჩანაწერების გაკეთებას და სხვ. სწორედ ეს გარემოება ქმნის საუბრის ძალდაუტანებლობას, უშუალობის ატმოსფეროს, რაც ასე საჭიროა საუბრის წარმატებისათვის.

საუბრიდან მიღებული შთაბეჭდილებები ბიბლიოთეკარმა შეიძლება ჩაწეროს. მაგრამ არ შეიძლება ამისი ჩაწერა მკითხველთა თანდასწრებით. მაშინ მკითხველი აღარ მოგვცემს გულწრფელ, უშუალო პასუხებს, იგი შეეცდება ა.შ. შელამაზებას, წინაწრაფული ენის ფორმულირებას და სხვ. ჩაწერა უნდა გადაიტანოთ იმ შემდეგ, როდესაც აბონემენტი დაიცლება, დაიწყება შესვენება და აბონემენტის მუშაკი შეუდგება დღიური მუშაობის შეჯამებას.

მას უნდა ,ქონდეს სპეციალური რვეული, ბიბლიოთეკარის დღიურისათვის. იგი განსხვავდება აბონენტის ან ბიბლიოთეკის დღიურისაგან, რომელიც სტანდარტულად არის დახაზული და რომელშიც გარკვეული, ზუსტი ცნობები უნდა ჩაიწეროს დღის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შესახებ. ბიბლიოთეკარის დღიურში ბიბლიოთეკარი შეიტანს ყველა თავის შთაბეჭდილებებს, აზრებს დღის მუშაობისაგან მიღებულს. აქვე იგი ჩაწერს მკითხველთა ისეთ გამომჟღავნებებს, რომელთაც მიიპყრეს ბიბლიოთეკარის ყურადღება. დროდადრო ეს დღიური ბიბლიოთეკარმა უნდა გადაიკითხოს ხოლმე, რომ მუშაობის პროცესში გამოიყენოს მთელი ის მასალა, რომელიც მას აქვს დაგროვებული მკითხველებთან მუშაობის პროცესში.

საუბრების გზით ბიბლიოთეკარს შეუძლიან გაეცნოს ყველა თავის მკითხველს. მაგრამ მკითხველთა ინდივიდუალური შესწავლის მეთოდებში არის ისეთებიც, რომლებიც ყველა მკითხველს არ მოიცავენ, მაგრამ მათი ნაწილის, ზოგი მკითხველის შესწავლისათვის ძვირფას ცნობებს იძლევიან. ასეთია ყველა მეთოდი, რომლის სარგებლობის დროსაც მკითხველს საშუალება ეძლევა გამოსთქვას თავისი აზრები, სიტყვიერად თუ წერილობით. მკითხველთა საერთო კრებები, კონფერენციები, კამათის დროს მოხსენებებისა და საუბრების შემდეგ მკითხველთა უფრო აქტიური ნაწილი ყოველთვის ახლო მხურვალე მონაწილეობას იღებს. ამ გამოსვლების დროს მკითხველები შეეხებიან, როგორც საერთოდ ბიბლიოთეკის მუშაობას, ისე თავ ინტერესებს და მოთხოვნილებებს. ასეთი გამოსვლები ჩვენ გვაძლევენ, რა თქმა უნდა, მთელი მასის ცოდნის საშუალებას, მაგრამ არანაკლებ საინტერესო მასალას გვაძლევენ თვით გამოსული პირის შესახებ.

წერილობით გამოთქმებს ჩვენ ბევრი საშუალებით ვიღებ ბიბლიოთეკის და საერთოდ ყველა სახის პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა ღონისძიება გვაძლევს მასალას მკითხველის შესწავლისათვის. ასე, მაგ., ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს ვიღებთ წერილობით გაცემული ცნობებისა და კონსულტაციებიდან,

ბიბლიოგრაფიული ხასიათისა იქნება იგინი, თუ რეალურის. მაშასადამე, საინფორმო-საკონსულტაციო ბიუროს მასალები ბევრ [illegible] მკითხველის შესახებ მოგვცემს ისეთ ცნობებს, რომლებიც შეავსებენ მკითხველის დახასიათებას სხვა წყაროებით მიღებულს. ეს თავისთავად ცხადია, რადგანაც მკითხველი მოითხოვს ბიბლიოგრაფიულ და რეალურ დახმარებას ამ საკითხებში, რომლებზეც ამ მომენტში გამახვილებულია მისი ყურადღება.

~~[illegible]~~

ყველა ეს ცნობები გაბნეული იქნება სხვადასხვა წყაროებში. ბიბლიოთეკარს აქ უმთავრესად უნდა მოეხმაროს მისი მეხსიერება. მაგრამ ბევრ შემთხვევაში, როდესაც მკითხველს ესაჭიროება განსაკუთრებული ხელმძღვანელობა და დახმარება, ბიბლიოთეკარმა ცალკე ფურცლებზე უნდა შეადგინოს მკითხველის დახასიათება. დახასიათების ფურცლებზე ჯერ უნდა მოათავსოს დოკუმენტალური ცნობები მკითხველის შესახებ, რომლებსაც აიღებთ მკითხველის ფორმულარიდან. ამის შემდეგ იწყება დახასიათების ძირითადი ნაწილი, რომელშიც ჩვენი ცნობები მკითხველის შესახებ უნდა გავანაწილოთ შემდეგი რუბრიკების მიხედვით: 1/რა მიზნით კითხულობს, 2/როგორი მოთხოვნები აქვს, 3/რა დარგის ლიტერატურას კითხულობს უმთავრესად, 4/როგორი ტიპის ნაწარმოებებს /მეცნიერულ შრომებს, მეცნიერულ-პოპულარულს, ბელეტრისტიკას და სხვ./, 5/ როგორ ამუშავებს წიგნებს/მხოლოდ კითხულობს, სწავლობს, აკონსპექტებს და სხვ./, 6/რა გამოთქმები ეყოთ ამ მკითხველისა საერთოდ კითხვაზე და კერძოდ ამათუიმ ნაწარმოების შესახებ, 7/კმაყოფილია თუ არა ჩვენი მომსახურებით. რით არ არის კმაყოფილი.

მაგრამ ყველაზე უფრო ზუსტ და ნათელ წარმოდგენას მკითხველის ინტერესების შესახებ მოგვცემს "მკითხველის ფორმულარი", ანუ საბონემენტო ბარათი. როგორც ვიცით, მკითხველის ფორმულარში იწერება მკითხველის მიერ წაღებული წიგნები. ბევრ ბიბლიოთეკაში წიგნის

ავტორი და სათაური არ იწერება, იწერება მხოლოდ საინვენტარო ნომერი და ფასი. რასაკვირველია, ასეთი ფორმულარითაც შეიძლება სარგებლობა მკითხველის შესწავლის დროს, რადგანაც შიფრები გვაჩვენებს მკითხველის ინტერესს და მიდრეკილებას. გამოცდილი ბიბლიოთეკარი ამ შიფრების მიხედვით წიგნებსაც დაასახელებს. მაგრამ, უკეთესია იქ, სადაც მკითხველების ინდივიდუალურ შესწავლას აწარმოებენ, მკითხველის ფორმულარში სიტყვიერად სწერონ ავტორი და წიგნის სათაური. მაშინ ბიბლიოთეკარის თვალწინ უფრო ღიად გადაიშლება მკითხველის ინტერესების სურათი.

როგორც ვიცით, წლის განმავლობაში მკითხველს ერთი და იგივე აბონემენტი აქვს. თუ იგი შეავსო, მასშივე ჩაიდება დამატებითი ფურცლები. ახალი წლის დასაწყისში ყველა ბიბლიოთეკაში ხდება მკითხველთა ხელახალი რეგისტრაცია და ძველი აბონემენტები უქმდება. მაგრამ ისინი მაინც უნდა შევინახოთ. ამრიგად ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს იმ მკითხველების აბონემენტები, რომლებსაც ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, ყველა ერთად ვიქონიოთ, გარდა მიმდინარე წლის ფორმულარისა. საჭირო შემთხვევაში შეგვიძლია ერთად განვიხილოთ, როგორც ძველი, ისე მიმდინარე წლის ფორმულარები და დავუკავშიროთ იმას, თუ როგორ ვითარდება, მიმდინარეობს მკითხველის ინტერესები, რამდენი წიგნი წაიკითხა, რადარა საკითხებზე და სხვ.

მკითხველის ფორმულარი ჩვენ ყოველთვის ზუსტად გვაჩვენებს ყველა ცვლილებას, რომელიც მოხდება მკითხველის განწყობილებაში, მაშინვე დაგვანახებს, თუ მკითხველის მოთხოვნაში არის ნიშნები არაჯანსაღი ან მცდარი ინტერესისა და შესაძლებლობა გვაქვს შესაფერისი შესწორებები შევიტანოთ. ეს არაჯანსაღი მოთხოვნილება შეიძლება გამოიხატოს ცალმხრივობაში, ლიტერატურის შეურჩევლობაში. ასე, მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ მკითხველი განვითარების ერთგვარ საფეხურზე სდგას, მაგრამ ის მოითხოვს და კითხულობს რთულ ფილოსოფიურ წიგნებს. მისი ფორმულარი და ჩატარებული საუბრის ჩანაწერი კი გვარწმუნებენ, რომ

ამ მკითხველს არ წაუკითხია და დაუმუშავებია ისეთი წიგნები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ამ ლიტერატურის დაძლევისათვის. მაშინ ჩვენ დავასკვნით ჩარევის აუცილებლობას. საუბრით გამოვარკვიეთ, რომ მან მოისურვა ფილოსოფიის შესწავლა. მაშინ ჩვენ მას შევახვედრებთ კონსულტანტს, რომელიც მიუთითებს რა ნაწარმოებები გაიცნოს წინასწარ, დაეხმარება დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დაუფლებაში და აგეგმავს მის შემდგომ კითხვას.

მკითხველთა მასობრივი და ინდივიდუალური შესწავლა ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული; რომ ერთის მეშვეობით მიღებული ცნობები გამოსაყენებელია მეორისათვის და პირიქით. მაგრამ, როგორც უკვე ზემოთაც აღინიშნა, ორივე მათგანს აქვს თავისი საკუთარი სპეციფიკური მეთოდები. მკითხველთა მასობრივი შესწავლის მეთოდებში ჩვენ ჩვენ უნდა გავარჩიოთ ისეთები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ გავეცნოთ მთელ მასას უშუალოდ, გაუპიროვნებლად და აგრეთვე ისეთებიც, რომელთა საშუალებითაც ჩვენ ვაგროვებთ ცნობებს ცალკეული მკითხველების შესახებ, მაგრამ შემდეგ მათ ვაჯამებთ, გამოგვყავს საშუალო რიცხვები და სხვა მისთ. ცხადია, რომ, როდესაც ჩვენ მკითხველთა მასობრივ შესწავლას ვაწარმოებთ, ცალკეული მკითხველების შესახებ ცნობები იკრიბება ისე, რომ გამოვიყენოთ მაჩვენებლად მთელი მასის, ან მისი რომელიმე, გარკვეული ნაწილისათვის. მაშასადამე ამ შემთხვევაში თუმცა ჩვენ ცნობებს ვაგროვებთ ცალკეული მკითხველების შესახებ, ეს აღარ არის მკითხველთა ინდივიდუალური შესწავლა, თუმცა ინდივიდუალური შესწავლის მეთოდებით მიღებული ცოდნა, როგორც უკვე აღინიშნა, ძლიერ გვიწყობს ხელს მკითხველთა მასობრივი შესწავლის საქმეში.

მკითხველთა მასის უშუალო შესწავლა სწარმოებს ისეთ მომენტებში, როდესაც მთელი მასა მკითხველებისა, ან მისი რომელიმე ნაწილი ერთად. არის შეკრებილი და რაიმე მუშაობას აწარმოებს ან ესწრება ბიბლიოთეკის რომელიმე მასობრივ ღონისძი-

ბებს. აქ მთავარი საშუალება, რომელსაც ჩვენ მივმართავთ, არის დაკვირვება. კრებებზე, ბიბლიოთეკის საღამოებზე, ხმამაღალ კითხვებზე, წრეების სხდომებზე, მასობრივი კონსულტაციების დროს მკითხველთა მასა უტყვი რამ არ არის. პირიქით, იგი ასე თუ ისე ამჟღავნებს თავის განწყობილებას, დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხისადმი. და ეს დამოკიდებულება მჟღავნდება არა მხოლოდ გამოსვლებში, სიტყვებში, კამათში, არამედ კიდევ ბევრი სხვა საშუალებით, როგორიცაა რეპლიკები, ტაშის დაკვრა, სიცილი და სხვ. დაკვირვებული ბიბლიოთეკარი ამ გამომჟღავნებებიდან ბევრს დასკვნას გამოიტანს, თავის მუშაობის გაუმჯობესებისათვის ფრიად სასარგებლოს. ასე, მაგ., ხმამაღალი კითხვის დროს, აუდიტორია ჩვენ გვაჩვენებს, რამდენად თანაუგრძნობს მოთხრობის გმირს. ეს მჟღავნდება ცალკეულ შემოძახილებში, ყურადღების ინტენსივობაში, გრძნობის გამომჟღავნების ყველა საშუალებით. აქედან ბიბლიოთეკარს შეუძლია გააკეთოს დასკვნა აუდიტორიის განწყობილების შესახებ. იგივე ნაწარმოები სხვა აუდიტორიებში თუ იქნა გამეორებული, ბიბლიოთეკარს შესაძლებლობა მიეცემა საერთო ხასიათის დასკვნა გამოიტანოს. საკონცერტო ნომრების შესრულება, წარმოდგენა, ისევე კარგი საშუალებაა, როგორც ხმამაღალი კითხვა.

მაგრამ ბიბლიოთეკარს შეუძლია მასის განწყობილებას გაეცნოს არა მხოლოდ მათი შეკრებილობის დროს, ან არა მხოლოდ შემთხვევითი გამომჟღავნებების საშუალებით, არამედ უფრო სისტემატიური და მოფიქრებული ღონისძიებებითაც. ასეთია ანკეტის მეთოდი. ბიბლიოთეკების ისტორიაში იყო პერიოდი ანკეტებით გატაცებისა, როდესაც მკითხველი კითხვას ვერც კი ასწრებდა, რადგან მთელი მისი დრო ანკეტების შევსებას ხმარდებოდა. ახლა ბიბლიოთეკები ამ მეთოდს იშვიათად ღა მიმართავენ. ცხადია, რომ ანკეტებით მკითხველთა ხშირი შეწუხება დაუშვებელია. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ანკეტა საჭიროა და კარგი შედეგის მოტანაც შეუძლია.

იგი ბიბლიოთეკარს მისცემს ინფორმაციას, რა წიგნები აინ-

ტერესებს მკითხველს, რამდენად აკმაყოფილებს მკითხველებს ბიბლიოთეკის მომსახურება, როგორი დახმარება ესაჭიროება მკითხველს ბიბლიოთეკისაგან. ყველა ეს ცნობა შეიძლება გამოყენებული იქნას ბიბლიოთეკის მიერ. ცხადია, რომ არც აქ ვარგა გადაჭარბება: ეს მეთოდი არ შეიძლება ხშირად გამოვიყენოთ და თვით ანკეტებიც არ უნდა იყოს დიდი, "უნივერსალური" ხასიათის. მაგრამ, როდესაც ბიბლიოთეკა აპირებს თავისი წიგნობრივი ფონდის გადასინჯვას, მუშაობის რეორგანიზაციას, მკითხველთადმი დახმარების ორგანიზაციას, საანკეტო მეთოდმა უნდა მოგვცეს მცირე დასაყრდენი.

საანკეტო ცნობებს კრიტიკულად უნდა მივუდგეთ. გამორიცხული არ არის შემთხვევა, როდესაც ანკეტის შემვსები ცდილობს ისეთი პასუხი გასცეს კითხვებს, რომ თვით იგი უკეთესად გამოჩნდეს. ხშირ შემთხვევაში ანკეტის შემვსებს პასუხის გაცემა უხდება კითხვებზე, რომლებზეც მას ჯერ არ უფიქრია და ამიტომ მისი პასუხიც ნაძალადევია, ან ანაზდეულად მოფიქრებულია და არ გვაძლევს მკითხველის ნამდვილ განწყობილებას და სურვილების სურათს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს საანკეტო ფურცლის მეთოდიკურად სწორად დამუშავებას. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოებაც, რომ ჩვენ საანკეტო ფურცლებს შესავსებად ვურიგებთ იმ პირებს, რომლებიც ამჟამად ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველებად ითვლებიან. მაგრამ სულ მოკლე ხანში შეიძლება ჩვენ აბონენტთა რიცხვს შეემატონ ისეთი ადამიანები, რომელთა მიმართაც ჩვენი ანკეტის დასკვნები აღარ იქნება სწორი. ამის გამო საანკეტო კითხვების შედგენის და პასუხების დამუშავების დროს, კრიტიკული მიდგომის გარდა, საჭიროა კიდევ ანკეტის რეზულტატები შევამოწმოთ სხვა ბიბლიოთეკებში, მეთოდიკურ დაწესებულებებში, ლიტერატურაში გამოქვეყნებულ ფაქტებთან, სხვა გზით მიღებულ დასკვნებთან და, მაშასადამე, არ უნდა გამოვიყენოთ სწრაფი, დაუსაბუთებელი დასკვნები.

ანკეტა უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ შესაფერისი კორექტივები შევიტანოთ ჩვენს მუშაობაში. რაც შეეხება კვლევითი ხასიათის ანკეტებს, მათ ამუშავებენ სპეციალური დაწესებულებები და თვითვე ახორციელებენ ანკეტების შევსების ხელმძღვანელობას და მასალის დამუშავებას.

ყველაზე უფრო სანდო, ზუსტი მასალა მკითხველთა მასობრივი ინდივიდუალური შესწავლისათვის არის მკითხველის და წიგნის ფორმულარები. ამ დოკუმენტებზე მუშაობა არსებითად არის საანკეტო მეთოდით მუშაობა, როდესაც ცნობებს ფორმულარებიდან ჩვენ ვიღებთ სპეციალურად, წინასწარ დამუშავებული კითხვარის ან გეგმის მიხედვით. განსხვავება ისაა, რომ უშუალოდ მკითხველებს არ მივმართავთ. ცხადია, რომ ამ დოკუმენტებით ჩვენ შეგვიძლიან შევისწავლოთ მხოლოდ საკითხი მკითხველთა ინტერესების შესახებ, რამდენადაც ეს ინტერესები ბეჭდვითი ნაწარმოებებისადმია მიმართული, მაგრამ, სამაგიეროდ ამ საკითხის ფარგლებში ჩვენ შეგვიძლიან ყველა განხრა და მიმართულება ავიღოთ. ამ შესწავლის საგანი შეიძლება იყოს: თემატიკა/რა თემებს უფრო ეცნობა მკითხველი/, ლიტერატურის დარგები და წიგნის ტიპები/ რომელი ხასიათის წიგნებს ეძლევა უპირატესობა მკითხველების მიერ/, კითხვის ხანგრძლივობა/თითო წიგნს რამდენ დროს ანდომებს მკითხველი საშუალოდ/, კითხვის რაოდენობა, მკითხველთა სოციალური ჯგუფები და ბევრი სხვა.

როგორც ვიცით, მკითხველის ფორმულარი გვაძლევს ცნობებს რამდენი და რა წიგნები აქვს წაკითხული დასახელებულ მკითხველს, ხოლო წიგნის ფორმულარი-ვის მიერ არის ეს წიგნი წაკითხული და რამდენჯერ არის წაკითხული.

მაშასადამე, იმის მიხედვით, თუ რომელი საკითხით ვართ დაინტერესებული, შეგვიძლიან მივმართოთ მკითხველების ან წიგნების ფორმულარებს.

ამ დოკუმენტებზე მუშაობის დროს უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველთა ფაქტიური შემადგენლობა არ არის სწორი ასახვა საერთოდ მკითხველთა მასისა. ჩვენი მკითხველების შემადგენლობა შეიძლება განსხვავდებოდეს მკითხველთა მასისაგან საერთოდ. მაგალითად, შესაძლებელია, რომელიმე ბიბლიოთეკაში, მკითხველთა დიდი უმრავლესობა მოსწავლე ახალგაზრდობა იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ ჩვენი მკითხველთა მასის სწორედ ამ პროცენტს შეადგენენ მოსწავლეები. მეორე მხრივ უნდა გვახსოვდეს, რომ, როდესაც ჩვენ ვსწავლობთ საკითხს, თუ რომელი წიგნები უფრო ხშირად იკითხება, მხედველობაში უნდა მივიღოთ ამათუიმ დარგის, ან ამათუიმ სახელწოდების ფაქტიური რაოდენობა ბიბლიოთეკაში. მაგალითად, თუ "მაყი ბეჩიცია" სამ ცალად გვაქვს და "მამინ ახეკი" ერთ ცალად, მათი ფორმულარების მიხედვით ჩვენ შეიძლება მივიღოთ ცნობა, რომ "მაყი ბეჩიცია" მეტ მკითხველს წაუკითხია, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ "მამინ ახეკი" ერთი გვქონდა და მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებდა. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მივიღოთ წიგნების ფაქტიური რაოდენობათა პროპორცია და აგრეთვე "ჟანრების" რაოდენობა, ვინაიდან "ჟანრები" ნიშნავს იმას, რომ წიგნი მეტ ეგზემპლარიანებად რომ გვქონდეს, ამ წიგნის გაცემათა რაოდენობა მეტი იქნებოდა. მაგრამ, რასაკვირველია, აქაც ჩვენი ცნობა არ იქნებოდა აბსოლუტურად ზუსტი, რადგანაც, ზოგჯერ მკითხველი წიგნს არ მოითხოვს, რადგან მისი არსებობა არ ნახა კატალოგში.

მკითხველთა და წიგნების ფორმულარების შესწავლა შეიძლება იყოს მთლიანი ან ნაწილობრივი.

მთლიანი შესწავლა არის მაშინ, როდესაც, ვთქვათ, ჩვენ მკითხველთა ყველა ფორმულარიდან გამოვწერთ, რომელი წიგნი რამდენჯერ წაკითხულა და ამრიგად მიღებული რიცხვების ანალიზს გავაკეთებთ. ან - გამოვწერთ ყველა წიგნების

ფორმულარებიდან -რამდენჯერ იყო თითო მათგანი წაკითხული და მოვაწეროთ ამ ცნობების ანალიზს. ასეთი ცნობების მოკრების შესახებ ანალიზს ვაწარმოებთ იმ მიზნის მიხედვით, რომელიც გვქონდა დასახული ამ მთლიანი შესწავლის დროს. მაგალითად, შეიძლება მიზნად დავისახოთ გამორკვევა, თუ რომელი დარგის წიგნები უფრო მეტად იკითხება. მაშინ წინასწარ უნდა შევადგინოთ საორიენტო ბადე, სადაც მოვათავსებთ იმდენ სვეტს, რამდენ კლასადაც ვყოფთ ლიტერატურას და მკითხველთა ფორმულარების მიხედვით შესაფერის სვეტებში გადავიტანთ იმდენ ნიშნებს /წერტილებს, ერთიანებს, რგოლებს ან სხვ. ნიშნებს/, რამდენიც წაიკითხა მკითხველს, როდესაც ყველა მკითხველის მიერ წაკითხულ წიგნებს აღვნიშნავთ საორიენტო ბადეში, მაშინ შევაჯამებთ თითოეულ სვეტში მოთავსებულ ნიშნებს და ეს ჯამები გვაჩვენებს, რომელ დარგებს უფრო ეტანება მკითხველი. ეს არის მარტივი მაგალითი, მაგრამ ყველა შემთხვევაში აქ მოყვანილი სქემით შეგვიძლება მუშაობა, რომ მივიღოთ საჭირო მაჩვენებლები, რომლითაც ხასიათდება ჩვენი მუშაობა. შესაძლებელია, ჩვენ გვესაჭიროებოდეს გამორკვევა, რომელი ტიპის წიგნები უფრო მეტად არის მოთხოვნის საგანი: მეცნიერული, მეცნიერულ-პოპულარული, მასობრივი, ბელეტრისტული. ამ შემთხვევაში საორიენტო ბადე შესაფერისი სვეტებისაგან უნდა შედგებოდეს.

პირველ რიგში ბიბლიოთეკარს ესაჭიროება ასეთი ცნობები წიგნობრივი ფონდის ბრუნვის და კითხვის კოეფიციენტების გამოანგარიშებისათვის. მაგრამ ეს კოეფიციენტები ჩვენ შეგვიძლიან მივიღოთ უფრო მარტივი გზით, ბიბლიოთეკის დღიურიდან. იგი წლის ბოლოს მოგვცემს გაცემათა საერთო ჯამს. წლის პერიოდში ვიცით წიგნთა საერთო რაოდენობა ბიბლიოთეკაში და მკითხველთა რაოდენობა. ამ რიცხვების შეფარდებით სულ ადვილად გამოვიანგარიშებთ საჭირო მაჩვენებლებს. ასე, მაგ., წიგნობრივი ფონდის ბრუნვის კოეფიციენტი უდრის გაცემათა რიცხვს გაყო-

ფილს წიგნთა საერთო რიცხვზე. მაშასადამე, თუ ბიბლიოთეკაში იყო 5000 წიგნი, ხოლო წლის განმავლობაში სულ გვქონდა 7500 გაცემა, 7500 უნდა გავყოთ 5000-ზე; მიღებული რიცხვი 1,5 არის ბრუნვის კოეფიციენტი. იგი გვაჩვენებს, რომ საშუალოდ ბიბლიოთეკის წიგნი წაკითხულია ერთნახევარჯერ. ეს არის საშუალო რიცხვი. ზოგი წიგნი რამდენჯერმე წაკითხული, ზოგი შეიძლება სულაც არ იყო მიმდინარე წლის განმავლობაში წაკითხული, მხოლოდ საშუალოდ კი ბრუნვა უდრის ერთნახევარს.

კითხვის კოეფიციენტის მიღებისათვის გაცემათა რაოდენობა-7500 უნდა გავყოთ მკითხველთა საერთო რიცხვზე. ვთქვათ წლის ბოლოსათვის ბიბლიოთეკაში მკითხველთა რიცხვი უდრიდა 500-ს. 7500 გაყოფილი 500-ზე მოგვცემს 15-ს. ეს არის კითხვის კოეფიციენტი და ნიშნავს, რომ თითოეულ მკითხველს საშუალოდ წლის განმავლობაში წაუკითხია 15 წიგნი. აქაც შეიძლება ზოგ მკითხველს მეტი წიგნი ჰქონდეს წაკითხული, ზოგს -ნაკლები. 15 არის საშუალო რიცხვი. ყოველ წელიწადს რომ ვაწარმოოთ ასეთი კოეფიციენტების გამოანგარიშება, ჩვენ შეგვეძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რამდენად იზრდება წიგნის მოთხოვნილება, როგორი ნაბიჯით მიდის ეს ზრდა. ეს კოეფიციენტები გვიჩვენებს აგრეთვე ამ ზრდის ტემპებს და საშუალება გვექნება ავგეგმოთ შემდგომში წლების მუშაობა.

ამავე კოეფიციენტებით უნდა ვისარგებლოთ, როდესაც ვადარებთ ერთმანეთს რამდენიმე ბიბლიოთეკის მუშაობას მათი შეფასების მიზნით. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში უსათუოდ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა გარემოება, რომელიც კი გავლენას ახდენს წიგნობრივი ფონდის ბრუნვასა და კითხვაზე. პირველ რიგში მხედველობაში უნდა მივიღოთ წიგნობრივი ფონდის შემადგენლობა. [redacted] ორი ბიბლიოთეკა, ერთ და იმავე რაოდენობის წიგნობრივი ფონდებიც რომ ჰქონდეთ, ვერ მოგვცემენ ერთნაირ კოეფიციენტებს, თუ ეს ფონდები სხვადასხვა შემადგენლობისაა.

მაგალითად:ერთის წიგნობრივი ფონდი ნაწილობრივ შედგება რევოლუციამდელ ლიტერატურიდან,მეორისა კი -მთლიანად თანამედროვე,აქტუალური საკითხების ლიტერატურისაგან შესდგება.ცხადია,რომ რამდენადაც მეცნიერული,სერიოზული წიგნები არ უნდა შედიოდეს ძველი ლიტერატურის ფონდში,მას თავის დროში არ ექნება მასობრივი მოთხოვნილება,იგი მხოლოდ სპეციალისტებისათვის არის საჭირო.და,მაშასადამე ამ ორი ბიბლიოთეკის მუშაობის კოეფიციენტები ერთნაირი არ იქნება.თუ გვინდა ორი ან რამდენიმე ბიბლიოთეკა ერთმანეთს შევადაროთ,უსათუოდ უნდა მივიღოთ მხედველობაში წიგნობრივი ფონდების შემადგენლობა,ყოველწლიური შეძენილი წიგნების რაოდენობა,თანამშრომელთა რიცხვი,სამკითხველო დარბაზის ტევადობა,სამუშაო საათების რაოდენობა/რომელი ბიბლიოთეკა ერთ ცვლას მუშაობს,რომელი ორ ცვლას/ და სხვ.

ნაწილობრივ შესწავლასთან გვაქვს საქმე მაშინ,როდესაც ჩვენ ვიკვლევთ არა მთლიანად მთელ აბონემენტს,არამედ მის რომელიმე ნაწილს,აბონენტების რომელიმე ერთ ან რამდენიმე ჯგუფს.მაგალითად,შეიძლება მიზნად დავისახოთ შესწავლა საკითხისა,რას კითხულობს ახალგაზრდობა,ან სტუდენტები,ან მკითხველთა სხვა რომელიმე კატეგორია.შესაძლებელია ნაწილობრივი შესწავლის საგანი იყოს წიგნობრივი ფონდის რომელიმე განყოფილება,მაგ.ისტორია,ბუნებისმეტყველება,სოფლის მეურნეობა და სხვა.მაშინ მხოლოდ შესაფერისი დარგის წიგნების ფორმულარებს ავიღებთ და გავაკეთებთ გაანგარიშებას ისე,როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული.

ზოგჯერ შესწავლა ხდება ე.წ.შერჩევითი მეთოდით. უფრო ხშირად შერჩევითი შესწავლის საგანი არის თვით ლიტერატურა და,მაშასადამე,მუშაობა სწარმოებს წიგნების ფორმულარების მიხედვით.მაგალითად,შეიძლება შევარჩიოთ გარკვეული რიცხვი წიგნებისა რომელიმე დარგიდან,ან რომელიმე ტიპის მიხედვით/ფანტასტიური,მეცნიერულ-პოპულარული და სხვ./

და დაკვირვებით რამდენ მკითხველს მოუკითხავს თითო მათგანი, რომელი კატეგორიის მკითხველებს უკითხია ეს წიგნები და სხვა. შერჩევითი შესწავლის მაგალითია, რომლებსაც ავარჩევთ რამდენიმე კლასიკურ ნაწარმოებს და ვიკვლევთ მათ წყაროებს. ცხადია, რომ აქ დაცული უნდა იყოს ყველა ისეთი პირობა, რომელიც საჭიროა ასე თუ ისე სწორი დასკვნების გამოსატანად, მაგალითად, უკანასკნელ შემთხვევაში, საჭიროა, რომ შერჩეული წიგნები ბიბლიოთეკაში იყოს ისეთი რაოდენობით, რომ გამორიცხული იყოს "უარები" წიგნის უქონლობის, ან სიძველის გამო.

ბიბლიოთეკის მუშაობის, წიგნობრივი ფონდის შევსების და კითხვის შესწავლა უბრალო ცნობისმოყვარეობისათვის არ წარმოებს. ამ შესწავლამ უნდა მოგვცეს მტკიცე, მყარი დასაყრდენი ჩვენი შემდგომი მუშაობისათვის. ამავე შესწავლამ უნდა დაგვანახოს ჩვენი მუშაობის სუსტი მხარეები, გარღვევები, ~~და ჩვენ უნდა~~ რმ ვეცადოთ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. ეს შესწავლა მკითხველების ინტერესებს რომ გვაჩვენებს, ამავე დროს გვაჩვენებს, რა ნაკლი აქვს ამ ინტერესებს, სად არის საჭირო ჩვენი პედაგოგიური ჩარევა და მკითხველის სწორ გზაზე დაყენება.